

# სამართალი დაჯიბი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2019, №12

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2019, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2019, №12

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2019, №12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ბიორგი ჭყონიკა**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეხელი

- 1. სანარმოს დირექტორის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა**  
სანარმოს დირექტორის უფლებამოსილების ფარგლები ..... 4  
საზოგადოების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობა ..... 21; 56  
სანარმოს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა ..... 67
- 2. პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან**  
საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები ..... 79  
საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა ..... 118  
საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა  
საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გადაყენება ..... 143
- 3. დივიდენდების განაწილება**  
დივიდენდის განაწილება პარტნიორთა შორის ..... 160

# 1. სანარმოს დირექტორის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

## სანარმოს დირექტორის უფლებამოსილების ფარგლები

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-653-620-2014

24 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ს. ბ-მა“ (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მყიდველი, მოპასუხე, კასატორი) და შპს „მ-მა“ (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გამყიდველი, საზოგადოება, სანარმოს, მენარმე სუბიექტი, პირველი მოსარჩელე, პირველი აპელანტი) 2010 წლის 7 აპრილს გააფორმეს უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე შეთანხმება №1 – 01.17.11.007.009/ 01.17.11.007.019/ 01.14.14.011.061.01.500/03.05.01.979/20.42.01.105/01.15.08.001.08 (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც წინარე შეთანხმება) და უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №2 – 01.17.11.007.009 / 01.17.11.007.019 / 01.14.14.011.061.01.500 / 03.05.01.979 / 20.42.01.105 / 01.15.08.001.008 (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ხელშეკრულება) შემდეგ უძრავ ქონებაზე: 1. თბილისი, ... დაზუსტებული ფართობი 2662.00 კვ.მ, საკადასტრო კოდი ...; 2. თბილისი, ..., დაზუსტებული ფართობი 6440.00 კვ.მ, საკადასტრო კოდი ...; 3. თბილისი, ... საკადასტრო კოდი №...; 4. ქ. ქუთაისი, ..., საკადასტრო კოდი № ...; 5. ქობულეთი, ..., საკადასტრო კოდი № ...; 6. თბილისი, ... (ნაკვეთი 1/8), დაზუსტებული ფართობი 24 551.00 კვ.მ, საკადასტრო კოდი № ...

2. საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია მ. უ. (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოსარჩელე, მეორე აპელანტი, საზოგადოების პარტნიორი, დამფუძნებელი), ხოლო დირექტორი სადავო პერიოდში იყო მისი შვილი – მ. უ. (შემდგენში ტექსტში მოხსენიებული, როგორც დირექტორი).

3. წინარე შეთანხმებისა და ხელშეკრულების დადებისას საწარმოს წარმოადგენდა საზოგადოების დირექტორი, რომელსაც, რეესტრის ამონაწერის მიხედვით, უფლებამოსილება საზოგადოების წესდების მე-7 მუხლის 7.2. პუნქტით ჰქონდა შეზღუდული. წესდების მითითებული პუნქტის მიხედვით, საზოგადოების მთლიანი ან ნაწილობრივი გასხვისება კრების კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის ფუნქციებს საზოგადოების პარტნიორი ერთპიროვნულად ასრულებდა (წესდების მე-6 მუხლი).

4. წინარე შეთანხმების საფუძველზე შესაბამისი უფლება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2010 წლის 19 და 21 აპრილს დარეგისტრირდა, ხოლო 2012 წლის 29 ივნისს მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა უძრავი ნივთები შემდეგი საკადასტრო კოდებით: №...; №...; №...; №...

5. უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით ..., საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით მოპასუხის სახელზე აღირიცხული, თუმცა საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს არა სადავო ხელშეკრულება, არამედ №... შეთანხმება წარმოადგენს. უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით ..., საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხება შპს „ლ.ჰ.ლ-ის“ სახელზე და საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი ნასყიდობის №... ხელშეკრულებაა.

6. 2012 წლის 2 აგვისტოს საზოგადოებამ და მისმა პარტნიორმა სარჩელი აღძრეს მოპასუხის წინააღმდეგ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით. მათი მტკიცებით, დირექტორს კომპანიის უძრავი ქონების გასხვისების უფლებამოსილება არ გააჩნდა, რადგან იგი წესდებით ჰქონდა შეზღუდული. ამის თაობაზე მოპასუხისთვისაც იყო ცნობილი, რადგან შეზღუდვა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა. საზოგადოების ქონების გასხვისების გადაწყვეტილება დამფუძნებელს უნდა მიეღო, რომლის თანხმობაც დირექტორს არ გააჩნდა. მოსარჩელები მოითხოვდნენ ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ დადებული გარიგების, ბათილად ცნობას.

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა, როგორც მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი, ისე მისი განხორციელების შემაფრთხებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ ხელშეკრულებას გამყიდველის სახელით ხელს აწერდა მისი იმჟამინდელი დირექტორი, რომელიც საზოგადოების წესდების მიხედვით, მესამე პირებთან ურთიერთობაში კომპანიას ერთპიროვნულად წარმოადგენდა. ამასთან, მოპასუხის მტკიცებით, საზოგადოების პარტნიორისათვის სადავო გარიგების თაობაზე ცნობილი იყო და დირექტორის მიერ გამოხატული ნება მას სადავოდ არ გაუხდია. მოპასუხის განმარტებით, დირექტორის არაუფლებამოსილ პირად მიჩნე-

ვის შემთხვევაშიც კი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნა, ხანდაზმულობის გამო, განხორციელებადი არ იყო.

**8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 54-ე, 128.1, 129-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 180-ე მუხლი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები.**

8.1. სასამართლომ მეორე მოსარჩელის მოთხოვნა, ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე, დაუსაბუთებლად მიიჩნია, ვინიდან იგი არ იყო აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობის უშუალო მხარე და, მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, ხელშეკრულების ბათილობით მიღწეული სამართლებრივი შედეგი მის უფლებებსა თუ ინტერესებზე გავლენას ვერ მოახდენდა.

8.2. სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი მოსარჩელეს ქობულეთში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №...) გასხვისების ნაწილში ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის იურიდიული ინტერესი არ გააჩნდა, ვინაიდან სადავო უძრავი ქონება სხვა კომპანიის საკუთრებას წარმოადგენდა, რომელმაც საკუთრების უფლება ნასყიდობის №... ხელშეკრულების საფუძველზე მოიპოვა. საქმის წარმოების არცერთ ეტაპზე, მითითებული სამართლებრივი საფუძველი მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. სასამართლომ იმავე დასაბუთებით უსაფუძვლოდ მიიჩნია პირველი მოსარჩელის მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე იმ ნაწილში, რომლითაც ოქროყანაში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი ...) გასხვისდა. სასამართლომ მიუთითა, რომ უძრავი ქონების მესაკუთრეს მოპასუხე წარმოადგენდა, თუმცა საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება არ იყო, რის გამოც ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოსარჩელეს სურდა, ვერ მიიღწეოდა.

8.3. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ წინარე ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხე საჯარო რეესტრში სადავო ქონების მომავალ მესაკუთრედ დარეგისტრირდა. აღნიშნული ფაქტი საწარმოს დამფუძნებელმა შეიტყო 2010 წელს, თუმცა წინარე ხელშეკრულებას არ შედაგებია, რაც უფლებამოსილი პირის მიერ გარიგების მოწონების ფაქტზე მიანიშნებდა.

8.4. სასამართლომ მიუთითა, რომ კანონის დანაწესი ბათილო-

ბის მოთხოვნის 18-თვიანი ვადის ათვლასთან დაკავშირებით არ იყო დაკავშირებული დანტერესებული პირის (წარმოდგენილი მენარმე სუბიექტის) მიერ იურიდიული ფაქტის აღქმის სუბიექტურ მომენტთან, კერძოდ, თუ როდის გახდა მისთვის ცნობილი ხელშეკრულების დადების თაობაზე. სასამართლოს მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ ობიექტურად არსებული ფაქტი – როდის დაიდო ხელშეკრულება. სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების დადება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას ყველა არსებით პირობაზე, რაც გამოიხატება ხელშეკრულებაზე თითოეული მხარის ნების გამოვლენით – ხელმოწერით. ეს კი საფუძველია უძრავი ნივთის რეგისტრაციისა, რის შემდეგაც შემძენის საკუთრების სანივთო უფლება წარმოიშობა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულება დაიდო და ვალდებულებითსამართლებრივი უფლება-მოვალეობები წარმოიშვა 2010 წლის 7 აპრილს, როდესაც ნოტარიული წესით გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. მითითებული თარიღიდან გარიგების ბათილობის მოთხოვნის 18-თვიანი ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, რაც მოთხოვნის უარყოფის საფუძველი გახდა.

**9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:**

9.1 მეორე მოსარჩელე საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელი და ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორია, რომელიც იმავდროულად საზოგადოების პარტნიორთა კრების ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად, მას საზოგადოების ლიკვიდაციისა და ქონების პირად საკუთრებაში მიქცევის უფლება აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა პირის მიერ ქონების თითქმის უსასყიდლოდ დასაკუთრება ეწინააღმდეგება მისი, როგორც საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის ინტერესს.

9.2. აპელანტების მოსაზრებით, უსწორია იურიდიული ინტერესის – რესტიტუციის მიუღწევადობის საფუძველით ხელშეკრულების იმ ნაწილის ბათილად ცნობაზე უარის თქმა, რომელიც ქობულეთსა და ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთებს ეხება. მათი განმარტებით, ამ ორი უძრავი ქონების განკარგვის ნაწილში ხელშეკრულებას შედეგი არ მოჰყოლია, რის გამოც სასამართლოს დავის მოსაწესრიგებლად სსკ-ის 56-ე მუხლი უნდა გამოეყენებინა.

9.3. აპელანტების განმარტებით, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა 18-თვიანი ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების თარიღი. სსკ-ის 183-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, უძრავი

ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმა და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. შესაბამისად, გარიგება დადებულია მიიჩნევა, როდესაც ორივე პირობა შესრულებულია. განსახილველ შემთხვევაში, სადავო ხელშეკრულება დაიდო არა იმ დროს, როდესაც ის წერილობითი ფორმით შედგა, არამედ, როდესაც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა – 2012 წლის 29 ივნისს, რის გამოც ხანდაზმულობის ვადის ათვლა ამ თარიღიდან უნდა დაიწყო.

9.4. აპელანტთა მოსაზრებით, სასამართლომ ერთმანეთში აურია რწმუნებულისა და საკუთრების მინდობის ინსტიტუტი. შეზღუდული უფლებამოსილების მქონე რწმუნებულის მიერ ქონების ნასყიდობის წინარე შეთანხმების დადება არ იყო ქონების გასხვისება, არამედ იგი წარმოშობდა ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. ნასყიდობის ხელშეკრულება კი, საამისო უფლებამოსილების მქონე პირს უნდა დაედო ან ამ უკანასკნელს გარიგება შემდგომში უნდა მოეწონებინა. მოცემულ შემთხვევაში, რადგან სადავო ხელშეკრულება საწარმოს პარტნიორმა არ დაადასტურა, მას იურიდიული ძალა არ გააჩნდა. ამიტომ, სასამართლოს სსკ-ის 111-ე და 709-ე მუხლებიც უნდა გამოეყენებინა, რადგან, განსახილველ შემთხვევაში, რწმუნებულს ნასყიდობის ხელშეკრულების დადება არც დავალბული ჰქონდა და არც შემდგომ მოუწონებია მარწმუნებელს.

9.5. აპელანტების განმარტებით, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეორე და მესამე პუნქტები, რომელთა შესაბამისადაც, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება საზოგადოებაში სრულყოფილ წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც გულისხმობს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საზოგადოების წესდების 7.2. მუხლის „ვ“ პუნქტით კი, ასეთი შეზღუდვა არსებობდა, შესაბამისად, არაუფლებამოსილი პირის მიერ დადებული გარიგება ბათილი იყო.

#### **10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით:**

10.1. პირველი აპელანტის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.09.2012წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც პირველ მოსარჩელეს უარი ეთქვა შემდეგი უძრავი ნივთების: – 1. თბილისი, ... მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ...; 2. თბილისი, ... მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ...; 3. თბილისი, ... მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...; 4. ქუთაისი, ..., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი



№ ... (ნაკვეთის წინა ნომრით ...) – გასხვისების ნაწილში 07.04.2010წ. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. პირველი მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი პირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 07.04.2010წ. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (ნოტარიუსი პ. შ., სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 100317445) შემდეგი უძრავი ნივთების გასხვისების ნაწილში: – 1. თბილისი, ... მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ...; 2. თბილისი, ... მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ...; 3. თბილისი, ... მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № ...; 4. ქ. ქუთაისი, ... , მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № ... (ნაკვეთის წინა ნომრით ...).

10.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.09.2012წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც პირველ მოსარჩელეს უარი ეთქვა 07.04.2010წ. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე შემდეგი უძრავი ნივთების გასხვისების ნაწილში: – 1. თბილისი, ... (ნაკვ.1/8), (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ...; 2. ქობულეთი, ..., საკადასტრო კოდით N ... – დარჩა უცვლელად.

10.3. მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.09.2012წ. გადაწყვეტილება მეორე მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩა უცვლელად.

11. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 52-ე და 338-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ საზოგადოების წესდებით დაწესებული შეზღუდვა მიუთითებდა საზოგადოების დამფუძნებლის მიზანზე, დაცული ყოფილიყო საზოგადოების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი აქტივი და ქონება პარტნიორთა კრების გარეშე რაიმე ფორმით განკარგვისაგან. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ ცნობილი იყო მყიდველისთვისაც, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგინდა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშეკრულება საზოგადოების ქონების განკარგვაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ დაიდო, რის გამოც იგი სსკ-ის 54-ე, 99-ე და 56.1 მუხლების საფუძველზე ბათილი იყო.

12. სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულად არ მიიჩნია, რადგან ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი დაუკავშირა ხელშეკრულების საფუძველზე ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს და არა – წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების თა-

რილს, ვინაიდან ხელშეკრულება იურიდიულ შედეგს წარმოშობდა მხოლოდ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდგომ. ამასთან, პალატამ მიაჩნია, რომ ხანდაზმულობის 18-თვიანი ვადის ათვლა სადავო ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან დაუსაბუთებლად შეზღუდავდა მენარმე სუბიექტის უფლებას კანონით დადგენილ საგამონაკლისოდ მცირე ვადაში სადავო გაეხადა ხელშეკრულება, თუ მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელის უფლებამოსილება შეზღუდული იყო და ამის შესახებ კონტრაგენტმა იცოდა. პალატამ ყურადღება იმ გარემოებაზეც გაამახვილა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 29.01.2014წ. გადაწყვეტილებით „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვები – „ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში“ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით და ძალადაკარგულად გამოცხადდა.

13. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა ხელშეკრულების ბათილობისადმი მეორე მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არარსებობასთან დაკავშირებით, ასევე, ქობულეთსა და ოქროყანაში მდებარე სადავო უძრავ ქონებათა გასხვისების ნაწილში ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობისადმი პირველი მოსარჩელის იურიდიული ინტერესის მიუღწევლობის თაობაზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 8.1-8.2 პუნქტები). პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა უფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულების მოწონების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და განმარტა, რომ უფლებამოსილი პირის მიერ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების მოწონება არ გულისხმობდა მხარეთა შორის გაფორმებული ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების მოწონების ფაქტს, ხოლო რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა უფლებამოსილი პირის ინფორმირებას სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე, საქმეში წარმოდგენილი არ იყო.

**14. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ საკასაციო საჩივარი წარადგინა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად უარყოფა მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:**

14.1. საზოგადოების მთლიანი ან ნაწილობრივი გასხვისება მისი კაპიტალის, წილების გასხვისებას გულისხმობს და არა – საზოგადოების უძრავი ან მოძრავი ქონების გასხვისებას, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ განმარტა. ასეც რომ იყოს, მოცემულ შემთხვევაში, სადავო გარიგებით კომპანიის ქონება მთლიანად ან ნა-

ნილობრივ არ გასხვისებულა, რადგან აქტივების გასხვისების პარალელურად შემცირდა მისი ვალდებულებებიც, კერძოდ, პირველ მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება გააჩნდა და სადავო ქონების მოპასუხის საკუთრებაში გადასვლით მოსარჩელის საკრედიტო დავალიანება პროპორციულად შემცირდა.

14.2. კასატორის მტკიცებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ სადავო გარიგების დასადებად დირექტორს პარტნიორის თანხმობა ესაჭიროებოდა, მოთხოვნა განხორციელებადი არ იყო ხანდაზმულობის გამო, რადგან გარიგების შეცილების 18-თვიანი ვადის დენის დაწყება ხელშეკრულების დადებას და არა – მის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას უკავშირდება. ამასთან, საწარმოს პარტნიორი იმთავითვე იყო ინფორმირებული სადავო გარიგების დადების თაობაზე.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამონმმებლად, ხოლო ამავე სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით – სარჩელი უარყოფილ უნდა იქნეს.

16. სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

17. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ

არასწორად გამოიყენა და განმარტა მატერიალური სამართლის ნორმები და, შესაბამისად, იურიდიულად დაუსაბუთებელი გადან-  
ყვეტილება მიიღო ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილის ბათილად  
ცნობის თაობაზე, რაც ამ გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუ-  
ტური საფუძველია.

18. საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს  
იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს აღძრული აქვს აღიარებითი სარ-  
ჩელი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნო-  
ბის თაობაზე. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობე-  
ბი მოცემულია სსსკ-ის 180-ე მუხლში. ამ ნორმის დანაწესიდან გა-  
მომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მო-  
სარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამარ-  
თლოს გადანყვეტილებით მოხდეს. ამ სახის სარჩელების მიზანია  
არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადა-  
ვობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ  
პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ მომავალში დარღვევის  
ვარაუდი, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც,  
ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებ-  
ენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი  
სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურ-  
თიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათისაა და იურიდიული ინ-  
ტერესის არსებობა გამოორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუ-  
ხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა. ამდენად, თუ  
აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე სასამართლო  
გამოარკვევს, რომ მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა შესაძლებე-  
ლია, სასამართლომ აღიარებითი სარჩელი წარმოებაში არ უნდა მი-  
იღოს და არ უნდა განიხილოს. განსახილველ შემთხვევაში, მართა-  
ლია, მოსარჩელე არ უთითებს აღიარებითი სარჩელის იურიდიულ  
ინტერესზე (რაც ასეთი სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ აუცი-  
ლებელ წინაპირობას წარმოადგენს სსსკ-ის 178.1 მუხლის „ლ“ ქვე-  
პუნქტის მიხედვით), თუმცა, სარჩელის შინაარსიდან გამომდინა-  
რე, ირკვევა, რომ მისი იურიდიული ინტერესია სადავო გარიგებით  
განკარგული ქონების დაბრუნება. აქედან გამომდინარე, ცხადია,  
მოსარჩელეს შეეძლო მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა ქონების  
დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა ასეთი სარჩელი არ აღუძრავს,  
შესაბამისად, მისი აღიარებითი სარჩელი დაუშვებელი იყო.

19. აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლო მაინც  
განიხილავს მოსარჩელის აღიარებით სარჩელს, ვინაიდან, ჯერ ერ-  
თი, ასეთია, სასამართლო პრაქტიკა. ამასთან, საკასაციო პალატის  
მოსაზრებით, მოსარჩელის მიკუთვნებითი სარჩელიც წარუმატე-  
ბელი იქნება, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნა იმ ქონების დაბრუ-

ნების თაობაზე, რომელიც მან ბათილი გარიგების საფუძველზე გადასცა მოპასუხეს, შეიძლება დაეფუძნოს სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტსა და 979.1 მუხლს (შესრულების კონდიქციას), თუმცა მითითებული ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელი წინაპირობაა სადავო გარიგების ბათილობის საფუძვლის არსებობა.

20. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო გარიგება ბათილია, ვინაიდან ეს გარიგება დაიდო საწარმოს პარტნიორის თანხმობის გარეშე, რაც გათვალისწინებულია საწარმოს წესდებით და, ამასთან, ამ გარიგების დადებისას მოპასუხემ იცოდა მენარმე სუბიექტის დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ.

21. მოსარჩელის მიერ მითითებული საფუძვლით გარიგების შეცვლებისა და, აქედან გამომდინარე, ამ გარიგების გაბათილების შესაძლებლობას ითვალისწინებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი 19.11.2009 წლის რედაქციის) მე-9 მუხლის მეოთხე პუნქტი (თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ მენარმე სუბიექტს შეუძლია ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მენარმე სუბიექტს, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით).

ზემოხსენებული ნორმის გამოყენებისათვის, უპირველესად, უნდა განიმარტოს, თუ რა იგულისხმება მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვაში. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. მითითებული ნორმის მესამე ნაწილი კი, ადგენს, რომ ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამდენად, შპს-ში დირექტორი ახორციელებს ხელმძღვანელობით საქმიანობას, რაც გულისხმობს საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მი-

ლებას, ასევე, საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. საზოგადოების დირექტორის კომპეტენცია, ანუ ხელმძღვანელობის უფლებამოსილების (მათ შორის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების) ფარგლები, განისაზღვრება კანონით ან საწარმოს წესდებით („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.3 მუხლი), შესაბამისად, სწორედ მათ საფუძველზეა შესაძლებელი საზოგადოების ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.4 მუხლში მითითებული მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვა გულისხმობს კანონით ან საწარმოს წესდებით საწარმოს დირექტორისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვას.

განსახილველ შემთხვევაში, საწარმოს წესდებით დირექტორს შეზღუდული ჰქონდა საზოგადოების მთლიანი ან ნაწილობრივი გასხვისების უფლება (აღნიშნული კრების კომპეტენციას განეკუთვნებოდა, რომლის ფუნქციებს საზოგადოების პარტნიორი ერთპიროვნულად ასრულებდა).

22. შემდეგი საკითხი, რომელიც მოცემული დავის ფარგლებში უნდა გაირკვეს ისაა, საწარმომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეოთხე პუნქტით დადგენილ 18-თვიან ვადაში წარადგინა თუ არა პრეტენზია ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე.

პალატა, პირველ რიგში, განმარტავს, რომ ნორმა ადგენს გარიგებიდან გამომდინარე შეცილების უფლების განხორციელებასა და მის სამართლებრივ შედეგს. შესაბამისად, არასწორია ქვედა ინსტანციების განმარტება მითითებული ნორმით ხანდაზმულობის ვადის დადგენის თაობაზე. ხანდაზმულობის ვადისაგან განსხვავებით, რომელიც მოთხოვნის იძულებითი დაკმაყოფილების ვადაა, საცილო გარიგების ბათილად ცნობისათვის შეცილების უფლების მქონე სუბიექტმა გარიგების მეორე მხარეს უნდა მიმართოს და არა – სასამართლოს ან სხვა ორგანოს. ამდენად, გარიგების ბათილობა დამოკიდებულია შეცილების უფლების მქონე პირის მიერ შეცილების უფლების განხორციელებაზე.

23. მოპასუხის შესაგებლის მიხედვით, მოსარჩელემ ნორმით დადგენილი 18-თვიანი ვადა გაუშვა, რის გამოც ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას ვეღარ მოითხოვდა. სასამართლომ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ ხელშეკრულება დაიდო 2010 წლის 7 აპრილს, როდესაც ნოტარიული წესით გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. მითითებული თარიღიდან კი, ბათილობის მოთხოვნის 18-თვიანი ვადა გასული იყო.

აღნიშნულთან დაკავშირებული აპელანტის პრეტენზია ის იყო,

რომ სადავო ხელშეკრულება დაიდო არა, როდესაც ის წერილობით გაფორმდა, არამედ – როდესაც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა – 2012 წლის 29 ივნისს, რაც სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა და მიუთითა, რომ 18-თვიანი ვადის ათვლა სადავო ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან დაუსაბუთებლად შეზღუდავდა მენარმე სუბიექტის უფლებას, კანონით დადგენილ მცირე ვადაში სადავო გაეხადა ხელშეკრულება. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 29.01.2014წ. გადაწყვეტილებაზეც, რომლითაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვების – „ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში“ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

24. პალატა არ იზიარებს მითითებულ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ მსჯელობას. პირველ რიგში, ნორმა შეცილების უფლების ვადის დაწყებას უკავშირებს ხელშეკრულების დადებას, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება მხარეთა მიერ მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმებას საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (სსკ-ის 327 მუხლი) (მდრ. სუსგ №ას-495-471-2013, 25.03.2014 წელი) და სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი შეცილების ვადის დასაწყისის ამ ობიექტური ფაქტორის თავისი მიხედულებით შეცვლა არასწორია, მიუხედავად იმისა, მიიჩნევს თუ არა სასამართლო, რომ კანონით დადგენილი შეცილების ვადა მცირეა.

25. მეორეც, პალატა განმარტავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არ აქვს რეტროაქტიული ეფექტი. მითითებული გადაწყვეტილების გამოტანისას (29.01.2014წ.) მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს რეტროაქტივას და გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე გადაწყვეტილების შედეგი გავლენას ვერ ახდენს. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ჩანაწერი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მოსარჩელის საკონსტიტუციო სარჩელის საფუძველზე, საქმის განმხილველ სასამართლოს არანაირი სამართლებრივი ბერკეტი არ გააჩნია, მიანიჭოს გადაწყვეტილებას რეტროაქტიულობა და ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვის მომენტამდე არსებულ ურთიერთობაზე გავრცელოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (მდრ სუსგ №ას-1186-1128-2014, 9.02.2015წ. №ას-495-471-2013, 25.03.2014 წელი).

26. გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას რომც ჰქონდეს ე.წ. ex tunc ეფექტი, ის მოსარჩელის მიმართ მაინც არ გავრცელდებოდა, რადგან გადაწყვეტი-

ლება შეცილების უფლების წარმოშობას რამდენიმე წინაპირობას უკავშირებს. გადანყვეტილების მიხედვით, „მენარმე (პარტნიორი) უფლებამოსილი უნდა იყოს, განაცხადოს გარიგების ბათილობის შესახებ, თუ დამტკიცდება, რომ გარიგების დადების ფაქტი მისთვის უცნობი იყო. გაუმართლებელია ბათილობის მოთხოვნა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო შეზღუდვის შესახებ. ასეთი უფლება მენარმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა წარმოეშვას, თუ დამტკიცდება, რომ ხელმძღვანელის/წარმომადგენლის საქმიანობაზე ზედამხედველობის მექანიზმის არსებობის მიუხედავად, გარიგების შესახებ ინფორმაცია მისთვის არ იყო ცნობილი“.

27. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის შესაგებლის მიხედვით, საზოგადოების პარტნიორისათვის აღნიშნული გარიგების თაობაზე იმთავითვე ცნობილი იყო, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას გამოორიცხავდა. საკასაციო პალატა იზიარებს ზემოხსენებულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ ვინაიდან გარიგების ბათილობა დამოკიდებულია შეცილების უფლების არსებობაზე, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, ამ უფლების წარმოშობის წინაპირობები.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეოთხე პუნქტის დანაწესი მენარმე სუბიექტისათვის წარმოადგენს სამართლებრივ მექანიზმს, დაიცვას საკუთრება მისი ნების საწინააღმდეგოდ განკარგვისაგან, თუმცა იგი ხელმძღვანელობის უფლებამოსილებაზეზღუდული დირექტორის მიერ გარიგების დადებისას, ყოველთვის არ წარმოუშობს საწარმოს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას. მითითებული ნორმის მიზანია მენარმე სუბიექტმა თავისი უფლება აღიდგინოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისთვის უცნობი იყო გარიგების დადების თაობაზე. შესაბამისად, გარიგების დადების შესახებ იმთავითვე ინფორმირებულობა მენარმე სუბიექტს უკარგავს აღნიშნული მუხლით მოთხოვნის უფლებას, იგი აღარ წარმოადგენს განსახილველი ნორმის მიზნებისათვის გამყიდველის მიერ გამოვლენილი ნების შეცილებაზე უფლებამოსილ სუბიექტს.

აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ნორმის მიზანია, გარიგება ბათილად იქნეს ცნობილი, როდესაც ის მენარმე სუბიექტის ნების საწინააღმდეგოდ იდება. ხოლო ნების საწინააღმდეგოა თუ არა გარიგება, სწორედ გარიგების დადების შესახებ ცოდნას უკავშირდება, ვინაიდან, როდესაც დირექტორის საქმიანობაზე მკონტროლებელმა ორგანომ/პირმა, მოცემულ შემთხვევაში, საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა იცის არასასურველი გარიგების შესახებ, მას მრავალი ბერკეტი აქვს იმისათვის, რომ მისი ნების საწინააღმდეგო გარიგების დადება თავიდან აიცი-



ლოს. პალატა განმარტავს, რომ გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლება – საწარმოს კანონიერი დაცვის შესაძლებლობაა და არა – უფლების ბოროტად გამოყენება კონტრაგენტის წინააღმდეგ. მითითებული დაცვის მექანიზმის იმ მენარმე სუბიექტის მიერ გამოყენება, რომელმაც იცის გარიგების თაობაზე და არ მოქმედებს აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მისი რისკის/შედეგების კონტრაგენტზე გადანაწილება არსებითად არასწორი იქნებოდა. ამდენად, მენარმე სუბიექტის მიერ გარიგების დადების ფაქტის ცოდნა ქმნის სამართლებრივ ბარიერს, მოითხოვს გარიგების ბათილად ცნობა და ასეთ შემთხვევაში, თუნდაც დადასტურებული ფაქტი კონტრაგენტის მიერ დირექტორის შეზღუდული უფლებამოსილების ცოდნის შესახებ მენარმე სუბიექტის მოთხოვნის წარმომობაზე გავლენას ვერ ახდენს. ამდენად, არსებითია, იცოდა თუ არა მენარმე სუბიექტმა დირექტორის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე.

28. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის გარიგების შესახებ ინფორმირებულობის დასადგენად, უდავოდ გასათვალისწინებელია პარტნიორსა და დირექტორს შორის არსებული ურთიერთობა. კონკრეტულ შემთხვევაში, საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორი და საწარმოს დირექტორი მამა-შვილი არიან, შესაბამისად, არსებობს პრეზუმფცია, რომ ოჯახის წევრისათვის ცნობილი იყო საწარმოს სოლიდურ ქონებაზე გარიგების დადების თაობაზე. საკასაციო პალატას აქვს ლოგიკური ვარაუდის საფუძველი, რომ, როდესაც საწარმოს ქონება სხვისდებოდა, პარტნიორისათვის თავისი შვილის მიერ თავისივე საწარმოს ქონების გაყიდვის შესახებ ცნობილი იყო (მდრ. სუსგ №ას-997-1196-08, 31.03.2009).

პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი კი, ეკისრება იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს იგი (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია), როდესაც პრეზუმირებული ფაქტი მოსარჩელის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მან პირველ რიგში, აღნიშნული უნდა გააქარწყლოს და დაამტკიცოს საწინააღმდეგოდ, მას სრულად აკისრია დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთი. საწინააღმდეგოს მტკიცება ამ უკანასკნელის ვალდებულება იყო. აღნიშნული პრეზუმფცია მოსარჩელემ სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებებით ვერ გააქარწყლა.

29. მენარმე სუბიექტის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმირებულობას ადასტურებს არა მხოლოდ იმგვარი პრეზუმფცია, რაც ახლო ნათესავებს, ოჯახის წევრებს შორის ერთმანეთის ქონებრივი მდგომარეობისა და საწარმოს ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის ფლობას უკავშირდება, არამედ ისიც, რომ მენარმე სუბიექტის 100%-იანი წილის პატრიორისათვის ნასყიდობის წინარე

ხელშეკრულების თაობაზე ცნობილი იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, სადავო არ იყო წინარე ხელშეკრულების თაობაზე პარტნიორის ინფორმირებულობა, თუმცა რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა უფლებამოსილი პირის ინფორმირებას სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების თაობაზე, საქმეში წარმოდგენილი არ იყო.

პალატა არ იზიარებს აღნიშნულ დასკვნას და მიუთითებს, რომ წინარე ხელშეკრულების არსი სწორედ ის არის, რომ იგი წარმოშობს ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. 2010 წლის ივლისში, სწორედ პარტნიორის განცხადების საფუძველზე, განახლებულ საჯარო რეესტრის ამონაწერში (ვალდებულებათა გრაფაში) საწარმო მითითებული იყო როგორც უძრავი ქონების გამყიდველი, ხოლო მოპასუხე – როგორც მყიდველი. რაც გულისხმობს იმას, რომ პარტნიორმა იცოდა როგორც გასაყიდი ქონებისა და მისი სამომავლო მესაკუთრის თაობაზე, ისე – წინარე ნასყიდობის შეთანხმებით განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ. შეთანხმების 2.1.1. პუნქტის მიხედვით, „გამყიდველი იღებს ვალდებულებას მყიდველის ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით მიყიდოს მყიდველს შეთანხმების ობიექტი (ნასყიდობის საგანი), ხოლო აღნიშნული მიზნით მხარეები იღებენ ვალდებულებას დადონ ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება“. ნასყიდობის საგნის მახასიათებლები კი, ნასყიდობის ხელშეკრულებაში ასახული უძრავი ნივთების იდენტიფიკაცია. ამდენად, დგინდება, რომ პარტნიორისათვის არა მარტო ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია სამომავლო ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ, არამედ ფაქტობრივადაც ფლობდა მას.

ამდენად, აღნიშნული ნორმა არ ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც მენარმე სუბიექტს აქვს ინფორმაცია საკუთარი ქონების უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის შესახებ. ასეთ შემთხვევაში იგი ვერ მიიჩნევა კეთილსინდისიერ პირად და, პირიქით, გარიგების ხელმოწერნი – საწარმოს დირექტორი და კონტრაგენტი მხოლოდ მაშინ იქცევიან არაკეთილსინდისიერად თუ მართლსაწინააღმდეგოდ, როდესაც მათი ქმედების შედეგად, გარიგების შესახებ ინფორმაცია მენარმისათვის დაფარული, ხელმიუწვდომელი ხდება.

30. საკონსტიტუციო სასამართლომ შეცილების უფლების წარმოშობას კიდევ ერთი წინაპირობა დაუკავშირა, კერძოდ, მენარმე სუბიექტმა არა მარტო ის უნდა დაამტკიცოს, რომ მისთვის გარიგების შესახებ არ იყო ცნობილი, არამედ ისიც, რომ საწარმოს საქმიანობაზე სათანადო კონტროლს ახორციელებდა და, მიუხედავად ამისა, არ იყო ინფორმირებული – „საწარმოში ზედამხედვე-

ლობის მექანიზმების არარსებობა ან საწარმოს საქმიანობაში მენარმის (პარტნიორების) არასათანადო ჩართულობა უნდა გამორიცხავდეს მესამე პირისათვის პრეტენზიის წაყენების მოთხოვნის უფლებას“.

აღნიშნულს საკასაციო სასამართლოც იზიარებს და მიუთითებს, რომ ნორმით განმტკიცებული უფლების წარმოშობისათვის არსებითია პარტნიორის მიერ საწარმოს ხელმძღვანელის/წარმომადგენლის საქმიანობაზე სათანადო ზედამხედველობის განწესის მტკიცებაც. მოცემულ შემთხვევაში, პარტნიორის მიერ თავისი ზედამხედველობითი ფუნქციების შესრულებისა და ეფექტური კონტროლის ფაქტი არ დგინდება, ვინაიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა წინარე შეთანხმების შესახებ, არაფერი გაუკეთებია, რითაც მისთვის ცნობილი ქონების გასხვისების რეალურ რისკს თავიდან აიცილებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვების – „ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში“ არაკონსტიტუციურად ცნობა მოსარჩელისათვის სამართლებრივ სურათს ვერ ცვლის.

31. შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების ბათილობის გამომწვევი, არამედ მისთვის ნამდვილობის მიმნიჭებელი უფლებაცაა, თუკი დაინტერესებული პირი ამ უფლებას დადგინდეს ვადაში არ გამოიყენებს. ვინაიდან საწარმომ გარიგების ბათილობის თაობაზე პრეტენზია მოპასუხეს დადგინდეს 18-თვიან ვადაში არ წარუდგინა, მან დაკარგა შეცილების უფლება, საცილო გარიგება გახდა ნამდვილი და აღარ არსებობს მისი ამ საფუძველით ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

32. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის

24 აპრილის გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

33. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შეაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

34. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხეს საკასაციო საჩივარზე 8 000 ლარი აქვს გადახდილი. შესაბამისად, პირველ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 8 000 ლარის გადახდა კასატორის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სს „ს.ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. არ დაკმაყოფილდეს შპს „მ-ის“ სარჩელი შპს „მ-სა“ და სს „ს.ბ-ს“ შორის 07.04.2010წ. დადებული უძრავი ქონების: 1. ქ. თბილისი, №... მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ...; 2. ქ. თბილისი, ... მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ...; 3. ქ.თბილისი, ... მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ...; 4. ქ. ქუთაისი, ..., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ... (ნაკვეთის წინა ნომ-

რით .....) – ნასყიდობის ხელშეკრულების (ნოტარიუსი პ. შ., სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი ...) ბათილად ცნობის თაობაზე;

4. შპს „მ-ს“, სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 8000.00 (რვა ათასი) ლარის გადახდა;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **საზოგადოების წინაშე ღირსეულობის პასუხისმგებლობა**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-687-658-2016

6 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** საზოგადოების სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. პ. ნ-ემ (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი) სარჩელი აღძრა ი. რ-ის (შემდეგში: მოპასუხე ან მონინააღმდეგე მხარე) და თ. ჭ-იას (შემდეგში: თავდაპირველი მოპასუხე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა: ა) ორივე მოპასუხისათვის 134 455.70 ლარის სოლიდარულად დაკისრება შპს „ი-სის“ (შემდეგში – პირველი კომპანია) სასარგებლოდ (პირველი კომპანიისთვის მიყენებული ზიანი); ბ) თავდაპირველი მოპასუხისათვის 44 273 ლარის დაკისრება პირველი კომპანიის სასარგებლოდ (კომპანიისათვის მიყენებული ზიანი); გ) მოპასუხისთვის 39 654.59 ლარის დაკისრება პირველი კომპანიის სასარგებლოდ (პირველი კომპანიისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც მოსარჩელის განმარტებით, გამომდინარეობდა შპს „თ-ის“ (შემდეგში: მეორე კომპანია) მიმართ ვადამოსული დავალიანების გადახდის მოთხოვნაზე სასამართლოში წარდგენილ სარჩელზე დი-

რექტორის მიერ უარის თქმის გამო, საქმის წარმოების შეწყვეტიდან; დ) მოპასუხისათვის 133 669 ლარის დაკისრება პირველი კომპანიის სასარგებლოდ (კომპანიისათვის მიყენებული ზიანი).

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4. პირველი კომპანიის 49% წილის მფლობელია მოსარჩელე და 51% წილის მფლობელია თავდაპირველი მოპასუხე, რომელიც იმავდროულად, პირველი კომპანიის დირექტორია.

5. პირველი კომპანიის დირექტორი 2014 წლის 4 ივნისიდან 2014 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით იყო მოპასუხე. მოპასუხის შპს-ს დირექტორად დანიშვნამდე შპს-ს დირექტორი იყო თავდაპირველი მოპასუხე.

6. მოპასუხეს, როგორც პირველი კომპანიის დირექტორს ჰქონდა ორი სამართლებრივი დავა სასამართლოში:

7. ა) 2014 წლის 18 ივნისს პირველი კომპანიის დირექტორმა სარჩელი აღძრა გ. ტ-ის და ქ. ბ-ის მიმართ და მოითხოვა ქ. ბ-ესა და გ. ტ-ს შორის 2010 წლის 27 ოქტომბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; ბ) 2014 წლის 7 მარტს პირველი კომპანიის დირექტორმა სარჩელი აღძრა თავდაპირველი მოპასუხის მიმართ, იმ საფუძველზე, რომ თავდაპირველმა მოპასუხემ 2014 წლის 26 მაისიდან 2014 წლის 5 ივნისამდე პერიოდში, პირველი კომპანიის კუთვნილი 249002,91 ლარის ღირებულების საქონელი მიჰყიდა მეორე კომპანიას 1-2%-იანი მოგებით, მაშინ როდესაც პირველი კომპანია საქონელს ყიდის 15-20%-იანი მოგებით, რითაც პირველმა კომპანიამ განიცადა 31 400,87 ლარის ღირებულების ზიანი.

8. დადგენილია, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანებით ქ. ბ-ეს დაეკისრა 103 154.83 ლარის გადახდა პირველი კომპანიის სასარგებლოდ.

9. თავდაპირველი მოპასუხე 2007 წლის 14 დეკემბრიდან დაინიშნა პირველი კომპანიის დირექტორად და მას დაენიშნა ყოველთვიური ანაზღაურება 3410 ლარის ოდენობით.

10. დადგენილია, რომ ჩატარდა თავდაპირველ მოპასუხეზე 2008 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით დარიცხული და გაცემული ხელფასებით ანგარიშსწორების აუდიტი და 3410 ლარის ხელფასის შემთხვევაში თავდაპირველ მოპასუხეს დაერიცხა პროგრამით დარიცხულ ხელფასთან შედარებით 44 273 ლარით მეტი თანხა.

11. აუდიტორული დასკვნის თანახმად, თავდაპირველ მოპასუ-

ხეს არ მიუღია პირველი კომპანიის დირექტორის თანამდებობაზე ზედმეტი თანხა, რაც დასტურდება მთავარი ბუღალტრის ხელმოწერილი ამონაწერით. მისი ხელფასი იყო 3 750 ლარი.

12. დადგენილია, რომ მოპასუხეს, როგორც დირექტორს არ ჰქონდა შპს-ს ფულადი სახსრების ხარჯვის და მართვის უფლებამოსილება, რადგან ეს უფლებამოსილება დელეგირებული იყო დირექტორის მოადგილეზე, რომელსაც მოსარჩელე წარმოადგენდა. მოსარჩელეს, როგორც დირექტორის მოადგილეს საერთო მომარაგების და ტექნიკურ საკითხებში 2014 წლის 23 ივნისიდან გადაეცა მომსახურე ბანკების მართვის (ინტერნეტბანკი) ელექტრონული გასაღები.

13. საქალაქო სასამართლომ დავა მოაწესრიგა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) მე-9 მუხლით, 46-ე მუხლის მეხუთე პუნქტით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 316-ე, 317-ე, 992-ე, 412-ე მუხლებით.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმების და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით: მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი მოპასუხის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს პირველი კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 71 055.46 (31 400.87 + 39 654.59) ლარის გადახდა; სარჩელზე თავდაპირველი მოპასუხის მიმართ, პირველი კომპანიის სასარგებლოდ 44 273 ლარის დაკისრების ნაწილში, შეწყდა საქმის წარმოება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი თავდაპირველი მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სასამართლო ხარჯების საკითხი განიხილდა შემდეგნაირად: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟის ნაწილის 4 974.8 ლარის გადახდა. მოსარჩელეს თავდაპირველი მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ნაწილის – 7149 ლარის გადახდა.

17. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ პირველი კომპანიის 49% წილის მფლობელია მოსარჩელე და 51% წილის

მფლობელია თავდაპირველი მოპასუხე, რომელიც იმავდროულად პირველი კომპანიის დირექტორია.

18. პირველი კომპანიის რიგგარეშე პარტნიორთა კრების 2014 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილებით პირველი კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა თავდაპირველი მოპასუხე და დირექტორად დაინიშნა მოპასუხე.

19. დადგენილია, რომ 2013 წლის 29 ნოემბერს პირველ და მეორე კომპანიას შორის დაიდო გენერალური ხელშეკრულება საქონლის მიწოდების შესახებ.

20. 2014 წლის 20 მაისს გაფორმდა შეთანხმება საქონლის მიწოდების შესახებ გენერალურ ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ, რომლითაც ხელშეკრულებას დაემატა 2.11 პუნქტი, რომლის თანახმადაც, გენერალური მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და მოქმედების განმავლობაში დილერის შემკვეთის შესაბამისად მიენოდებინა საქონელი მისი თვითღირებულების ზევით არაუმეტეს 3% ფასნამატის პირობებით დღგ-ს ჩათვლით, მხარეებმა ასევე იკისრეს ვალდებულება 2014 წლის 20 მაისიდან ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყვით არანაკლებ 1 000 000 ლარის ოდენობის ბრუნვა დღგ-ს ჩათვლით (იხ. გენერალური ხელშეკრულება; შეთანხმება).

21. 2014 წლის 07 მარტს მოპასუხემ, როგორც პირველი კომპანიის დირექტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდაპირველი მოპასუხის, როგორც პირველი კომპანიის იმჟამინდელი დირექტორის წინააღმდეგ პირველი კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. სარჩელის საფუძვლად მითითებული იქნა პირველი კომპანიის ყოფილი დირექტორის – თავდაპირველი მოპასუხის მიერ 2014 წლის 26 მაისიდან 2014 წლის 5 ივნისამდე პერიოდში, პირველი კომპანიის კუთვნილი 249002,91 ლარის ღირებულების საქონლის მეორე კომპანიისათვის მიყიდვის ფაქტი 1-2%-იანი მოგებით, მაშინ როდესაც პირველი კომპანია საქონელს ყიდის 15-20%-იანი მოგებით, რითაც პირველმა კომპანიამ ნახა 31 400,87 ლარის ღირებულების ზიანი. აღნიშნულ სარჩელზე უარის თქმის მოთხოვნით სასამართლოს განცხადებით მიმართა მოპასუხემ, როგორც პირველი კომპანიის დირექტორმა, რომელმაც განმარტა, რომ შემხვედრი გარემოებების გათვალისწინებით, უარს ამბობდა თავდაპირველი მოპასუხის მიმართ აღძრულ სარჩელზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა. მოპასუხის როგორც პირველი კომპანიის დირექტორის განცხადების საფუძველზე შეწყდა საქმის წარმოება (იხ. სარჩელი; განცხადება).

22. 2014 წლის 18 ივნისს მოპასუხემ, როგორც პირველი კომპა-



ნიის დირექტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს გ. ტ-ის და ქ. ბ-ის წინააღმდეგ, მათ შორის, 2010 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. აღნიშნულ სარჩელზე უარის თქმის მოთხოვნით სასამართლოს განცხადებით მიმართა მოპასუხემ, როგორც პირველი კომპანიის დირექტორმა, რომელმაც განმარტა, რომ შემხვედრი გარემოებების გათვალისწინებით უარს ამბობდა ქ. ტ-ის და გ. ბ-ის მიმართ აღძრულ სარჩელზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა. განცხადების საფუძველზე საქმეზე შეწყდა საქმის წარმოება (იხ. სარჩელი; განცხადება).

23. მოპასუხემ, როგორც პირველი კომპანიის დირექტორმა 2014 წლის 30 ივლისს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მეორე კომპანიის საბანკო ანგარიშების 39 654.59 ლარის ფარგლებში დაყადაღება. განმცხადებელმა მოთხოვნა დაასაბუთა იმაზე მითითებით, რომ მეორე კომპანიის მიმართ აპირებდა სარჩელის აღძვრას 39 654.59 ლარის დაკისრების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 ივლისის განჩინებით განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მეორე კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშებს საერთო ჯამში 39 654.59 ლარის ფარგლებში. პირველი კომპანიის სარჩელზე მეორე კომპანიის წინააღმდეგ პირველი კომპანიის დირექტორის – მოპასუხის მიერ, სარჩელზე უარის თქმის გამო, შეწყდა საქმის წარმოება (იხ. 31.07.2014 წლის განჩინება; მხარეთა ახსნა-განმარტება).

24. 2014 წლის 22 მაისს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ მიღებული იქნა პირველი კომპანიის განცხადება ქ. ბ-ის მიმართ. აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანებით, ქ. ბ-ეს დაეკისრა 103 154.83 ლარის გადახდა პირველი კომპანიის სასარგებლოდ (იხ. განცხადების მიღების ბარათი; აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანება).

25. აუდიტორული დასკვნის თანახმად, 2014 წლის ივნისის თვეში პირველი კომპანიის ზარალმა შეადგინა 38 694 ლარი, ივლისის თვეში 61 204 ლარი, ხოლო აგვისტოს თვეში 33 771 ლარი, ჯამში 133 669 ლარი. დასახელებულ პერიოდში პირველი კომპანიის დირექტორის თანამდებობას მოპასუხე იკავებდა. (იხ. აუდიტორული დასკვნა).

26. 2007 წლის 14 დეკემბერს თავდაპირველი მოპასუხე დაინიშნა პირველი კომპანიის დირექტორად. მასვე დაენიშნა ყოველთვიური ხელფასი 3410 ლარი.

27. აუდიტორული კომპანია შპს „ჩ-ის“ ხელფასების გაანგარიშებასთან დაკავშირებით ჩატარებული 2015 წლის 05 მარტის აუდიტის დასკვნის თანახმად, 3410 ლარის ხელფასის პირობებში 2008 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით თავდაპირველი მოპასუხეს დაერიცხებოდა 263138.00 ლარი, აღნიშნული კი პროგრამით დარიცხულ ხელფასთან შედარებით ნაკლებია 44 273.00 ლარით, რომლის 49%-ს შეადგენს 21 693,77 ლარი. (იხ. აუდიტორული დასკვნა).

28. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამენარმეო ურთიერთობიდან გამომდინარე პარტნიორის/აქციონერის მიერ გარდა მისთვის მიყენებული ზიანის თაობაზე სარჩელისა, შეიძლება ასევე აღძრული იქნეს დერივაციული (წაწარმოები) სარჩელი. ასეთი სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე გამოდის საწარმოს წარმომადგენლად. აღნიშნული მსჯელობა რეგლამენტირებულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტში, რომლის თანახმად, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება, პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში, არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ, ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

29. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე სარჩელი აღძრულია მოსარჩელის მიერ, როგორც ამ საწარმოს პარტნიორის მიერ, საზოგადოების ნაცვლად და საზოგადოების სასარგებლოდ.

30. წინამდებარე დავის ფარგლებში კი, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს საწარმოს დირექტორების მიერ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების შედეგად საწარმოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობა.

31. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს პირველი კომპანიის სასარგებლოდ თავდაპირველი მოპასუხისათვის ამ უკანასკნელის მიერ „ვითომ ხელფასის“ სახით მიღებული 44 273 ლარის დაკისრება.

32. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქმეში წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 01.05.2015 წლის გადაწყვეტილებას, რომლითაც ირკვევა, რომ სარჩელი თავდაპირველი მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა. აღსანიშნა-

ვია, რომ სასარჩელო მოთხოვნა როგორც წინამდებარე დავის ასევე დასახელებული გადანყვეტილების შემთხვევაში, ეფუძნება იმ ფაქტობრივ მოცემულობას, რომ აუდიტორული კომპანია შპს „ჩის“ დასკვნის მიხედვით, თავდაპირველმა მოპასუხემ ხელფასის სახით 2008 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით პირველი კომპანიისაგან ზედმეტად მიიღო 44 273 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით კი, კომპანიამ და შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც პირველი კომპანიის 49%-იანის წილის მფლობელმა პარტნიორმა განიცადა ზიანი. ნიშანდობლივია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 01.05.2015 წლის გადანყვეტილებაში სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ პირველ კომპანიას მისი დირექტორის, მოპასუხის სახით უარი აქვს ნათქვამი სარჩელზე თავდაპირველი მოპასუხის მიმართ იგივე დავის საგანზე, რის გამოც, საქმის წარმოება შეწყდა. იმ პირობებში, როდესაც წინამდებარე სარჩელი საზოგადოების პარტნიორის მიერ აღძრულია საზოგადოების სასარგებლოდ. ამასთან, დგინდება, რომ საზოგადოებამ უფლების დაცვის მიზნით კონკრეტულ საკითხთან მიმართებით სარჩელით უკვე მიმართა სასამართლოს, რომელზეც დირექტორის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო შეწყდა საქმის წარმოება და აღნიშნულის თაობაზე განჩინება შესულია კანონიერ ძალაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მოსარჩელის, როგორც პირველი კომპანიის პარტნიორის სარჩელზე პირველი კომპანიის სასარგებლოდ თავდაპირველი მოპასუხისათვის 44 273 ლარის დაკისრების ნაწილში, საქმის წარმოების შეწყვეტის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. მითითებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება. ამგვარი გადანყვეტილება ეხება იმავე მხარეებს შორის არსებულ დავას, სადაც იგივეა როგორც დავის საგანი (სასარჩელო მოთხოვნა), ასევე საფუძველები (ფაქტობრივი გარემოებები). სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვას აწესებს იმავე კოდექსის 272-ე მუხლი ისეთი გარემოებების არსებობისას, როდესაც მხარემ ერთხელ უკვე ისარგებლა ამ უფლებით და სასამართლომ იმსჯელა მხარის მოთხოვნაზე.

33. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა დირექტორების არაკეთილსინდისიერი ქმედებით საზოგადოებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის საკითხზე და აღნიშნა შემდეგი:

34. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 პუნქტში დასახელებულ პირებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საზოგადოების მიმართ გააჩნიათ ფიდუციური მოვალეობები, ერთი მხრივ, საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით არ გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. დასახელებული ნორმა საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი და პასუხს იძლევა კითხვაზე – მსგავს შემთხვევაში, თუ როგორ უნდა განაწილდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი.

35. სააპელაციო სასამართლოს მითითებით თავდაპირველი მოპასუხის და მოპასუხის მიმართ აღძრულ მოთხოვნას მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ რამდენიმე საფუძველი გააჩნია.

36. საზოგადოების ხელმძღვანელობის პერიოდში თავდაპირველი მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედებით საზოგადოებისთვის მიყენებულ ზიანად მოსარჩელე მეორე კომპანიისათვის საქონლის დაბალ ფასად მიყიდვას მიიჩნევს და განმარტავს, რომ პირველმა კომპანიამ საქონლის დაბალ ფასად გაყიდვის შედეგად 31 400.87 ლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო.

37. თავდაპირველი მოპასუხის არაკეთილსინდისიერი მმართველობის შედეგად კომპანიისთვის მიყენებულ ზიანად მოსარჩელე 103 054.83 ლარს მიიჩნევს, რომელიც საზოგადოებას მოვალის მიმართ მოთხოვნის წაუყენებლობით მიაღვა. მოვალე კი, მოგვიანებით გადახდისუუნარო გახდა. მოპასუხის მიერ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების შედეგად საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანად მისი მმართველობის დროს თავდაპირველმა მოპასუხემ მეორე კომპანიის გ. ტ-ს და ქ. ბ-ის მიმართ კომპანიის სახელით აღძრულ სარჩელებზე უარის თქმას მიიჩნევს, რითაც პირველმა კომპანიამ დაკარგა მათ მიმართ სასამართლო დავის უფლება. მოპასუხის, როგორც დირექტორის მიერ კომპანიისთვის მიყენებულ ზიანად მოსარჩელე შპს „კ-ის“ 2014 წლის 25 სექტემბრის აუდიტო-

რული დასკვნით გამოვლენილ ზარალსაც მიიჩნევს, რომელიც კომპანიამ განიცადა მისი დირექტორობის პერიოდში.

38. დირექტორის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, საგულისხმოდ იქნა მიჩნეული „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი, რომელიც ზრუნვის მოვალეობას მოითხოვს დირექტორისაგან, რაც გულისხმობს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა, „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.

39. განსახილველ შემთხვევაში, თავდაპირველი მოპასუხის, როგორც დირექტორის მიერ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების თვალსაზრისით, მოსარჩელემ მიუთითა დირექტორის მიერ პროდუქციის 1-2%-იანი ფასდანამატით გაყიდვაზე. აღნიშნულ გარემოებაზე მითითება არ იქნა მიჩნეული საკმარის საფუძვლად, რომ დირექტორის გადაწყვეტილება შეფასებულიყო პირადი დაინტერესებით მიღებულ გადაწყვეტილებად კომპანიის საზიანოდ. ამასთან, მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ თავდაპირველი მოსარჩელის წინააღმდეგ აღნიშნული საფუძვლით საზოგადოებამ ერთხელ უკვე ისარგებლა სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით, რაზეც საზოგადოების იმჟამინდელი დირექტორის მოპასუხის განცხადების საფუძველზე შეწყდა საქმის წარმოება.

40. შესაბამისად, თავდაპირველი მოპასუხის მიმართ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებაზე გავრცელდა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია“, რომლის საწინააღმდეგო, საქმის მასალებით არ დადასტურდა.

41. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერც მოპასუხის მიმართ შესძლო ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფციის გაქარწყლება მისი დირექტორობის პერიოდში 133 669 ლარის ოდენობით განცდილ ზარალთან მიმართებით.

42. რაც შეეხება მოთხოვნას მოპასუხისათვის ქ. და გ. ტ-ის მიმართ სარჩელზე უარის თქმის გამო 103054.83 ლარის დაკისრების შესახებ, იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია პირვე-

ლი კომპანიის განცხადება ქ. ბ-ის მიმართ, რომლითაც ქ. ბ-ეს პირველი კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 103 154.83 ლარის გადახდა. ამასთან, მოსარჩელის/აპელანტის ახსნა-განმარტების გარდა, რომელსაც არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ ქ. ბ-ე გადახდისუუნაროა, ან მის მიმართ შეწყდა სააღსრულებო წარმოება, საკმარის საფუძვლად იქნა მიჩნეული დასკვნისათვის, რომ მიუხედავად მოპასუხის მიერ სარჩელზე უარის თქმისა, საზოგადოებას არ დაუკარგავს ქ. ბ-ისგან თანხის ამოღების შესაძლებლობა.

43. განსახილველ შემთხვევაში, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ, როგორც პირველი კომპანიის დირექტორმა უარი თქვა თავდაპირველი მოპასუხის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე, კომპანიისათვის მიყენებული ზიანის – 31 400.87 ლარის ანაზღაურების თაობაზე. აგრეთვე, უარი თქვა პირველი კომპანიის მიერ აღძრულ სარჩელზე მეორე კომპანიის წინააღმდეგ, რომელსაც პირველი კომპანიის მიმართ დაგროვილი ჰქონდა 39 654.59 ლარის ოდენობით დავალიანება.

44. მართალია, კონკრეტულ შემთხვევაში, შეუძლებელია იმის განსაზღვრა დადგებოდა თუ არა თავდაპირველი მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხი, ან/და დაეკისრებოდა თუ არა მეორე კომპანიას სარჩელით მოთხოვნილი თანხა, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც კომპანიამ მისი დირექტორის მეშვეობით განკარგა უფლება თავდაპირველი მოპასუხის და მეორე კომპანიის მიმართ არსებული მოთხოვნების ფარგლებში სარჩელის აღძვრის გზით, მათზე უარის უარის თქმით დირექტორმა საზოგადოებას მოუსპო სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვის შესაძლებლობა.

45. ნიშანდობლივია, რომ სარჩელს ამ ნაწილში, მოპასუხემ დაუპირისპირა შესაგებელი, სადაც განმარტა, რომ მიუხედავად სარჩელზე მისი უარისა, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პარტნიორს რჩება უფლება იდავოს კომპანიის სახელით, აღნიშნულის გათვალისწინებით კი მისი ქმედება საზოგადოებისთვის ზიანის მომტანი ვერ იქნებოდა. პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, კიდევ ერთხელ გაამახვილოს მხარეთა ყურადღება მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დანაწესზე, რომლის თანახმად, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. ამდენად, აღნიშნული ნორმის მიხედვით პარტნიორს საზოგადოების სახელით და მის სასარგებლოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს სარ-

ჩელის აღძვრის უფლება, თუ თავად საზოგადოება არ განახორციელებს მოთხოვნას ვალდებული პირის მიმართ. ნიშანდობლივია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში უდავო გარემოებას წარმოადგენს საზოგადოების მიერ ვალდებული პირების მიმართ უფლების განხორციელება, როგორც სარჩელის შეტანის ისე მასზე უარის თქმის თვალსაზრისით. აღნიშნული კი, გამორიცხავს საზოგადოების პარტიორის მიერ საზოგადოების სახელით, იმავე მოთხოვნებზე და იმავე საფუძვლით უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხის გადანყვეტილება პირველი კომპანიის მიერ თავდაპირველი მოპასუხის და მეორე კომპანიის მიმართ აღძრულ სარჩელებზე უარის თქმასთან დაკავშირებით ვერ დაკვალიფიცირდება, როგორც ბიზნეს გადანყვეტილება.

46. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ პირველი კომპანიის მიერ აღძრულ სარჩელებზე უარის თქმით დაარღვია მასზე, როგორც დირექტორზე დაკისრებულ ფიდუციური მოვალეობა, კონკრეტულად კი, ზრუნვის (გულმოდგინების) მოვალეობა, რამეთუ მოპასუხის ქმედებით კომპანიამ დაკარგა ის კომერციული შანსი, რომელიც შესაძლოა სასამართლო გადანყვეტილებით ანაზღაურებას დაქვემდებარებოდა, მან კი აღნიშნული შანსი კომპანიას მოუსპო, მეტიც, კომპანიას მისი ქმედებით წაერთვა შესაძლებლობა ხელმეორედ იდავოს აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით სასამართლოში. აღნიშნული კი მიუთითებდა მისი, როგორც კომპანიის დირექტორის მიერ ზრუნვის მოვალეობის დარღვევაზე, ვინაიდან მისი ქმედება ცხადყოფდა, რომ იგი კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისთვის არ მოქმედებდა, რითაც კომპანიას მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

47. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა მოსარჩელის და მოპასუხის მიერ.

48. პირველი კასაციის საფუძვლები:

49. პირველი კასატორი (მოპასუხე) მოითხოვს გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს პირველი კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 71 055,46 ლარის (31400.87+39654.59) გადახდა. პირველი კასატორი თვლის, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება უსაფუძვლოა, რადგან სააპელაციო სასამართლომ საზოგადოების სასარგებლოდ პასუხისმგებლობა დააკისრა მის ყოფილ დირექტორს, მაშინ როცა მომჩივანი მხარე იყო არა საზოგადოება, არამედ მისი 49%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მე-6 ქვეპუნტსა და 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „კ“ ქვე-

პუნქტებზე მითითებით პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ ამ კანონის მიხედვით როგორც შპს-ს, ასევე სს-ს დირექტორის მიმართ მოთხოვნის დაყენების უფლება აქვს მხოლოდ საზოგადოებას, რომელსაც წარმოადგენს არა დირექტორი, არამედ – საერთო კრება ანუ, როდესაც საზოგადოება დირექტორს უპირისპირდება, მას წარმოადგენს საერთო კრება. აღნიშნული ნორმის დანაწესი თანაბრად ვრცელდება მოქმედ და ყოფილ დირექტორზე, რადგან საერთო კრებისა და დირექტორის ურთიერთობა არის ფიდეუციური, დირექტორზე არ ვრცელდება შრომის კოდექსი და თუ იგი საერთო კრების ნდობას დაკარგავს, ტოვებს თანამდებობას. შესაბამისად, პროცესში მოსარჩელეს წარმოადგენს საზოგადოება, ხოლო მოპასუხეს – ყოფილი ან მოქმედი დირექტორი. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველივე წინადადება გამორიცხავს მის გამოყენებას საზოგადოების დირექტორის (მოქმედის თუ ყოფილის) მიმართ, რადგან ეს წესი ვრცელდება „მესამე პირის“ მიმართ. ცხადია, საზოგადოების კორპორატიული ორგანო (კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორი) არ მიიჩნევა მესამე პირად, არამედ – ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც არ არის საზოგადოება. ამასთან, სსკ-ის 317-ე მუხლი ჩამოთვლის მოთხოვნის წარმოშობის საფუძვლებს: 1) ხელშეკრულება; 2) ზიანის მიყენება (დელიქტი); 3) უსაფუძვლო გამდიდრება; 4) კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი. აქედან გამომდინარე, თუკი საზოგადოებას წარმოშობილი აქვს მოთხოვნა დასახელებული 4 საფუძველიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში, სხვა (მესამე) პირის მიმართ და მას არ იყენებს, მაშინ ენიჭება საზოგადოების პარტნიორს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას, იმოქმედოს თავისი სახელით და საზოგადოების ინტერესებში. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე გასაჩივრებული გადაწყვეტილება საზოგადოების დირექტორის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში უსაფუძვლოა, რადგან სასამართლოს არასათანადო მოსარჩელედ უნდა ეცნო მოწინააღმდეგე მხარე და მიეღო სსსკ-ის 84-ე მუხლის შესაბამისი გადაწყვეტილება.

50. პირველი კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ ურთიერთგამომრიცხავად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ვინაიდან, ერთ შემთხვევაში სასამართლომ თავდაპირველი მოპასუხის მიმართ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა 31 400,87 ლარის ოდენობით, ხოლო მეორე შემთხვევაში – მეორე კომპანიის მიმართ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა 39 654,59 ლარის ოდენობით, დააკისრა მოპასუხეს სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტისათვის.



51. პირველი კასატორი განმარტავს, რომ თავდაპირველმა მოპასუხემ, როგორც პირველი კომპანიის დირექტორმა მეორე კომპანიის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა მიყიდა დაბალი 1-2%-იანი ფასნამატით (მოსარჩელის განმარტებით, რეალიზაცია უნდა განხორციელებულიყო 15-20%-იანი ფასნამატით), რითაც მან პირველ კომპანიას მიაყენა ზიანი 31 400,87 ლარის ოდენობით. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად საზოგადოების მიმართ დირექტორის მოვალეობებზე („ზრუნვის მოვალეობა“; საქმეების კეთილსინდისიერად გაძღოლის მოვალეობა; „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია“), რომლის შესაბამისად სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ დირექტორს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისთვის, რაც ისეთმა შეცდომამ გამოიწვია, რომელიც ნებისმიერ გულმოდგინე დირექტორსაც კი შეიძლებოდა მოსვლოდა. პასუხისმგებლობა მხოლოდ უხეში შეცდომისათვის უნდა დადგეს, რომელიც ჯანსაღი გონებისა და ჩვეულებრივი გულმოდგინების ადამიანს არ უნდა მოსვლოდა.

52. საკასაციო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობასთან დაკავშირებული მსჯელობით სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად განაცხადა, რომ თავდაპირველ მოპასუხეს საქონლის დაბალი ფასნამატით გაყიდვის გადაწყვეტილებით 31 400,87 ლარის ოდენობით ზიანი არ მიუყენებია საზოგადოებისათვის. თუმცა, მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ კასატორის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმით საზოგადოებას მიადგა ზიანი 31 400,87 ლარის ოდენობით, რადგან კასატორმა მას მოუხსო სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვის შესაძლებლობა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა ორი ურთიერთგამომრიცხავი გარემოება. თუ მივიჩნევთ, რომ თავდაპირველ მოპასუხის ქმედება საზოგადოებისათვის საზიანო ელემენტებს არ შეიცავს, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ საქმის წარმოების შეწყვეტით არც კასატორს მიუყენებია ზიანი საზოგადოებისათვის. კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.4-4.6 პუნქტებზე მითითებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მასთან დაკავშირებული მსჯელობით სააპელაციო პალატამ თეორიულად დაუშვა ის შესაძლებლობა, რომ სარჩელი დაკმაყოფილდებოდა თუ არა, ამის თქმა შეუძლებელია, რითაც გაიზიარა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. მხოლოდ სარჩელის შეტანა არ ნიშნავს მის უპირობო და სრულად დაკმაყოფილებას და ზიანის დადგენას. კა-

ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობამდე რთული იმის განსაზღვრა, დაკმაყოფილდება თუ არა სარჩელი და რა მოცულობით.

53. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო შესაგებელში მან დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტისას მოსარჩელეს, როგორც საზოგადოების 49%-იანი წილის მფლობელსა და მესაკუთრეს, უფლება აქვს ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით ედავოს თავდაპირველ მოპასუხეს და მეორე კომპანიას. აღნიშნულთან დაკავშირებით კი, სასამართლომ არასწორად განმარტა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და სსსკ-ის 272-ე მუხლის შინაარსი. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე სსსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელე საქმის წარმოების შეწყვეტის გამო მხარედ ვერ დასახელდება, ვინაიდან, იმ დროისათვის იგი მოსარჩელეს არ წარმოადგენდა და არც დასახელებული ნორმები გავრცელდება მასზე. სასამართლოს მიერ სსსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შინაარსის სხვაგვარი განმარტების შემთხვევაში, მოსარჩელე მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა აზრს კარგავს და შესაბამისად, არასწორია ეს განმარტება.

54. მეორე საკასაციო საჩივრის საფუძველი:

55. მეორე კასატორი (მოსარჩელე) გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სადავოდ ხდის იმ ნაწილში, რომლითაც მისი მოთხოვნა მოპასუხისათვის პირველი კომპანიის სასარგებლოდ 133 669 ლარის, ხოლო სოლიდარულად თავდაპირველ მოპასუხესთან ერთად მოპასუხისათვის პირველი კომპანიის სასარგებლოდ 103 054,83 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ასევე, იმ ნაწილს, რომლითაც მას თავდაპირველი მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის განუხლები ხარჯის ნაწილი – 7 149 ლარის გადახდა.

56. მეორე კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას იმის თაობაზე, რომ 2014 წლის ივნისის თვეში პირველი კომპანიის ზარალმა შეადგინა 38 694 ლარი, ივლისის თვეში – 61 204 ლარი, აგვისტოს თვეში – 33 771 ლარი, რაც ჯამში 133 669 ლარია. მისი განმარტებით, ეს გარემოება იყო მეორე კასატორის სარჩელის ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც სააპელაციო პალატამ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9

მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი სტანდარტებით შეაფასა, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ მეორე კასატორმა ვერ შეძლო ბიზნეს გადანყვეტილების მართებულობის პრეზუმფციის გაქარწყლება მოპასუხის მმართველობის დროს 133 669 ლარის ოდენობით განცდილ ზარალთან დაკავშირებით. შესაბამისად, მეორე კასატორი თვლის, რომ აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან და იგი იზიარებს დასახელებულ ნორმასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, გარდა საზოგადოების დირექტორის მიერ მიღებული გადანყვეტილებების მართებულობის პრეზუმფციის თაობაზე მსჯელობისა.

57. მეორე კასატორის განმარტებით, სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, განსახილველ შემთხვევაში ზემოაღნიშნული პრეზუმფციის შესაბამისად მტკიცების ტვირთის გადანაწილება მოსარჩელე მხარეზე არასწორია, რადგან კაპიტალური საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ პროცესში მტკიცების ტვირთის განაწილება სხვაგვარად ხდება, კერძოდ, იგი ეკისრებათ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და შპს-ს ხელმძღვანელებს, რასაც სამართლის თეორიაში მტკიცების ტვირთის შეზღუდვა ეწოდება, რაც გამომდინარეობს „მენარმეთა შესახებ“ კანონიდან [ლადო ჭანტურია, 2006წ, კომერციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში].

58. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ ზემოთ მითითებული მსჯელობის შესაბამისად, მის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა ზიანის ოდენობის არსებობის დადასტურება მოპასუხის დირექტორობის პერიოდში, რაც უდავოდ დადგინდა, ვინაიდან, მოპასუხემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ განცდილი ზიანი გარდაუვალი იყო და არ წარმოადგენდა მის მიერ მოვალეობის არაჯეროვან შესრულების შედეგს.

59. მეორე საკასაციო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ სრულად არ შეისწავლა მონინალმდეგე მხარეთა ქმედებები, კერძოდ, ის გარემოება, რომ თავდაპირველმა მოპასუხემ, როგორც საზოგადოების ყოფილმა დირექტორმა, დროულად არ მოითხოვა კომპანიის ერთ-ერთი მოვალის – ქ. ბ-ისაგან 103 054,83 ლარის გადახდა და შესაბამისად, ამ უკანასკნელმა თავისი ქონება გაასხვისა საკუთარ დედაზე, რითაც საფრთხე შეუქმნა გადანყვეტილების აღსრულებას. თავის მხრივ, მოპასუხემ უარი თქვა სამოქალაქო დავაზე, რომელიც პირველი კომპანიის სარჩელის საფუძველზე დაიწყო მოვალე ქ. ბ-ესა და გ. ტ-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, რაც ემ-

სახურებოდა მოვალისაგან თანხის ამოღების მიზანს.

60. მეორე კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო არ შეაფასა ზემოაღნიშნული გარემოებები და სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ დღეის მდგომარეობით კრედიტორ პირველი კომპანიის განცხადების საფუძველზე მიმდინარეობდა სააღსრულებო საქმის წარმოება მოვალე ქ. ბ-ის მიმართ და საზოგადოებას არ დაუკარგავს მოვალისაგან თანხის ამოღების შესაძლებლობა.

61. აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორს, ვინაიდან, 2013 წლიდან მიმდინარე სააღსრულებო საქმიდან არ მომხდარა დასახელებული მოვალისაგან თანხის მიღება და შესაბამისად აღსრულების მიმდინარეობა უშედეგოა, რაც სადავო არ გამხდარა, ხოლო მხარეები მოქმედებდნენ აშკარად მიკერძოებულად და დაუსაბუთებლად.

62. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ ადვოკატის ხარჯებთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინება, 2015 წლის 27 ივლისს თავდაპირველი მოპასუხის განცხადებით მიმართვის შედეგად დამატებითი გადანყვეტილების გამოტანით ადვოკატის ხარჯების მოსარჩელისათვის დაკისრების მოთხოვნაზე, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა, დასაბუთებული და საფუძველიანია, რადგან სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადანყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია. აღნიშნული გადანყვეტილება გამოცხადდა 30 ივნისს, ხოლო მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლოს 27 ივლისს მიმართა, რითაც მხარემ დაარღვია ზემოაღნიშნული ვადა.

63. მეორე კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ განჩინებაში მითითებული იყო მისი კერძო საჩივრით გასაჩივრების ვადის თაობაზე, თუმცა, მხარემ არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა, რის გამოც, ამ ნაწილში მისი მოთხოვნა უსაფუძველოა. ამასთან, წარმოდგენილი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადების თარიღითა და შინაარსით დგინდება, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების დამადასტურებელი ქვითარი №30418461 არის 5 000 ლარიანი და არა 3 500 ლარიანი. ხელშეკრულებით შეთანხმებულ ანაზღაურებასაც შეადგენდა 5 000 ლარი, ხოლო 3 500 ლარიანი ქვითრის შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება არ არის წარმოდგენილი, რის გამოც, გაუგებარია წარმოდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერში №36561061 მითითებული 3 500 ლარი რის ანაზღაურებას წარმოადგენს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

64. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის განჩინებით ი. რ-ის საკასაციო საჩივარი, ხოლო 2016 წლის 7 სექტემბრის განჩინებით პ. ნ-ის საკასაციო საჩივარი იქნა მიღებული წარმოებაში სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2017 წლის 10 ნოემბრის განჩინებით ორივე საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

65. განსახილველ საქმეში სარჩელი აღიძრა პირველი კომპანიის ყოფილი და მოქმედი დირექტორების მოქმედებების შედეგად პირველი კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

66. საგულისხმოა, რომ მოსარჩელის განმარტებით ზიანი გამოიხატა შემდეგში: 1. თავდაპირველი მოპასუხის მიერ პირველი კომპანიის მოვალე ქ. ბ-ის მიმართ სარჩელის არ აღძვრაში; 2. თავდაპირველი მოპასუხის მიერ 2014 წლის 26 მაისიდან 2014 წლის 5 ივნისის ჩათვლით პერიოდში, პირველი კომპანიის კუთვნილი 249002.91 ლარის ღირებულების საქონლის მეორე კომპანიისათვის მიყიდვაში 1-2%-იანი მოგებით, მაშინ როდესაც პირველი კომპანია საქონელს ყიდდა 15-20%-იანი მოგებით; 3. მოპასუხის მიერ პირველი კომპანიის სახელით შეტანილ სარჩელებზე უარის თქმაში; 4. თავდაპირველი მოპასუხის მიერ ზედმეტად ხელფასის სახით 44 273 ლარის აღებაში; 5. მოპასუხის მიერ დირექტორად ყოფნის პერიოდში, შესყიდვების განუხორციელებლობით შპს-სთვის ზიანის მიყენებაში.

67. დადგინლია, რომ სარჩელი დაკმაყოფილებულია მოპასუხისთვის პირველი კომპანიის სასარგებლოდ 71 055,46 ლარის (31400.87+39654.59) გადახდის დაკისრების ნაწილში. სწორედ ამ ნაწილში ხდის სადავოდ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას პირველი კასატორი და წარმოდგენილ საკასაციო შედავებას იმ პროცესულურ დარღვევაზე აფუძნებს, რომლის მიხედვით, მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი აღეძრა სარჩელი კომპანიის სასარგებლოდ [არასათანადო მოსარჩელე – სსსკ-ის 84-ე მუხლი]. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მე-6 ქვეპუნტსა და 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტების მიხედვით, როდესაც საზოგადოება დირექტორს უპირისპირდება, მას წარმოადგენს საერთო კრება. პირველი კასატორი აგრეთვე მიუთითებს, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები.

68. საკასაციო პალატა არ იზიარებს პირველი კასატორის შედავებას მოსარჩელის არასათანადო მხარის სტატუსთან მიმართებით.

69. საკასაციო პალატა პირველ რიგში, განმარტავს, რომ თანამედროვე საპროცესო სამართლებრივი დოქტრინა სარჩელს განსაზღვრავს, როგორც დანტერესებული პირის მიმართვას სასამართლოსადმი დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის მოთხოვნით, უფლების შესახებ დავის გადაწყვეტის გზით [სსსკ-ის მე-2 და მე-3 მუხლები]. განასხვავებენ სარჩელების კლასიფიკაციას, როგორც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის, ისე, მატერიალური კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე (შდრ: სუსგ №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი).

70. სარჩელის კლასიფიკაცია შესაძლებელია მოსარჩელის მოთხოვნათა მიხედვით. დოქტრინაში განვითარებული შეხედულების თანახმად, მატერიალურ სამართალში სარჩელის ძირითად სახეებად გვევლინება სანივთოსამართლებრივი სარჩელები, როგორებიცაა სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელები. სავინდიკაციო სარჩელი არის არამფლობელი მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის სარჩელი უკანონო მფლობელის წინააღმდეგ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული და ნატურით არსებული ნივთის დაბრუნების თაობაზე. ნეგატორული სარჩელი მიმართულია უფლების ისეთი დარღვევის წინააღმდეგ, რაც არ არის დაკავშირებული ნივთის მფლობელობის დაკარგვასთან, მაგრამ ხელშემშლელია ნივთის სარგებლობისა და განკარგვისთვის, ე.ი. პირი მოკლებულია ამ უფლებამოსილებათა განხორციელების შესაძლებლობას, რადგან სხვა პირი თავისი მოქმედებით ხელს უშლის მათ რეალიზებას; ვალდებულებითი-სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური, კონდიქციური) სარჩელები. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსული პირისთვის ქონების დაბრუნებისკენ და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისკენ. მაგალითად, დელიქტური სარჩელი მიმართულია არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებისკენ. ასეთია ის ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში. ვინდიკაციისგან განსხვავებით, რომლის საგანია მხოლოდ ნატურით არსებული ნივთი, დელიქტური სარჩელით შესაძლოა, ზიანის ანაზღაურება როგორც ნატურით, ისე ფულადი სახით, როცა ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია. კონდიქციური სარჩელები, რომლითაც ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სხვისი ქონებრივი სიკეთის ხარჯზე, პირის არამართლზომიერი თუ მართლზომიერი მოქმედების ან დაუძლეველი ძალის შედეგად მიღებულის (შეძენილი ან დაზოგილი) უკან დაბრუნება, რითაც მიიღწევა ქონებრივი მიმოქცევის ნონასწორობის აღდგენა დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენით (იხ., cvaigerti k., kotci h., შედარებითი

სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმანი ე. სუმბათაშვილის, თბ., 2001, 228).

71. დერივაციული სარჩელი კი, თანამედროვე ცივილისტური დოქტრინის, თუ კანონმდებლობის თანახმად, უფლებას აძლევს აქციონერს (ამ უფლებით უმეტესად სწორედ უმცირესობაში მყოფი აქციონერები სარგებლობენ), აგრეთვე, საზოგადოების პარტნიორებს გააკონტროლოს დირექტორის საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ დერივაციული სარჩელი კორპორაციული მართვის ამოცანების განხორციელების მიზნებსაც ემსახურება.

72. აღსანიშნავია, რომ კორპორაციულსამართლებრივ კონტექსტში ხელმძღვანელი (დირექტორი) სანარმოს და არა მისი აქციონერების / პარტნიორების მინდობილი პირი – მისი ფიდუციარია. აქციონერების / პარტნიორების ურთიერთობა კი განპირობებულია სწორედ „სანარმოს საუკეთესო ინტერესით“, ვინაიდან სწორედ აქციონერია / პარტნიორია სანარმოს წარმატების მთავარი მოსურნე და მისი მთავარი მოსარგებლე (ბენეფიციარი) (იხ., ჯუღელი გ., დირექტორთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ახალი სასამართლო პრაქტიკის შედარებით სამართლებრივი მიმოხილვა. ყურ. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა; აგრეთვე, იხ., Emanuel S., Emanual L., Corporations, Aspen Publishers Online, New York, 2009, 46-78; Modern Company Law for a Competitive Economy Final Report (London: DTI, 2001), paras. 6.19-6.40, Shareholder Litigation: Common Law, 212-249).

73. სამართლის მეცნიერებაში დერივაციულ (არაპირდაპირ) სარჩელს უწოდებენ აქციონერის/პარტიორის მიერ ინიცირებულ მოთხოვნას, რომელსაც იგი წარადგენს კორპორაციის სასარგებლოდ და კორპორაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. კორპორაციული მართვის პრინციპებით სარჩელის წარდგენის შესაძლებლობის აღიარება წარმოადგენს ინვესტორთა რწმენის გაზრდის საფუძველს და აღიქმება აქციონერთა უფლებების დაცვის რეალურ მექანიზმად, რაც ზოგადად კორპორაციულ მართვაში მცირე აქციონერთა/ მინორიტარ პარტნიორთა ჩართულობას უზრუნველყოფს და ეფექტური კორპორაციული მართვის მოდელის ჩამოყალიბებაზეც აისახება (იხ., მაჭავარიანი ს. დისერტაცია: კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში“. თბილისი, 2015, 143, 144).

74. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სანარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (დირექტორი) მოვალეობები სამ წინააღმდეგ შეიძლება დაიყოს: ა) გულმოდგინება, ბ) ერთგულება და გ) კეთილსინდისიერება. გულმოდგინების მოვალეობა გულისხმობს,

დირექტორის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელსაც მიიღებდა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივ სალად მოაზროვნე პირი. ერთგულების მოვალეობა მოიცავს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. დირექტორს გონივრულად უნდა სწამდეს, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ფიდეციუარი მოვალეობის საფუძველი, კეთილსინდისიერების ზოგადი სტანდარტია (დამატებით იხ., ჭანტურია ლ, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 202-203, 256, 302, 384-386, 405-407; მაისურაძე დ, სამენარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში, საკორპორაციო სამართლის კრებული I, რედ. ი. ბურდული, თბ., 2011, 113-117. ბურდული ი, ზუბიაშვილი ნ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 37, ველი 5-6, თბ., 2017.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თანამედროვე საკორპორაციო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „სამენარმეო განსჯის წესს“ ანუ, მოქმედებს პრეზუმფციად, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სანარმოს დირექტორები მოქმედებდნენ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერებისა და ინფორმირებულობის პრინციპის დაცვით, შესაბამისად, დირექტორების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, გადალახოს აღნიშნული პრეზუმფცია. დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს. დერივაციული სარჩელი უზრუნველყოფს, რომ დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიისათვის კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის (პარტნიორის) მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ასეთი სარჩელი, ერთის მხრივ, ერთგვარი პრევენციაა დირექტორის მხრიდან გადაცდომის სანინააღმდეგოდ, როდესაც მას გააზრებული აქვს, რომ აქციონერი (პარტნიორი) უფლებამოსილია დირექტორატის გვერდის ავლით დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი კომპანიის სახელით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დერივაციული სარჩელის აღვრა უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (case-by-case).

75. ამდენად, დერივაციული სარჩელის წარდგენისას მოსარჩე-



ლე გამოდის საწარმოს წარმომადგენლად. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება, პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში, არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ, ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სამეცნიერო დოქტრინაში ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ თუ აქციონერი საერთო კრებას მიმართავს და მიიღებს უარს სარჩელის წარდგენაზე, ეს აქციონერს სარჩელის წარდგენის უფლებას შეიძლება საერთოდ ართმევდეს. ამიტომაც, საერთო კრებისათვის მიმართვა არ უნდა წარმოადგენდეს სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას, თუ მისთვის წინასწარ სავარაუდო იყო, რომ მას შედეგი არ მოჰყვება. მით უმეტეს, პრაქტიკულ განხორციელებას იქნება მოკლებული საზოგადოების მინორიტარ პარტნიორთა (უმცირესობა) უფლება დაიცვან საზოგადოების ინტერესები სასამართლოსადმი დერივაციული სარჩელის აღძვრით. განსახილველი სარჩელიც აღძრულია პირველი კომპანიის მინორიტარი პარტნიორის მიერ დირექტორების (თავდაპირველი მოპასუხე და მოპასუხე) მიმართ, დავის საგანზე, რომელიც შეეხება კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას კომპანიისავე სასარგებლოდ. შესაბამისად, პირველი კასატორის პრეტენზია, რომ სარჩელის აღძვრამდე პროცედურული წესი არ ყოფილა დაცული, ზემოქმედებას ვერ იქონიებს პარტნიორის უფლებაზე დერივაციული სარჩელის აღძვრის თვალსაზრისით.

76. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის აღძვრის საპროცესო სამართლებრივ საკითხთან მიმართებით პირველმა კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

77. რაც შეეხება საკასაციო პრეტენზიას თანხის დაკისრების ნაწილში, აღსანიშნავია, რომ მოპასუხისათვის (პირველი კასატორი) გასაჩივრებული გადაწყვეტილებით თანხა (31 400,87 ლარი და 39 654,59 ლარი) დაკისრებულია საწარმოს დირექტორის მიერ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების შედეგად საწარმოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლით [„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 პუნქტი].

78. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო

სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება). მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზედაც მითითებულია ამ გადანყვეტილების პპ: 17-24-ში.

79. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი მოპასუხის და მოპასუხის მიმართ აღძრულ მოთხოვნას მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელე შემდეგ გარემოებებზე აფუძნებს: ერთი მხრივ, საზოგადოების ხელმძღვანელობის პერიოდში თავდაპირველი მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედებით საზოგადოებისთვის მიყენებულ ზიანად მოსარჩელე მეორე კომპანიისათვის საქონლის დაბალ ფასად მიყიდვას მიიჩნევს და განმარტავს, რომ პირველმა კომპანიამ საქონლის დაბალ ფასად გაყიდვის შედეგად 31 400,87 ლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო, ხოლო მეორე მხრივ, დასახელებული საფუძვლით თავდაპირველი მოპასუხის მიმართ აღძრულ სარჩელზე დირექტორის მიერ (მოპასუხე / პირველი კასატორი) უარის თქმით [სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტი] პირველმა კომპანიამ განიცადა ზიანი [საპროცესო მოქმედების განხორციელება].

80. პირველი კასატორის მითითებით, გასაჩივრებული გადანყვეტილებით დადგენილია, რომ თავდაპირველ მოპასუხეს საქონლის დაბალი ფასნამატით გაყიდვის გადანყვეტილებით 31 400,87 ლარის ოდენობით ზიანი არ მიუყენებია საზოგადოებისათვის. შესაბამისად, დაუსაბუთებელია, მოპასუხის მიერ აღძრულ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმით [სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტი – საპროცესო მოქმედების განხორციელება] საზოგადოებას როგორღა მიადგა ზიანი 31 400,87 ლარის ოდენობით (ურთიერთგამომრიცხავი გარემოება). თუ მივიჩნევთ, რომ თავდაპირველი მოპასუხის ქმედება საზოგადოებისათვის საზიანო ელემენტებს არ შეიცავს, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ საქმის წარმოების შეწყვეტით მოპასუხეს არ მიუყენებია ზიანი საზოგადოებისათვის (ამ გადანყვეტილების პ-52).

81. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ 31 400,87 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოპასუხისათვის (პირველი კასატორი) დაკისრების ნაწილში, პირველმა კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება). შესაბამისად, იურიდიულად ნაწილობრივ დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადანყვეტილება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე

მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

82. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი კომპანიის სასარგებლოდ 31 400,87 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების პირველი კასატორისათვის (მოპასუხე) დაკისრების არამართლმომიერება განპირობებულია საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებული პრეზუმფციით, რომელიც კომპანიის დირექტორს იცავს არაპროპორციული პასუხისმგებლობისაგან.

83. აღნიშნული პრეზუმფცია პრაქტიკაში განიმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში (იხ., სუსგ №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი; ას-1307-1245-2014, 06 მაისი, 2015 წელი), რომელშიც ერთ-ერთი სადავო საკითხი იყო კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობა. საკასაციო პალატის განმარტებით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვაგვარად ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზრუნვის მოვალეობა საგადასახადო ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი

გადანყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადანყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადანყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.

84. საგულისხმოა, რომ წინამდებარე დავაში მოსარჩელის პრეტენზია, რომელიც პირველი კომპანიის პროდუქციის 1-2%-იანი ფასნამატიტ გაყიდვასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაზე დირექტორის მიერ სარჩელზე უარის თქმას შეეხება [სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტი], ვერ აქარწყლებს მატერიალურ სამართალში მოქმედ პრეზუმფციას დირექტორის მიერ მიღებული გადანყვეტილების მართებულობასთან დაკავშირებით.

85. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, თითქოსდა დირექტორმა არამართლზომიერად განკარგა საპროცესო უფლება მოეთხოვა კომპანიის ყოფილი დირექტორისაგან უმართებულო გადანყვეტილების მიღებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, დაუსაბუთებელია. აღსანიშნავია, რომ კომპანიის /საზოგადოების ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს დირექტორი. თუკი დირექტორის მიმართ ვრცელდება „ბიზნეს გადანყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფცია კორპორაციული მართვის პროცესში, არსებობს ისეთივე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველი, რომ ყოფილი დირექტორის მიმართ აღძრული სარჩელის პერსპექტიულობა იმავე პრეზუმფციიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა და არ შეიძლება მიჩნეული იქნეს პირველი კომპანიისათვის მიყენებული ზიანის დამადასტურებელ უტყუარ გარემოებად.

86. აქედან გამომდინარე, ყოფილი დირექტორის მიმართ „უმართებულო“ ბიზნეს გადანყვეტილების მიღების ფაქტობრივი საფუძველით აღძრული სარჩელის პესპექტივის მოსპობა, ვერ მიიჩნევა საკმარის საფუძველად, რომ დირექტორის გადანყვეტილება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში [სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტი] მიჩნეულ იქნეს პირადი დაინტერესებით, კომპანიის საზიანოდ მიღებულ გადანყვეტილებად და საფუძველად დაედოს მოქმედი დირექტორისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. სხვა მტკიცებულებები კი, რომელთა ერთობლობაში შეფასებით პალატა მივიდოდა დასკვნამდე, რომ მოპასუხე (პირველი კასატორი), როგორც საზოგადოების დირექტორი ამ საზოგადოების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებდა, წარმოდგენილი არ არის [სსსკ-ის მე-3, მე-4 და 102-ე მუხლები]. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ თავდაპირველი მოპასუხის მიმართ აღძრულ სარჩელზე უარის

თქმით პირველმა კომპანიამ მისი დირექტორის მეშვეობით განკარგა უფლება, რითაც დირექტორმა საზოგადოებას მოუსპო სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვის შესაძლებლობა, დაუსაბუთებელია, რადგან ფიდუციური ვალდებულებები (ერთგულება და გულისხმიერება (ზრუნვა) მოითხოვს ხელმძღვანელისგან (დირექტორისგან), არ იმოქმედოს ინტერესთა კონფლიქტის დროს სანარმოს ინტერესების საპირისპიროდ, ასევე არ განახორციელოს ქმედებები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება სანარმოს ინტერესებს (მოგების მაქსიმიზაციას). დამოუკიდებელი (ინტერესთა კონფლიქტის გარეშე) მოქმედი დირექტორის ქმედების (სამენარმეო გადაწყვეტილების მიღებისას) შეფასებისას გამოიყენება ე.წ. „მართებული სამენარმეო გადაწყვეტილების პრეზუმფცია“ – Business Judgment Rule (მდრ: Larry E. Ribstein და Kelly A. Alces, ~Directors~ Duties in Failing Firms~, 1 J. Bus. & Tech. L. 529, 536, 2006-2007), რომლის გასაქარწყლებლად მოსარჩელის მიერ რელევანტური მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

87. ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სარჩელი მოპასუხის მიმართ 31,400.87 ლარის დაკისრების ნაწილში უარსაყოფი იყო, რამდენადაც მოსარჩელემ ვერ დაადასტურა დირექტორის პირდაპირი დანტერესება კომპანიისათვის ზიანის მიყენების თვალსაზრისით.

88. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, ამიტომ საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც პირველ კასატორს (მოპასუხეს) დაეკისრა პირველი კომპანიის სასარგებლოდ 31 400,87 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება და ამ ნაწილში, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

89. პირველი კასატორის შედავება აგრეთვე წარმოდგენილია 39 654.59 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, პირველმა კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

90. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოპასუხემ, როგორც პირველი კომპანიის დირექტორმა 2014 წლის 30 ივლისს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ

განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მეორე კომპანიის საბანკო ანგარიშების 39 654.59 ლარის ფარგლებში დაყადაღება. განმცხადებელმა მოთხოვნა დაასაბუთა იმაზე მითითებით, რომ მეორე კომპანიის მიმართ აპირებდა სარჩელის აღძვრას 39 654.59 ლარის დაკისრების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 ივლისის განჩინებით განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მეორე კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშებს საერთო ჯამში 39 654.59 ლარის ფარგლებში. პირველი კომპანიის სარჩელზე მეორე კომპანიის წინააღმდეგ პირველი კომპანიის დირექტორის – მოპასუხის მიერ, სარჩელზე უარის თქმის გამო, შეწყდა საქმის წარმოება (იხ. ამ გადაწყვეტილების პ-23).

91. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა 39 654.59 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში იმ გარემოებას ეფუძნება, რომ პირველი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე უარის თქმით [სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტი] მოსარჩელე კომპანიამ, რომელსაც მოთხოვნა გააჩნდა 39 654.59 ლარზე, განიცადა ზიანი. ზიანის დადგომაში კი, მოსარჩელე პასუხისმგებელ პირად მიიჩნევს დირექტორს, რომელმაც არამართლზომიერად განკარგა კომპანიის მიერ დირექტორისთვის მინიჭებული უფლება წარმოედგინა კომპანიის ინტერესები მესამე პირებთან, მათ შორის, სასამართლოში და კეთილსინდისიერად (გულმოდგინედ) განეკარგა კომპანიის საპროცესო უფლება, რითაც ერთმნიშვნელოვნად დაირღვა დირექტორის ფიდეჯური მოვალეობები (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-83). ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული დავალიანების მოთხოვნაზე უარის თქმის საპროცესო უფლების რეალიზებით მიყენებული ზიანი არსებითად განსხვავდება იმ ზიანისაგან, რომელსაც მხოლოდ ჰიპოთეტურად ვარაუდობდა მინორიტარი პარტნიორი/მოსარჩელე კომპანიის დირექტორის მიერ მიღებული „ბიზნეს გადაწყვეტილების“ (დირექტორის საქმიანობა კორპორაციული მართვისას/ მატერიალური საკითხების გადაწყვეტა სანარმოს მართვისას) უმართებულობაზე მითითებით, რისთვისაც მტკიცების ტვირთის მაღალი სტანდარტია საჭირო, რომ გაქარწყლდეს დირექტორის მიმართ მოქმედი პრეზუმფცია, რაც ვერ ვიტყვით საპროცესო უფლების იმ თვალსაზრისით განხორციელებაზე, რა დროსაც, სარჩელი მიმართულია მეორე კომპანიის მიმართ არსებული დავალიანების გადახდევინებისაკენ.

92. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მოპასუხეში პირველი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის მიმართ

თანხის გადახდის მიზნით აღძრულ სარჩელზე უარის თქმით დაარღვია მასზე, როგორც დირექტორზე დაკისრებული ფიდელციური მოვალეობა, კონკრეტულად კი, ზრუნვის (გულმოდგინების) მოვალეობა, რამეთუ მოპასუხის ქმედებით კომპანიამ დაკარგა კომერციული შესაძლებლობა სასამართლო გადაწყვეტილებით მიელწია სასურველი შედეგისათვის. მეტიც, კომპანიას მისი ქმედებით წაერთვა შესაძლებლობა ხელმეორედ იდავოს აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით სასამართლოში. აღნიშნული კი მიუთითებდა მისი, როგორც კომპანიის დირექტორის მიერ ზრუნვის მოვალეობის დარღვევაზე, ვინაიდან მისი ქმედება ცხადყოფდა, რომ იგი კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისთვის არ მოქმედებდა, რითაც კომპანიას მიაყენა ზიანი 39 654.59 ლარის ოდენობით (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-23). შესაბამისად, ამ ნაწილში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები.

93. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია აგრეთვე მეორე საკასაციო საჩივარი, რომელიც წარმოდგენილია კომპანიის მინორიტარი პარტნიორის/მოსარჩელის მიერ და რომელიც შეეხება სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

94. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მეორე კასატორი ვერ ასაბუთებს სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმის არამართლზომიერებას. პირველ რიგში საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია მეორე კასატორის/ მოსარჩელის მოთხოვნები თავდაპირველი მოპასუხის/კომპანიის იმუამინდელი დირექტორის მიმართ სწორედ იმ სამართლებრივი დასაბუთებით, რომელზედაც ყურადღება გამახვილდა ამ გადაწყვეტილების პ-83-ში და რომელიც ეფუძნებოდა კომპანიის დირექტორის მიმართ ბიზნეს გადაწყვეტილებების მართებულობის შეფასების სირთულესთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხს, რა დროსაც მტკიცების ტვირთის მაღალი სტანდარტია დანესებული. აღნიშნული განპირობებულია (იხ., სუსგ №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი) „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციით, რომლის მიღმა იგულისხმება, რომ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.

95. რაც შეეხება მეორე კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ზემოაღნიშნული გარემოებები და სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა მხოლოდ იმ საფუძვლით,

რომ დღეის მდგომარეობით კრედიტორი პირველი კომპანიის განცხადების საფუძველზე მიმდინარეობდა სააღსრულებო საქმის წარმოება მოვალე ქ. ბ-ის მიმართ და საზოგადოებას არ დაუკარგავს მოვალისაგან თანხის ამოღების შესაძლებლობა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული პრეტენზია დაუსაბუთებელია, რადგან მოსარჩელის/მეორე კასატორის ახსნა-განმარტების გარდა, სხვა რელევანტური მტკიცებულებებით არ დასტურდება.

96. რაც შეეხება საპროცესო ხარჯების ნაწილში წარმოდგენილ მეორე საკასაციო პრეტენზიას, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ სარჩელი დაკმაყოფილდა მოპასუხისათვის მხოლოდ 71 055.46 ლარის დაკისრების ნაწილში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 4,974.8 ლარის ოდენობით ანაზღაურება დააკისრა მოპასუხეს. ხოლო ვინაიდან სარჩელი თავდაპირველი მოპასუხის მიმართ უარყოფილი იქნა, მოსარჩელეს დაეკისრა თავდაპირველი მოპასუხისათვის ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის დახმარებისთვის განუხლის ხარჯის ნაწილის 7149 ლარის ანაზღაურება [სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი].

97. მეორე კასატორი მიიჩნევს, რომ ადვოკატის ხარჯებთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინება, 2015 წლის 27 ივლისს თავდაპირველი მოპასუხის განცხადებით მიმართვის შედეგად დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით ადვოკატის ხარჯების მოსარჩელისათვის დაკისრების მოთხოვნაზე, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა, დასაბუთებული და საფუძვლიანია, რადგან სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია.

98. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადდა 30 ივნისს, ხოლო მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლოს 27 ივლისს მიმართა, რითაც მხარემ დაარღვია ზემოაღნიშნული ვადა. მეორე კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ განჩინებაში მითითებული იყო მისი კერძო საჩივრით გასაჩივრების ვადის თაობაზე, თუმცა, მხარემ არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა, რის გამოც, ამ ნაწილში მისი მოთხოვნა უსაფუძვლოა. ამასთან, წარმოდგენილი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადების თარიღითა და შინაარსით დგინდება, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების დამადასტურებელი ქვითარი №30418461 არის 5 000 ლარიანი და არა 3 500 ლარიანი. ხელშეკრულებით შეთანხმებულ ანაზ-



ლაურებასაც შეადგენდა 5 000 ლარი, ხოლო 3 500 ლარიანი ქვითრის შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება არ არის წარმოდგენილი, რის გამოც, გაუგებარია წარმოდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერში №36561061 მითითებული 3 500 ლარი რის ანაზღაურებას წარმოადგენს.

99. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ ნაწილში წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაშვები საკასაციო პრეტენზია.

100. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სარჩელი თავდაპირველი მოპასუხის მიმართ უარყოფილი იქნა თბილისის საქალაქო სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისს გადაწყვეტილებით (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-2).

101. 2015 წლის 27 ივლისს საქალაქო სასამართლოს ადვოკატის ხარჯების მოსარჩელისათვის დაკისრების მოთხოვნით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ მიმართა თავდაპირველმა მოპასუხემ, რაზედაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინებით უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ განმცხადებელმა გაუშვა სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის 7 დღიანი ვადა. აღნიშნული განჩინება განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია.

102. საკასაციო სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ „დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის 7-დღიანი ვადის დენის დაწყებას კი კანონი უკავშირებს გადაწყვეტილების გამოცხადებას და არა მხარისათვის მის ჩაბარებას (იხ. სუსგ №ას-225-217-2012, 25.06.2012 წ.), რადგან სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ მხარეებისათვის (სამართლოსათვის) ცხადი ხდება, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია ერთ-ერთი იმ ხარვეზით, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი. შესაბამისად, კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული დათქმა ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლომ დროულად გამოასწოროს მის მიერ დაშვებული ხარვეზი“ (იხ. სუსგ-ები №ას-795-754-2013, 29.11.2013 წ.; ასევე, №ას-920-870-2015, 09.06.2016წ.) „საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ ნესებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე ან სასამართლოს მიხედვლებზე ვერ იქნება დამოკიდებული“ (იხ. სუსგ-ები №ას-520-479-2016, 05.09.2016წ; №ას-558-533-2016, 15.07.2016წ; №ას-562-537-2016, 15.07.2016წ; №ას-234-223-206, 22.04.2016წ.).

103. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დამატებითი გადაწყვეტილებით გადასაწყვეტი საკითხის, რომელზედაც მხარეს უარი ეთქვა საპროცესო ვადის გაშვების საფუძვლით [სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილი] და რომელიც მას არ გაუსაჩივრებია, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებში დაყენება დაუშვებელია, რის გამოც, ადვოკატის ხარჯების 5000 ლარის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტი.

104. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოში განეული წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების საკითხს, ამ ნაწილში, მეორე კასატორი მიიჩნევს, რომ მას/მოსარჩელეს არ უნდა დაჰკისრებოდა თავდაპირველი მოპასუხის მიმართ წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურება ამგვარი ხარჯის განევის მტკიცებულებათა წარუდგენლობის საფუძვლით.

105. საკასაციო პალატა არ იზიარებს მეორე კასატორის პრეტენზიას ამ ნაწილში და მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მხარეს წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონდა წარდგენილი, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ არსებობდა მოგებული მხარისათვის სასამართლოსგარეშე ხარჯის ანაზღაურების წინაპირობები (იხ., სუსგ №ას-330-315-2015, 29 ივნისი, 2015 წელი; სუსგ №ას-792-1114-07, 11 თებერვალი, 2008 წელი). საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან... ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და სა-

ჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სა-  
მოქალაქო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული  
სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანიძე საქართველოს წინააღ-  
მდეგ“). ამდენად, სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა  
მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება. აღნიშნულიდან  
გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლოს  
შეხედულებით ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგ-  
ნის ღირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ცენზის დად-  
გენა გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას და უზრუნ-  
ველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების  
გადახდა უნდა დაეკისროს.

106. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მხედველობა-  
ში იღებს იმ გარემოებას, რომ თავდაპირველ მოპასუხეს სააპელა-  
ციო ინსტანციის სასამართლოში მომსახურებას უწევდა ადვოკა-  
ტი, რომლის მომსახურებისთვის თავდაპირველ მოპასუხეს განე-  
ული აქვს ხარჯი 3500 ლარი.

107. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსი ადგენს მართლმსაჯულების განხორციელების გა-  
მა მოგებული მხარის ინტერესების დაცვის პროცენტულ ზღვარს  
და კანონმდებლობით გათვალისწინებულია, როგორც ქონებრივი,  
ისე არაქონებრივი დავისას იურიდიული მომსახურების ხარჯის გო-  
ნივრული და სამართლიანი ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმი.  
53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის წარმომად-  
გენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებ-  
ლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკის-  
რებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს  
დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი  
დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და  
სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. შესაბა-  
მისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან სარჩელი თავ-  
დაპირველი მოპასუხის მიმართ სააპელაციო ინსტანციის სასამარ-  
თლოშიც არ დაკმაყოფილდა, თავდაპირველი მოპასუხის მიერ ად-  
ვოკატის დახმარებისთვის განეულის ხარჯის ნაწილის 2,149 ლა-  
რის ანაზღაურების მოსარჩელისათვის დაკისრება სსსკ-ის 53-ე  
მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მართლზომიერად უნდა იქ-  
ნეს მიჩნეული და ამ ნაწილში, მეორე საკასაციო საჩივარი არ უნდა  
დაკმაყოფილდეს.

108. საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია აგრეთვე მოსარ-  
ჩელის/მეორე კასატორის მიერ წარმოდგენილი კერძო საჩივარიც.  
აღსანიშნავია, რომ კერძო საჩივრის ავტორი ასაჩივრებს თბილი-  
სის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016

წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც სარჩელზე თავდაპირველი მოპასუხის მიმართ, პირველი კომპანიის სასარგებლოდ 44 273 ლარის დაკისრების ნაწილში, შეწყდა საქმის წარმოება სსსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი).

109. დადგენილია, რომ თავდაპირველი მოპასუხის მიმართ, პირველი კომპანიის სასარგებლოდ 44 273 ლარის დაკისრების ნაწილში, საქმის წარმოების შეწყვეტას ფაქტობრივ საფუძვლად ის გარემოებები დაედო, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი იქნა თბილისის სამოქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 01.05.2015 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილი იქნა, რომ პირველ კომპანიას მისი დირექტორის – მოპასუხის სახით უარი აქვს ნათქვამი სარჩელზე თავდაპირველი მოპასუხის მიმართ იგივე დავის საგანზე, რის გამოც, საქმის წარმოება შეწყდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა როგორც წინამდებარე დავის, ასევე, დასახელებული გადაწყვეტილების შემთხვევაში ეფუძნება იმ ფაქტობრივ მოცემულობას, რომ აუდიტორული კომპანია შპს „ჩ-ის“ დასკვნის მიხედვით, თავდაპირველმა მოპასუხემ ხელფასის სახით 2008 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით პირველი კომპანიისაგან ზედმეტად მიიღო 44 273 ლარი, აღნიშნულის გათვალისწინებით კი, კომპანიამ და შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც ამ კომპანიის 49%-იანის წილის მფლობელმა პარტნიორმა, განიცადა ზიანი.

110. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან წინამდებარე სარჩელი საზოგადოების პარტნიორის მიერ აღძრულია საზოგადოების სასარგებლოდ, ამასთან დგინდება, რომ საზოგადოებამ უფლების დაცვის მიზნით კონკრეტულ საკითხთან მიმართებით სარჩელით უკვე მიმართა სასამართლოს, რომელზეც დირექტორის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო შეწყდა საქმის წარმოება, ამასთან, უდავოა, რომ აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, არსებობდა სარჩელის, როგორც პირველი კომპანიის პარტნიორის სარჩელზე პირველი კომპანიის სასარგებლოდ თავდაპირველი მოპასუხისათვის 44 273 ლარის დაკისრების ნაწილში, საქმის წარმოების შეწყვეტის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი].

111. კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნავს, რომ დასახელებულ

ორივე დავაში დავის საგანი და საფუძველი ერთი და იგივეა, თუმცა, განსახილველ დავაში მოსარჩელეს წარმოადგენს კერძო საჩივრის ავტორი და არა პირველი კომპანია, რის გამოც, გამოირიცხება სსსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის წინაპირობები. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით სამეწარმეო კანონმდებლობა იმიტომ ითვალისწინებს პარტნიორის დავას ყოფილი დირექტორის თუ სხვა მესამე პირების მიმართ, რომ შესაძლოა მოსარჩელე პარტნიორი საზოგადოებაში უმცირესობას წარმოადგენდეს და დომინანტი პარტნიორები ან/და საზოგადოების დირექტორები განზრახ არ აწარმოებდნენ დავას მესამე პირების ან/და ყოფილი დირექტორების მიმართ და უმცირესობაში მყოფ პარტნიორს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, დაიცვას საზოგადოების ინტერესები საზოგადოებისათვის სასარგებლოდ.

112. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებას ჰქონდა ადგილი, ვინაიდან, დირექტორმა განზრახ თქვა უარი ყოფილი დირექტორის მიმართ აღძრულ სამოქალაქო საქმეზე და ეს უარი ვერაფრით დაასაბუთა, რითაც საზოგადოებას წაერთვა შესაძლებლობა იგივე საფუძველით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ამით კი, ირღვევა მისი, როგორც პარტნიორის უფლებები.

113. საკასაციო პალატა კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

114. უდავოდ დადგენილია, რომ პირველ კომპანიას მისი დირექტორის – მოპასუხის სახით უარი აქვს ნათქვამი სარჩელზე თავდაპირველი მოპასუხის მიმართ იგივე დავის საგანზე, რის გამოც, საქმის წარმოება შეწყდა.

115. დადგენილია, რომ სასარჩელო მოთხოვნა როგორც წინამდებარე დავის, ასევე, დასახელებული გადაწყვეტილების შემთხვევაში ეფუძნება იმ ფაქტობრივ მოცემულობას, რომ აუდიტორული კომპანია შპს „ჩ-ის“ დასკვნის მიხედვით, თავდაპირველმა მოპასუხემ ხელფასის სახით 2008 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით პირველი კომპანიისაგან ზედეტად მიიღო 44 273 ლარი, აღნიშნულის გათვალისწინებით კი, კომპანიამ და შესაბამისად მან, როგორც ამ კომპანიის 49%-იანის წილის მფლობელმა პარტნიორმა განიცადა ზიანი.

116. თბილისის საქალაქო სასამართლოს 01.05.2015 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გა-

რემოება მასზედ, რომ პირველ კომპანიას მისი დირექტორის მოპასუხის სახით უარი აქვს ნათქვამი სარჩელზე თავდაპირველი მოპასუხის მიმართ იგივე დავის საგანზე, რის გამოც, საქმის წარმოება შეწყდა [სსსკ-ის 271-ე მუხლის „გ“ პუნქტი].

117. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის სსსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო კერძო საჩივრის პოზიცია იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილი სარჩელი იგი, როგორც კომპანიის პარტნიორი დავობს თავდაპირველი მოპასუხის მიმართ და თუკი მას წაერთმევა სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, იმ მოტივით, რომ კომპანიის დირექტორმა უარი თქვა იმავე მოთხოვნაზე, მისი როგორც მინორიტარი პარტნიორი უფლება დაირღვევა, რადგან სარჩელის აღძვრის მიზანიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას კომპანია დირექტორის არამართლობიერი ქმედებით მიყენებული ზიანისაგან და ამასთან, პრაქტიკულ განხორციელებას იქნებოდა მოკლებული საკორპორაციო მართვის საკითხან დაკავშირებით უმცრესობაში მყოფი პარტნიორის უფლება მიმართოს სასამართლოს, დაუსაბუთებელია.

118. საკასაციო პალატა მიუთითებს ამ გადაწყვეტილების პ. 74-76-ში მოცემულ განმარტებაზე და აღნიშნავს, რომ დერივაციული სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე გამოდის საწარმოს წარმომადგენლად, ხოლო განსახილველ შემთხვევაში, მეორე კასატორი, როგორც საწარმოს წარმომადგენელი, მოითხოვს თავდაპირველი მოპასუხისთვის იმ ზიანის დაკისრებას, რომელი ზიანის დაკისრების საკითხზეც, თავის დროზე, საზოგადოების სახელით დირექტორმა უარი თქვა (იხ. პ-114). დირექტორი (მოპასუხე) კი, უფლებამოსილია საზოგადოების სახელით გამოვიდეს სასამართლოში, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (დისპოზიცია: ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში).

119. ამდენად, წარმოდგენილი იქნა იგივეობრივი სარჩელი თავდაპირველი მოპასუხის მიმართ, პირველი კომპანიის სასარგებლოდ 44 273 ლარის დაკისრების ნაწილში, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ მართებულად დაედო საფუძველად ამ ნაწილში, თავდაპირველი მოპასუხის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტას.

120. მოპასუხე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 ნაწილის „მ“ პუნქტის საფუძველზე, ხოლო საკასაციო საჩივრის

დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის – 1570 ლარის გადახდა, რომლისაგანაც გათავისუფლებული იყო მოპასუხე, უნდა დაეკისროს მოსარჩელეს სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე კი, მოპასუხეს (პირველი კასატორი) მოსარჩელის (მეორე კასატორი) სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე, სააპელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟის ნაწილის – 4,758.55 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. პ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ი. რ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. პ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. ი. რ-ეს შპს „ი-სის“ სასარგებლოდ დაეკისროს 39,654.59 ლარის გადახდა.
6. დანარჩენ ნაწილში, პ. ნ-ის სარჩელი ი. რ-ის მიმართ, არ დაკმაყოფილდეს;
7. პ. ნ-ის სარჩელზე თ. ჭ-იას მიმართ, შპს „ი-სის“ სასარგებლოდ 44 273 ლარის დაკისრების ნაწილში, შეწყდეს საქმის წარმოება.
8. პ. ნ-ეს თ. ჭ-იას სასარგებლოდ დაეკისროს ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ნაწილი – 2,149 ლარის გადახდა.
9. თ. ჭ-იას მოთხოვნა ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ნაწილის – 5000 ლარის პ. ნ-ისათვის დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდეს;
10. პ. ნ-ის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
11. ი. რ-ეს პ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე, სააპელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟის ნაწილის 4,758.55 ლარის გადახდა;
12. პ. ნ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს

სახელმწიფო ბაჟის გადახდა 1570 ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ... .

13. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საზოგადოების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობა

### ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-727-695-2016

23 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ა.“ (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) შპს „... ს-ის“ 50% წილის მფლობელი პარტნიორია. ამავე კომპანიის პარტნიორები არიან ასევე, კორპორაცია „რ.ე.ო.ს.ა პ.“ – 20%; კორპორაცია „ა.ო. ს.ა. პ.“ – 30%. ვ. მ. (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც მოპასუხე ან კასატორი) შპს „... ს-ის“ (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც საზოგადოება, ან კომპანია) დირექტორი იყო.

2. შპს „...ს.“ სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა შპს „G C“-სა და შპს „ი.ს-ს.კ-თან“ და მათი შეკვეთით, შეთანხმებული საზღაურით ასრულებდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს.

3. 2014 წლის 1 მაისს ვ. მ-ამ, როგორც ფიზიკურმა პირმა, შპს „... ს-თან“, რომელსაც თვითონ წარმოადგენდა, დადო წერილობითი შეთანხმება, რომლითაც მან იკისრა ვალდებულება, კომპანიისათვის სესხის სახით ერთი წლით, ნაწილ-ნაწილ საკუთრებაში გადაეცა 781 000 ლარი, წლიური 22%-ის სარგებლის მიღების პირობით. ამ შეთანხმების დადების შემდეგ, იმავე წლის მაისში ვ. მ-ამ შპს „...“



ს-ის“ სალაროში მხოლოდ 9 000 ლარი შეიტანა.

4. 2014 წლის 6 მაისს შპს „G.C“-სა და მოპასუხეს – როგორც ფიზიკურ პირს შორის დაიდო წერილობითი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ამ უკანასკნელს შპს „G.C“-საგან სესხის სახით უნდა მიეღო 494 000 ლარი, სამი თვით, წლიური 20% სარგებლის გადახდის პირობით. შეთანხმება მსესხებლის ანგარიშზე თანხის ეტაპობრივად ჩარიცხვის შესაძლებლობას ითვალისწინებდა.

5. 2014 წლის 3 ივნისს შპს „ი.ს-ს კ-სა“ და ვ. მ-ას – როგორც ფიზიკურ პირს შორის დაიდო წერილობითი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ვ. მ-ას შპს „ი.ს-ს კ-სა“ სესხის სახით უნდა მიეღო 276 000 ლარი, სამი თვით, წლიური 20% სარგებლის დარიცხვით. შეთანხმება მსესხებლის ანგარიშზე თანხის ეტაპობრივად ჩარიცხვის შესაძლებლობას ითვალისწინებდა.

6. 2014 წლის 24 მაისის მდგომარეობით შპს „ი.ს-ს კ-სა“ შპს „... ს-თვის“ გადასახდელი ჰქონდა შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 370 898.40 ლარი, ხოლო იმავე წლის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბრის მდგომარეობით, შპს „G.C“-ს შპს „... ს-თვის“ გადასახდელი ჰქონდა შესრულებული სამუშაოების ღირებულება 512 348.65 ლარი.

7. მოპასუხემ შპს „ი. ს-ს კ-ისა“ და შპს „G.C“-სგან სესხის სახით მიღებული ფულადი თანხებით შეასრულა კომპანიის წინაშე ნაკისრი ვალდებულება. მან 2014 წლის მაისიდან ნოემბრამდე პერიოდში კომპანიას 781 000 ლარი ჩაურიცხა.

8. შპს „... ს-ს“ (წარმოდგენილი დირექტორის – ვ. მ-ას სახით), მოპასუხესა (როგორც ფიზიკურ პირს) და შპს „G.C“-ს შორის 2014 წლის 1 ნოემბერს დაიდო მოთხოვნის დათმობისა და ურთიერთმოთხოვნების გაქვითვის შესახებ წერილობითი შეთანხმება, რომლის მიხედვით, შპს „... ს-ს“ შპს „G.C“-საგან მისაღები ჰქონდა საზღაური 525 469.4 ლარი; შპს „... ს-ს“ ვ.მ-ას მიმართ გააჩნდა სასესხო დავალიანება 829 698.75 ლარი. ფიზიკურმა პირმა ვ.მ-ამ მოთხოვნის უფლება შპს „... ს-ის“ მიმართ – 525 469.4 ლარზე (ძირითადი თანხა – 494 000 ლარი, სარგებელი – 31469.4 ლარი) დაუთმო შპს „G.C“-ს და, ვინაიდან ამ უკანასკნელს „... ს-ის“ მიმართ გააჩნდა დავალიანება 525 469.4 ლარი, განხორციელდა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, რის შემდეგაც შპს „G.C“-ს შესრულებულად ჩათვალა შპს „...ს-ის“ მიმართ ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება 525 469.4 ლარის ნაწილში.

9. შპს „... ს-ს“ (წარმოდგენილი დირექტორის – ვ. მ-ას სახით), მოპასუხესა (როგორც ფიზიკურ პირს) და შპს „ი. ს-ს კ-სა“ შორის 2014 წლის 1 ნოემბერს გაფორმდა მოთხოვნის დათმობისა და ურთიერთმოთხოვნის გაქვითვის შესახებ შეთანხმება, რომლის თა-

ნახმად, შპს „... ს-ს“ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ი.ს-ს.კ-გან“ მისაღები ჰქონდა 301 392.77 ლარი; შპს „...ს-ს“ ვ.მ-ას მიმართ გააჩნდა სასესხო დავალიანება 829 698.75 ლარი. ფიზიკურმა პირმა ვ. მ-ამ მოთხოვნის უფლება შპს „...ს-ის“ მიმართ 291 388.49 ლარზე (ძირითადი თანხა – 276000 ლარი, სარგებელი – 15388.49 ლარი) დაუთმო შპს „ი. ს-ს. კ-ს“ და ვინაიდან ამ უკანასკნელს შპს „... ს-ის“ მიმართ გააჩნდა დავალიანება – 301 392.77 ლარი, 291 388.49 ლარის ნაწილში გაიქვითა ურთიერთმოთხოვნები და შპს „ი.ს-ს.კ-ის“ საბოლოო ვალდებულება შპს „...ს-ის“ მიმართ განისაზღვრა 10 004.28 ლარით.

10. 2015 წლის 25 მარტს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა 2014 წლის 1 მაისს ამ უკანასკნელსა და შპს „... ს-ს“ შორის დადებული წერილობითი შეთანხმების ბათილად ცნობა და ვ. მ-თვის, შპს „...ს-ის“ სასარგებლოდ, 46 857,53 ლარის დაკისრება. მოსარჩელემ წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში აღწერილ ფაქტებზე მითითებით, განმარტა, რომ შპს „G.C“-სა და შპს „ი.ს-ს.კ-ას“ შპს „... ს.“ უსრულებდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, მას მისაღები ჰქონდა შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება და ხსენებულ კომპანიებთან სესხის ხელშეკრულების დადების საჭიროება არ არსებობდა. ის თანხა, რაც შპს „...ს-ს“ შესრულებული სამუშაოების ღირებულების სახით უნდა მიეღო, ვ. მ-ამ აიღო სესხის სახით 20% წლიური სარგებლით, და როგორც ფიზიკურმა პირმა 22% წლიური სარგებლის დარიცხვით ასესხა შპს „...ს-ს“, რომლის შემდეგაც განხორციელდა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. შპს „... ს-ის“ მიერ სესხის თანხაზე გადახდილმა პროცენტმა 46 857,53 ლარი შეადგინა, რაც წარმოადგენდა ვ. მ-ას მოქმედებით კომპანიისათვის მიყენებულ ზიანს.

11. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მისი მოქმედება კანონიერი და სწორი იყო, მას არ დაუდია გარიგება საკუთარ თავთან, მოქმედებდა შპს „...ს-ის“ წესდების შესაბამისად, სესხის აღება განხორციელდა პარტნიორთა დავალებითა და თანხმობით და კომპანიამ (შპს „... ს-მ“) ამ მოქმედებით მიიღო სარგებელი.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის 1 მაისს ვ. მ-ასა და შპს „...ს-ს“ შორის დადებული წერილობითი შეთანხმება (სესხის ხელშეკრულება). ვ. მ-ას, შპს „...ს-ის“ სასარგებლოდ, 46 857,53 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. სასამართლომ დავის მოსანესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 54-ე, 59-ე, 114-ე მუხლები, ასევე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 და

მე-6 პუნქტები, მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტი გამოიყენა.

13. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

**14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 6 ივლისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.**

14.1. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ რეალურად სასესიო ურთიერთობა წარმოიშვა, ერთი მხრივ, შპს „...ს-ს“, ხოლო, მეორე მხრივ შპს „GC“-სა შპს „ი.ს-ს.კ-ას“ შორის. ამასთან, აღნიშნული განხორციელდა იმ პირობებში, როდესაც შპს „...ს-ს“ როგორც შპს „GC“-სთან ასევე, შპს „ი.ს-ს. კ-თან“ იმყოფებოდა ნარდობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ურთიერთობებში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, 2014 წლის 24 მაისს, შპს „ი.ს-ს.კ-ას“ (შემკვეთი) და შპს „...ს-ს“ (მენარდე) მიერ დამონმებული ფორმა №2-ის მიხედვით, შემკვეთს (შპს „ი.ს-ს.კ-ას“) მენარდისთვის (შპს „...ს-ს-თვის“) გადასახდელი ჰქონდა შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 370 898.40 ლარი. ამდენად, უდავო იყო, რომ 2014 წლის 24 მაისისთვის შპს „ი.ს-ს.კ-ას“ ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, შპს „...ს-ს“ მიმართ წარმოემვა შესარულებელი ფულადი ვალდებულება 370 898 ლარის ოდენობით, თუმცა, ვ. მ-ამ, ამ თანხის მოთხოვნის ნაცვლად, 2014 წლის 3 ივნისს ამავე კომპანიასთან გააფორმა სესხის ხელშეკრულება 276 000 ლარზე, წლიური 20% სარგებლის დარიცხვით, სამი თვის ვადით და ეს თანხა, საკუთარ თავთან დადებული 2014 წლის 1 მაისის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, სესხის სახით გაცემულად მიუთითა („აჩვენა“) შპს „...ს-ს-ზე“, წლიური 22%-ის სარგებლის დარიცხვით;

14.2. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ საქმეზე მოსარჩელემ შეძლო მოთხოვნის მართებულობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა. კერძოდ, მიუთითა და დაადასტურა შპს „...ს-ს“ მატერიალური დანაკლისის ფაქტი, რომელიც დირექტორის (მოპასუხის) ბრალეული ქმედების შედეგია. პალატამ აღნიშნა, რომ ასეთ პირობებში „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფცია ქარწყლდება და მოპასუხეზე გადადის იმის მტკიცების ტვირთი, რომ სადავო გარიგებების დადების დროს იგი მოქმედებდა საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე;

14.3. სააპელაციო სასამართლოს დასკვნებით, განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი წარ-

მოადგენდა. პალატამ განმარტა, რომ საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას, საზოგადოების მიერ სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრებოდა დირექტორს (მოპასუხეს), რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის დადგომაში ბრალი და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით. პალატამ აღნიშნა, რომ ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორმა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც კომპანიის მოგებას გაზრდის. აღნიშნული გადაწყვეტილებები შესაძლოა იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისთვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისგან;

14.4. პალატამ მიუთითა, რომ ის თანხები, რაც შესრულებული სამუშაოს სახით ჰქონდა მისაღები კომპანიას შპს „G.C“-სა და შპს „ი.ს-ს. კ-გან“, მოპასუხემ სარგებლიანი სესხის სახით აიღო, რითაც კომპანიას მიაყენა 46 857,53 ლარის ზიანი. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ მითითებული გარემოება, რომ 2014 წლის 1 ნოემბრისთვის შპს „...ს-ს“ აღარ გააჩნდა ფინანსური ვალდებულებები, მიღწეული იქნებოდა სესხის ხელშეკრულებების გაფორმების გარეშეც, ამასთან, ეს უკანასკნელი დამატებით მიიღებდა 46 857,53 ლარს. რაც შეეხება 2014 წლის 1 მაისს ვ. მ-ასა და შპს „...ს-ს“ შორის დადებულ წერილობით შეთანხმებას, პალატამ ამ ნაწილში სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და აღნიშნა, რომ საქმის მასალებში არ იყო წარმოდგენილი შპს „...ს-ის“ პარტნიორთა თანხმობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დირექტორის მიერ საკუთარ თავთან გარიგების დადების შესახებ. საწარმოს წესდებიდან გამომდინარე, დირექტორს სჭირდებოდა პარტნიორთა თანხმობა 781 000 ლარის სესხის ხელშეკრულების დადებაზე, რადგანაც ეს ტრანზაქცია სცილდებოდა საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმო საქმიანობას. პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება ასეთი თანხმობის არსებობის შესახებ, ვინაიდან მას ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია.

**15. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

15.1. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიუთითა შპს „...ს-ის“ წესდების დებულებაზე, რომელიც ითვალისწინებდა პარტნიორთა თანხმობას სესხის აღებასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში, სასამართლომ იგულისხმა წესდების ახალი რედაქცია, რომელიც დამტკიცდა სესხის აღების დღეს – 2014 წლის 1 მაისს. წესდების ძველი რედაქცია (რომელიც მოქმედებდა სესხის ხელშეკრულების დადების მომენტში) არ ითვალისწინებდა სესხის ასაღებად პარტნიორთა თანხმობას. წესდების 7.4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დირექტორს თანხმობა სჭირდებოდა, მხოლოდ იმ სესხებისა და კრედიტების ასაღებად, რომლებიც აღემატება პარტნიორების მიერ დადგენილ ოდენობას, კომპანიის პარტნიორებს კი, ასეთი ოდენობა არ დაუდგენიათ;

15.2. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით. განსახილველ შემთხვევაში, სესხი 781 000 ლარი, ხოლო კომპანიის (შპს „...ს-ის“) აქტივების ღირებულება კი 1 860 818 ლარი იყო;

15.3. სესხის ხელშეკრულება დადებული იყო კომპანიის (შპს „...ს-ის“) პარტნიორთა დავალებითა და თანხმობით, მოპასუხე მოქმედებდა სანარმოს ინტერესებიდან გამომდინარე იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება ხელსაყრელი იყო კომპანიისთვის. მოპასუხეს შპს „...ს-თვის“ ზიანი არ მიუყენებია, უფრე მეტიც, მან სარგებელი მიიღო;

15.4. სადავო წერილობითი შეთანხმების დადების დროისათვის, შპს „G.C“-სა და შპს „ი.ს-ს.კ-ას“ შპს „...ს-ის“ მიმართ რაიმე ფულადი ვალდებულება არ გააჩნდათ, პირიქით, შპს „...ს-ს“ შპს „G.C“-ს მიმართ გააჩნდა დავალიანება 797 070.10 ლარის ოდენობით, ხოლო შპს „ი.ს-ს.კ-თან“ ფულადი ურთიერთობა განულებული იყო – მხარეებს ერთმანეთის მიმართ არ გააჩნდათ ფულადი მოთხოვნები.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყო-

ფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

18. ამ შემთხვევაში, კომპანიის პარტნიორი, კანონიდან გამომდინარე, უფლებამოსილი იყო, კომპანიის სასარგებლოდ, მოპასუხის წინააღმდეგ აღეძრა დერივაციული სარჩელი, რადგანაც, თუ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების შედეგად შემცირდება მათი ქონება, მაშინ ამის პროპორციულად შემცირდება აგრეთვე პარტნიორების საზოგადოების აქტივებში მონაწილეობის ხვედრითი წილი. შესაბამისად, დერივაციული სარჩელის წარდგენისას პარტნიორი გამოდის საწარმოს წარმომადგენლად. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია, საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად (შდრ. სუსგ №ას-687-658-2016, 06.11.2018).

19. კანონის დანაწესის მიხედვით, საზოგადოების დირექტორთან ურთიერთობები რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საზოგადოების წესდებითა და მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით (იხ. მენარმეთა შესახებ კანონის 9.7 მუხლი). შესაბამისად, განსახილველ დავაზე მსჯელობისას, მენარმეთა შესახებ კანონის ნორმებთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნეს ასევე დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებიც (სსკ-ის 709-ე და მომდევნო მუხლები).

20. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიზანი იმ ზიანის ანაზღაურებაა, რომელიც მას მოპასუხის (კომპანიის დირექტორის) მოქმედებით მიაღდა. რაც შეეხება 2014 წლის 1 მაისის გარიგების ბათილობას, ის დამოუკიდებელი მოთხოვნის საგანი ვერ იქნება. საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი მყარი პრაქტიკის მიხედ-

ვით, მიკუთვნებითი მოთხოვნა იმთავითვე გამორიცხავს აღიარებული მოთხოვნას, რადგანაც აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017წ; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-437-409-17 29.09.17, №-ას-916-857-2017 12.09.17, №ას-302-285-17, 16.06.17, №ას-244-232-17 19.05.17 №ას-937-887-2015, 10.11.2015წ; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

21. ამრიგად, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, დირექტორის მიერ კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტიდან (ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.), ასევე, სსკ-ის 709-ე (დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალბული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე), 712-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიდან (რწმუნებულს მოვალეა შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები. რწმუნებულს შეუძლია გადაუხვიოს მარწმუნებლის მითითებებს, თუ, გარემოებებიდან გამომდინარე, მას შეუძლია ივარაუდოს, რომ მარწმუნებელი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოიწონებდა ასეთ გადახვევას. რწმუნებული მოვალეა მითითებებისაგან გადახვევამდე შეატყობინოს მარწმუნებელს და დაელოდოს მის გადაწყვეტილებას, თუკი დაყოვნებით მარწმუნებელს არ შეექმნება ზიანის მიყენების საფრთხე), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის

ანაზღაურება) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლებიდან გამომდინარეობს.

**22. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წანამძღვარი და ძირითადად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, სახელდობრ:**

22.1. ვ. მ-ას, როგორც დირექტორს, წესდების საფუძველზე მინიჭებული ჰქონდა შპს-ს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. შესაბამისად, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ფარგლებში მას შეეძლო საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში კი, საწარმოს სახელით გამოსულიყო მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამასთან, მოპასუხეს არ შეეძლო მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების იმ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება, რომელსაც ის წარმოადგენდა. განსახილველ შემთხვევაში, როგორც კომპანიასთან, ისე მესამე პირებთან 2014 წლის 1 და 6 მაისს, ასევე 3 ივნისს, მის მიერ დადებული შეთანხმებები თავისი შინაარსით უჩვეულო იყო და იმთავითვე ცხადჰყოფდა, რომ მათი შესრულება კომპანიისთვის ზიანის მომტანი იქნებოდა. გარდა ამისა, 2014 წლის 1 მაისის შეთანხმება მოპასუხემ (კომპანიის წარმომადგენელმა) წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან დადო და მისი ნამდვილობა დამოკიდებული იყო პარტნიორების თანხმობაზე (იხ. სსკ-ის 114-ე, 100-ე-101-ე მუხლები). აქედან გამომდინარე, მოპასუხეს არ შეეძლო ამ გარიგებების დადება ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილების გარეშე (იხ. მენარმეთა შესახებ კანონის 9<sup>1</sup>.7 მუხლი). მტკიცების ტვირთის მატარებელმა მოპასუხემ კანონით დასაშვები და უტყუარი მტკიცებულება ვერ წარუდგინა სასამართლოს იმის დასადასტურებლად, რომ ის ამ კონკრეტულ სიტუაციაში კომპანიის პარტნიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოქმედებდა.

22.2. არადამაჯერებელია კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კომპანიისათვის სარგებლის მომტანი იყო. მან ვერ შეძლო იმის დასაბუთება, თუ რამ განაპირობა მის მიერ წინამდებარე განჩინების 3-5 პუნქტებში მითითებული შეთანხმებების დადება, იმ პირობებში, როდესაც შპს „...ს-ს“, რომელსაც ის წარმოადგენდა, ისედაც უნდა მიეღო შემკვეთებისგან შესრულებული სამუშაოების საზღაური წარდობის ურთიერთობის ფარგლებში და რატომ უნდა გადაეხადა



კომპანიას როგორც მისთვის, ისე მესამე პირებისთვის სარგებელი (პროცენტი).

23. „მენარმეტა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები (ფიდუციური მოვალეობები) კომპანიის წინაშე, რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). საკასაციო პალატამ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ ზრუნვის მოვალეობა საგადასახადო ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნეს მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა, „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან (შდრ. სუსგ №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი; №ას-1307-1245-2014, 06 მაისი, 2015 წელი).

24. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დერივაციული სარჩელის განხილვისას, მტკიცების თვალსაზრისით, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, მან უნდა მიუთითოს და წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს საწარმოს მატერიალური დანაკლისის ფაქტს, რომელიც დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგია, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია, გააქარწყლოს ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრე-

ბულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომარეობა არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც შპს „...ს-ს“ ისედაც მისაღები ჰქონდა თანხები ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში შემკვეთებისგან, მისი მხრიდან პროცენტური სესხის აღების აუცილებლობა და გადაუდებელი საჭიროება არ არსებობდა.

შესაბამისად, პალატა ასკვნის, რომ მოპასუხემ კომპანიასთან 2014 წლის 1 მაისის შეთანხმების დადებით, მაშინ, როდესაც, ამის აუცილებლობა არ არსებობდა, დაარღვია მასზე, როგორც დირექტორზე დაკისრებული ფიდეუციური მოვალეობა, კონკრეტულად კი, ზრუნვის (გულმოდგინების) მოვალეობა, რამეთუ მისი ქმედების შედეგად შპს „...ს-მ“ კონტრაქტორებისაგან 46 857.53 ლარით ნაკლები თანხა მიიღო შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების სახით. აღნიშნული კი, მიუთითებს მისი, როგორც კომპანიის დირექტორის მიერ ზრუნვის მოვალეობის დარღვევაზე, ვინაიდან მისი ქმედება ცხადყოფდა, რომ იგი კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისთვის არ მოქმედებდა, რითაც კომპანიას მიაყენა ზიანი.

25. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

26. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 257.1, 284-ე, 285-ე, 263.4, 404-ე, 408-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ვ. მ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივლისის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სანარმოს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა

## განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1154-1074-2017

23 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტიაშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: კომპენსაციის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:**

1.1. გ. წიქემ (შემდგომში – მოსარჩელე, მონინაალმდეგე მხარე ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „კ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან მოვალე) მიმართ და მოითხოვა 2016 წლის 31 აგვისტოდან 16 სექტემბრამდე ნამუშევარი ხელფასის – 3 733 ლარის, 2016 წლის 1 მარტიდან 16 სექტემბრამდე გამოუყენებელი შვებულების – 4 136 ლარისა და წინასწარი შეტყობინების გარეშე ურთიერთობის შეწყვეტის გამო კომპენსაციის, ორი თვის შრომის ანაზღაურების – 14 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2016 წლის 1 მარტიდან მოსარჩელე დაინიშნა მოპასუხე საზოგადოების დირექტორად, შრომის ანაზღაურება განისაზღვრა თვეში 7 000 ლარით (ხელზე ასაღები). 2016 წლის 16 სექტემბერს დირექტორმა მიიღო შეტყობინება მოპასუხისაგან, რომლის თანახმადაც საზოგადოების დამფუძნებლის გადაწყვეტილებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მის ნაცვლად დაინიშნა სხვა პირი. 2016 წლის 19 სექტემბერს მოსარჩელემ მოითხოვა გათავისუფლების საფუძვლის განმარტება, რომლის პასუხადაც 20 სექტემბერს წერილობით ეცნობა, რომ საზოგადოების დამფუძნებლის მოთხოვნებს დასაქმებული პირი ვერ აკმაყოფილებდა და მას სურდა უკეთესი მენეჯერისათვის მიენდო კომპანიის მართვა. მოპასუხემ მოსარჩელეს აუნაზღაურა ნამუშევარი 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, აუნაზღაურებელი თანხის ოდენობა შეადგენს 3 733 ლარს, გარდა ამისა, მოსარჩელეს არ უსარგებლია ყოველწლიური შვებუ-

ლებით, რის გამოც, მუშაობის ხანგრძლივობის გათვალისწინებით ეკუთვნის გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია – 4 136 ლარი და შრომითი ურთიერთობის წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეწყვეტის გამო კომპენსაცია ორი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოსარჩელე თანამდებობაზე განწესდა 2016 წლის 9 მარტიდან, რადგანაც სამენარმეო რეესტრში შესაბამისი მონაცემები ამ დროს არის რეგისტრირებული, მას ნამდვილად ეცნობა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, თუმცა, 2016 წლის 20 სექტემბრის წერილში მისი გათავისუფლების საფუძველს არა მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილება, არამედ – დაკისრებული მოვალეობების უხეში დარღვევაც წარმოადგენდა, იგი ხშირად არღვევდა მოვალეობებს და გამოიკვეთა საზოგადოების საქმეების სათანადოდ გაძღოლის შეუძლებლობა. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დასაქმებულს ჩაერიცხა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურება. რაც შეეხება გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციას, შრომის კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მას ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა არ ჰქონია მოპოვებული და ამ ნაწილში სარჩელი უსაფუძვლოა, ისევე, როგორც მისი მოთხოვნა კომპენსაციის დაკისრების თაობაზე, რადგანაც სასამართლო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი იყო დირექტორის მხრიდან მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება, ასეთ შემთხვევაში, კომპენსაციის მოთხოვნა გაუმართლებელია.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების/გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 იანვრის საოქმო განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 3 733 ლარის (2016 წლის 31 აგვისტოდან 16 სექტემბრამდე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება) მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა;

3.2. ამავე სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა 14 000 ლარის გადახდა, ხოლო, 4 136 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი უარყოფილ იქნა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნა-

ნილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის 14 000 ლარის დაკისრებაზე უარის თქმა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია, კერძოდ, არ მიუთითებია იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.1.1. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად, მოპასუხე რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში 2014 წლის 17 დეკემბერს (ს/კ №4...). 2016 წლის 9 მარტიდან საზოგადოების ღირექტორად რეგისტრირებული იყო მოსარჩელე;

1.1.2. მოპასუხის პარტნიორის 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით კრედიტორი გათავისუფლდა საზოგადოების დი-

რექტორის თანამდებობიდან. დირექტორის (ცვლილების შესახებ განცხადება საჯარო რეესტრს წარედგინა 2016 წლის 16 სექტემბერსვე, 2016 წლის 20 სექტემბერს მომზადებული ამონაწერის თანახმად, საზოგადოების დირექტორად რეგისტრირებულ იქნა ი. დ-ე;

1.1.3. საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით პარტნიორის გადაწყვეტილების შესახებ მოსარჩელეს ეცნობა 2016 წლის 16 სექტემბერს, კრედიტორმა განცხადებით მიმართა საზოგადოების პარტნიორს და მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის განმარტება. საზოგადოების პარტნიორმა წერილობით აცნობა მოსარჩელეს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტას საფუძვლად დაედო დაკისრებული მოვალეობების არსებითი და სისტემატური დარღვევა;

1.1.4. მხარეთა შორის შრომითი ხელშეკრულება წერილობითი ფორმით დადებული არ ყოფილა. საბანკო ამონაწერითა და მხარეთა განმარტებით დადგენილია, რომ დირექტორის შრომის ანაზღაურება შეადგენდა ყოველთვიურად 7 000 ლარს;

## **1.2. საკასაციო განაცხადის მოცულობა და კასატორის პრეტენზიები (საკასაციო განხილვის ფარგლებში):**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების კვლევის საგანი იქნება და შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება შემოწმდება მოვალის შემდეგი პრეტენზიების ფარგლებში:

1.2.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული, პალატა ვერ ამტკიცებს დავის გადაწყვეტისათვის თუ რატომ გამოიყენა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7<sup>1</sup> და 7<sup>2</sup> პუნქტები, ასევე, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლებიც დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების 2 თვით ადრე გაგზავნის ვალდებულებას და/ან ასეთი მოქმედების შეუსრულებლობის გამო კომპენსაციის დაკისრებას არეგულირებენ თუკი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი ამავე კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი იყო. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განმარტებაში ჩამოთვლილია კონკრეტული ხუთი ფაქტი, რომლებიც ურთიერთობის შეწყვეტას დაედო საფუძვლად და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ

სწორედ შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევა დაედო სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას საფუძვლად. სააპელაციო პალატა კონტექსტიდან ამოვარდნილად მსჯელობს წერილობით განმარტების მხოლოდ ერთ წინადადებაზე, თითქოს დირექტორის მხრიდან გამოიკვეთა საზოგადოების საქმეების სათანადოდ გაძღოლის უუნარობა, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნა, რომ სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, დაუსაბუთებელია. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ქვემდგომი სასამართლო ცდილობდა, არ გადაეხვია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის №ას-533-506-2015 განჩინებისაგან, თუმცა, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ხსენებული გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, დირექტორმა დადგენილ ვადაში გახადა სადავოდ გათავისუფლების მართლზომიერება, შესაბამისად, კომპანია არ იყო ვალდებული, ემტკიცებინა ეს საკითხი;

1.2.2. სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დარღვეულია კანონი, კერძოდ, ნაცვლად შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა, მან არასწორად გამოიყენა ამავე ნორმის „ვ“ ქვეპუნქტი;

1.2.3. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი და კომპანიას არასწორად დააკისრა დირექტორის გათავისუფლების მართლზომიერების დადასტურების ვალდებულება, რადგანაც დირექტორს გასაჩივრებისათვის დადგენილ ვადაში სადავოდ არ გაუხდია მოვალეობათა უხეშად და არაერთჯერადად დარღვევის გამო შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი.

### **1.3. საკასაციო პალატის შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პრეტენზიებს სასამართლოს მხრიდან დირექტორის გათავისუფლების მართლზომიერების მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილების, ასევე, სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზისა და სამართლებრივი საფუძვლის არასწორად შესწავლა-გამოკვლევის თვალსაზრისით, თუმცა, ამ პრეტენზიათა გაზიარებაც კი არ იძლევა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.3 მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებს. მართალია, კასატორი მიუთითებდა კომპანიის დირექტორის მხრიდან მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების ფაქტზე და სურდა იმის დადასტურება, რომ მოსარჩელემ დაარღვია მხარეთა შორის

არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა, თუმცა, იგი ვერ ასაბუთებს დირექტორის მხრიდან არაკვალიფიციური სამენარმეო (ხელმძღვანელობითი) საქმიანობის განხორციელების შედეგად კომპანიისათვის კონკრეტული ზიანის მიყენების ფაქტს (მაგ: კომპანიის ინტერესების სანინალმდეგო გარიგების დადება, დებიტორული დავალიანების წარმოქმნა და სხვა). მხოლოდ ის გარემოება, რომ საზოგადოება შესაძლოა არ იყოს კმაყოფილი მოსარჩელის მენეჯერული უნარებით, სასამსახურო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისას კომპენსაციის გადახდისაგან მის გათავისუფლებას ვერ გამოიწვევს. როგორც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში მოხსენიებული ნორმის (მკ-ის 38-ე მუხლი), ისე – ზოგადად სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის მარეგულირებელი დანაწესების (მაგ: სკ-ის 407-ე მუხლი) სისტემური ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტისას დირექტორს არ მიეცემა შრომის კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრული კომპენსაცია თუკი დადგინდება, რომ მან უხეშად დაარღვია საკუთარი ფიდუციური მოვალეობები და ამ დარღვევამ საზოგადოებას კონკრეტული (და არა აბსტრაქტული) ზიანი მიაყენა. საკითხის სრულყოფის მიზნით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1.3.1. განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს კომერციული იურიდიული პირის ყოფილი ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მოთხოვნა სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, კომპენსაციის დაკისრების თაობაზე, შესაბამისად, მოცემული სამართალურითიერობა, შრომის კოდექსით მონესრიგებულ ურთიერთობათა კლასიკურ ფარგლებს სცდება, ამ მხრივ, კანონის სპეციალურობის პრინციპიდან გამომდინარე, პირველ რიგში მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები სწორედ სამენარმეო სამართლის მარეგულირებელ დანაწესებში უნდა იქნას მოძიებული, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, ერთი შეხედვით, ურთიერთობა შეიცავს შრომის სოციალურ ელემენტებს, თუმცა, მისი სუბიექტები არიან სამენარმეო საზოგადოება და თავად მენარმე (დირექტორი). შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ეს კანონი ანესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანამდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

1.3.2. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით რეგულირებულია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები. ნორმის მე-7 პუნქტი



ადგენს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მოწესრიგების სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის დანიშვნას მის ორგანულ თანამდებობაზე, რაც ამ აქტის კორპორაციულსამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დირექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით გასაჯაროებისა და შესაბამისად, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნების სისრულეში მოყვანის საფუძველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსილი, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, რაც შეეხება შრომით თანამდებობაზე გამწესების აქტს, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა და რომლის თაობაზეც ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო. დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის წესის რეგულაციასთან დაკავშირებით ზემოთ მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7<sup>1</sup> პუნქტი აზუსტებს უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. კანონი ადგენს სამ შემთხვევას:

- ა) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენა;
- ბ) თავად რეგისტრირებული პირის მიერ ნების გამოვლენა;
- გ) რეგისტრირებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება, მხარდაჭერის დანიშვნა.

1.3.3. პირველ ორ შემთხვევასთან მიმართებით (მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენა) კანონი მოითხოვს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნის აუცილებლობას (კანონის მე-9 მუხლის 7<sup>2</sup> პუნქტი). კანონის ეს უკანასკნელი დათქმა დღის წესრიგში აყენებს იმ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობას, სამენარმეო საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის გამოიყენება თუ

არა შრომის კოდექსის ნორმები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკის თანახმად (იურიდიული პირის ხელმძღვანელთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობებთან დაკავშირებით იხ. მაგ: სუსგ №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი), მიუხედავად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომით-სამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, იგი პირობითად შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხსენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან (შკ-ის უმთავრესი პრინციპია დაქვემდებარებული შრომა, კერძოდ, კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ). „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. უფრო მეტიც, ხსენებული ნორმის მე-6 პუნქტით ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს კანონმდებელი აღჭურავს ფართო დამოუკიდებლობით, სამენარმეო ხასიათის გადანყვეტილებები მიიღონ არა ანაზღაურების სანაცვლოდ, არამედ, კომპანიის კომერციული ინტერესების გათვალისწინებით, რაც დირექტორის ფიდუციური მოვალეობის სახითაა განმარტებული დოქტრინაში, კერძოდ: საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება განსაკუთრებულ ნდობაზე დამოკიდებული ურთიერთობაა და ამით აიხსნება დირექტორის დამოუკიდებლობა ე.წ დამსაქმებლისაგან, რომ მან იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს.

სწორედ ურთიერთობის ამგვარი თავისებურებიდან გამომდინარეობს ისიც, რომ სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, სამოქალაქო კოდექსის ნორმებში უნდა იქნეს მოდიებული.

1.3.4. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო კოდექსის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი – „მენარმეთა შესახებ“ არ შეიცავს პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს ურთიერთობა ახლოს. თუ გადავავლებთ თვალს სამოქალაქო კოდექსით დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს, არა ერთ მსგავსებას ვნახავთ, კერძოდ: 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. საგულისხმოა, რომ დავალების ხელშეკრულების ვადასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსი რაიმე მოწესრიგებას არ ითვალისწინებს, არამედ, მისი განსაზღვრა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ამასთანავე, 710-ე მუხლის ძალით, დავალება შეიძლება იყოს სასყიდლიანი, ხოლო, ამავე კოდექსის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კომერციული იურიდიული პირის დაფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან, შესაბამისად, ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად შრომის კოდექსის 37-ე მუხლის კონკრეტული საფუძვლის გამოყენება და მისი გამოყენების მართლზომი-

ერების შესწავლა მსგავსი ტიპის დავებში არარელევანტურია.

1.3.5. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ არასამენარმეო იურიდიულ პირსა და მის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის მიუხედავად, ამ ურთიერთობას ასევე გააჩნია დასაქმებული დირექტორის მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველმყოფი მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია შრომითი ურთიერთობისათვის. „ევროპის სოციალური ქარტია“ აღიარებს დასაქმებულის დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებიდან გამომდინარეობს და შეეხება ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორცაა შრომის უფლება, რომელიც თავის თავში მოიცავს შრომის თავისუფლებას, უფლებას შრომის სამართლიან პირობებზე, სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, უფლებას შევბუღებაზე და სხვა, რაც, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შესაძლოა, უფრო დეტალურად იქნეს მონესრიგებული იურიდიული პირის წესდებითა და დირექტორთან გაფორმებული ვალდებულებით-სამართლებრივი აქტით.

1.3.6. აღსანიშნავია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7<sup>2</sup> პუნქტის ის დებულება, რომლის თანახმადაც ამ მუხლის 7<sup>1</sup> პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეები ვალდებული არიან მარეგისტრირებული ორგანოსათვის რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენამდე გააგზავნონ შეტყობინება საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი წესით. ამ წესის დაცვის გარეშე რეგისტრაციის შეწყვეტის შემთხვევაში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა დირექტორის სოციალურ უფლებათა ჩრილში სწორად განმარტეს ზემოხსენებული დებულება და სწორად იხელმძღვანელეს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, რომელიც წინამდებარე შემთხვევის მიმართ გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დირექტორი ინფორმირებული უნდა იყოს წერილობით მოვლენის დადგომამდე ერთი თვით ადრე და ვინაიდან დამსაქმებლის ცალმხრივი ნება სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საკმარისი საფუძველია, კანონმდებელი იცავს უმუშევრად დარჩენილ დირექტორს ერთი თვის კომპენსაციის მიღების შესაძლებლობით, რო-

მელიც წარმოადგენს ზიანის გონივრულ და კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ ოდენობას (სკ-ის 412-ე მუხლი), თუმცა, საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს კიდევაც ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობის შეწყვეტის მყისიერი საფუძველი, ამ შემთხვევაში თავად კანონი განსაზღვრავს, რომ ზიანის მაკომპენსირებელი გონივრული თანხა ორი თვის შრომის ანაზღაურებაა (თუმცა, დასაბუთებული პრეტენზიის შემთხვევაში, სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის გამო კომპენსაციის საკითხის გადაწყვეტისას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველთვისაა გასათვალისწინებელი კომპანიის მხრიდან ზიანის ფაქტის საკითხი (იხ. სამოტივაციო ნაწილის 1.3. პუნქტი)).

1.3.7. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სარჩელის საფუძვლიანობის ნაწილში და იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ დირექტორს სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე არ ეცნობა ერთი თვით ადრე, სწორად დაეკისრა მოვალეს კომპენსაცია ორი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით.

#### **1.4. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების სა-მართლებრივი დასაბუთება:**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და მის წინააღმდეგ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული შედაგება არ ყოფილა წარმოდგენილი კასატორის მხრიდან. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), პალატა უცვლელად ტოვებს მას.

#### **2. სასამართლო ხარჯები:**

რადგანაც წინამდებარე განჩინებით კასატორის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები, ხოლო, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს ბიუჯეტში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან

### საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-851-795-2017

20 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი თავდაპირველ სარჩელში:** 2015 წლის 25 აპრილის პარტნიორთა კრების დადგენილების ბათილად ცნობა და 2014 წლის დივიდენდის დაკისრება, შპს „ს-ეს“ 2015 წლის წესდების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

**დავის საგანი შეგებულ სარჩელში:** შპს „ს-ეს“ პარტნიორთა შემადგენლობიდან პარტნიორული შეუთავსებლობის, საწესდებო კაპიტალისა და წილი კაპიტალის შეუესებლობის გამო დ. ხ-ძის გარიცხვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ზესტაფონის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის 1992 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა მცირე საწარმო „ს-ე“ (შემდეგში: საწარმო, მოპასუხე, შეგებულ სარჩელით მოსარჩელე, პირველი აპელანტი, კასატორი), რომლის დირექტორად არჩეულ იქნა დ. ხ-ძე. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით მცირე საწარმო „ს-ე“ გადაკეთდა შპს „ს-ედ“, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2000 ლარს და მისი დამფუძნებელი პარტნიორები იყვნენ დ. ხ-ძე (შემდეგში: მინორიტარი პარტნიორი, მოსარჩელე, შეგებულ სარჩელით მოპასუხე, მეორე აპელანტი) და ა.მ-ძე. საზოგადოების დირექტორი იყო დასახელებული მინორიტარი პარტნიორი (იხ. ამონაწერი გადაწყვეტილებიდან; სასამართლოს დადგენილება; საწარმოს წესდება, 1997 წლის რედაქცია).

2. საწარმოს პარტნიორობიდან 2001 წელს ა. მ-ძის გასვლის შემდეგ საწარმოს პარტნიორი გახდა ც. მ-ძე. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 6 აპრილის დადგენილების შესაბამისად

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2000 ლარს, რაც წარდგენილი იყო არაფულადი შენატანით. საზოგადოების გენერალური დირექტორია ც. მ-ძე (იხ. საწარმოს წესდება, 2001 წლის რედაქცია; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 6 აპრილის დადგენილება; საწარმოს 2001 წლის 23 მარტის პარტნიორთა საერთო კრების ოქმი).

3. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით 2002 წლის 30 ივლისიდან მინორიტარი პარტნიორი გაირიცხა საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობიდან და საწესდებო კაპიტალში წილები გადანაწილდა შემდეგნაირად: ც. მ-ძე 34%, შ.პ.ს. „მს“ – 66%. 2006 წლის 27 აპრილის წილის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ც. მ-ძე (შემდეგში: მაჟორიტარი ან დომინანტი პარტნიორი; საწარმოს დირექტორი) – იხ. დადგენილება წესდებაში ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ; საწარმოს 2002 წლის 15 ივლისის და 30 ივლისის პარტნიორთა საერთო კრების ოქმები; წილის დათმობის ხელშეკრულება; საწარმოს წესდება.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში დასახელებული მინორიტარი პარტნიორი კვლავ აღირიცხა საწარმოს საწესდებო კაპიტალის 25%-ის მფლობელ პარტნიორად (იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინება).

5. ზემოხსენებულიდან გამომდინარე საწარმოს დამფუძნებლები არიან: მაჟორიტარი – 75%-იანი წილის მფლობელი და მინორიტარი – 25%-იანი წილის მფლობელი პარტნიორები (იხ. ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო პირთა რეესტრიდან).

## **6. მინორიტარი პარტნიორის სასარჩელო მოთხოვნა და საფუძვლები**

6.1. საწარმოს მინორიტარმა პარტნიორმა სარჩელი აღძრა საწარმოს წინააღმდეგ და მოითხოვა:

6.1.1. ამ კაპიტალური საზოგადოების 2015 წლის 25 აპრილის N3 კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომელიც ეხება 2014 წლის გაუნაწილებელ მოგებას, რომელიც მიმართულ იქნა საწარმოს სარეზერვო ფონდის შესავსებად;

6.1.2. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დივიდენდის გადახდის დაკისრება, რაც 2014 წლის ფინანსური მოგების 45 186 ლარის 25%-ია და 11 296 ლარს შეადგენს;

6.1.3. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა საწარმოს წესდების დებუ-



ლებების ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

6.2. მინორიტარმა პარტნიორმა თავისი სარჩელი შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე დააფუძნა:

6.2.1. მოსარჩელე სანარმოს 25%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია; მოპასუხე სანარმოს დირექტორი, რომელიც იმავდროულად სანარმოს 75%-იანი წილის მფლობელი არის, ზღუდავს მინორიტარი პარტნიორის უფლებებს. 2015 წლის 25 აპრილს პარტნიორთა კრებაზე განხილულ იქნა 2014 წლის წლიური ანგარიში და დადგინდა, რომ წმინდა მოგებამ შეადგინა 45 184 ლარი, საიდანაც მას მოპასუხემ (სანარმომ) უნდა აუნაზღაუროს დივიდენდის სახით 25%, რაც 11 296 ლარია;

6.2.2. მინორიტარი პარტნიორის მტკიცებით, სანარმოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით არასწორად გამოაკლდა წმინდა მოგებას საგადასახადო შემონმების შედეგად დარიცხული 24 468 ლარი. აღნიშნული თანხა სანარმოს უნდა გადაეხადა 2013 წლის მოგებიდან, რომელიც შეადგენდა 32 324 ლარს და არ განაწილდა სწორედ იმის გამო, რომ საგადასახადო შემონმების შედეგად საურავიანად დაერიცხებოდა 35 000 ლარზე მეტი. საგადასახადო შემონმების შედეგად სანარმოსათვის დარიცხული 24 468 ლარი ისე გამოაკლეს 2014 წლის მოგების თანხას, რომ არ ახსნეს, თუ რაში განიხარჯა 2013 წლის მოგების თანხა. ასევე, მოსარჩელეს არასწორად მიაჩნია 2014 წლის მოგების თანხისათვის სესხად აღებული 15 000 ლარის გამოკლება, რომლის აღების საჭიროება რეალურად არ არსებობდა, ვინაიდან სანარმომ 2013 წელი მოგებით დაასრულა და 2014 წელს სესხის აღება არაფრით იყო განპირობებული; ასევე, აღნიშნული სესხის აღება საეჭვო ხდება იმიტაც, რომ სესხი აღებულია ამ სანარმოს ტერიტორიაზე მოქმედი ბაზრობის დირექტორის შ. ბ-გან, რომელიც არის მოპასუხე სანარმოს დირექტორის (მაჟორიტარი პარტნიორის) ახლობელი პირი;

6.2.3. მოპასუხე სანარმოს 75%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი ბოროტად იყენებს საკუთარ უფლებამოსილებას, ყოველწლიურად ზღუდავს მინორიტარი პარტნიორის უფლებებს; რიცხავს მას სანარმოს პარტნიორობიდან, დაუსაბუთებლად ამცირებს დივიდენდის სახით გასანაწილებელი მოგების ოდენობას და მოსარჩელე მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით ახდენს თავისი უფლებების დაცვას. აღნიშნულის გამო, მინორიტარი პარტნიორი სარჩელით მოითხოვს, სასამართლო შეიჭრას პარტნიორთა კრების დისკრეციის ფარგლებში, ბათილად ცნოს პარტნიორთა 2015 წლის 25 აპრილის კრების გადაწყვეტილება და მოსარჩელეს კუთვნილი დივიდენდი – 11296 ლარი მისცეს;

6.2.4. მინორიტარი პარტნიორის მტკიცებით, სანარმოს 2015

წლის წესდების ზოგიერთი დებულება ზღუდავს მისი, როგორც პარტნიორის უფლებებს და კანონსაწინააღმდეგოა. მოსარჩელე მოითხოვს, ბათილად იქნეს ცნობილი წესდების შემდეგი პუნქტები:

– 4.4 პუნქტი, რომლის მიხედვით პარტნიორს შეუძლია საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება – კანონით დასაშვებ მინიმალურ ოდენობამდე მაშინაც კი, თუ ერთ-ერთი პარტნიორი წინააღმდეგი იქნება, საწესდებო კაპიტალი გაიზარდოს;

– 5.1.2. ქვეპუნქტის სიტყვები „...ან მისი წილი საზოგადოების წმინდა მოგებიდან მოახმაროს საზოგადოების განვითარებას და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული მშენებლობის წარმოებას. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, პარტნიორთა კრება ამ საკითხს გადაწყვეტს ხმათა უბრალო უმრავლესობით. პარტნიორს უფლება აქვს, თავისი წილი საზოგადოების წმინდა მოგებიდან არ მოახმაროს საზოგადოების განვითარება-გაფართოებას, თუმცა ასეთ შემთხვევაში, პარტნიორი კარგავს უფლებას, ქონების იმ საკუთრებაზე, რომელიც შეიქმნება დანარჩენი პარტნიორების წილის გამოყენებით;

– 5.1.3 ქვეპუნქტი სრულად;

– 5.1.8. ქვეპუნქტის შემდეგი სიტყვები „... არ დაუკავშირდეს .... არ დაიკავოს საწარმოსთან მოდავე იურიდიულ პირებთან რაიმე სახის თანამდებობა ოფიციალურად ...პარტნიორებისაგან ფარულად, არ მისცეს საზოგადოების საწინააღმდეგო ცრუ ახსნა-განმარტებები სამართალდამცავ სტრუქტურებში... დაემორჩილოს და მონაწილეობა მიიღოს საწარმოს კრებებში როგორც პარტნიორმა, შეასრულოს პარტნიორთა კრებების გადაწყვეტილებები .... არ გახადოს სადავოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებები უსაფუძვლოდ .... არ მოახდინოს ნებისმიერ შესაძლო პარტნიორთან, ამა თუ იმ კომერციული საქმიანობის ხელის შეშლა პირადი ინტერესების გამო, დამატებითი სარგებლის მიღების მიზნით ... ასევე ცრუ, გამოგონილი, საფუძველს მოკლებული საჩივრებით, არ მიმართოს სამართალდამცავ სტრუქტურებს, პირადი ინტერესებისა და ასევე პირადი სარგებლის მიღების მიზნით. პარტნიორი ვალდებულია, საზოგადოების წინაშე, იმის შესახებ, რომ თუ რომელიმე პარტნიორი დაიწყებს მუშაობას სახელმწიფო სამსახურში, იგი ვალდებული გახდება, საწარმოში თავისი წილის მართვა გადასცეს მისთვის სასურველ პირს, მინდობილობით ან რაიმე სხვა ფორმით, რადგან არ ისარგებლოს თავისი მდგომარეობით ბოროტად და არ მოახდინოს პარტნიორზე ზეგავლენა მისი ინტერესების გასატარებლად;

– 5.1.10 ქვეპუნქტი სრულად;

– 6.2 პუნქტში სიტყვები: „... მაშინაც კი თუ ერთ-ერთ პარტნიორს ზღუდავს „სამენარმეო კანონის 9.1. მუხლი“;

– 6.7.10 ქვეპუნქტის სიტყვები: „... გარდა იმ შემთხვევისა, როცა საწარმოდან პარტნიორი გადის, ან შემოდის სხვა პარტნიორი, წილის მესაკუთრეობის უფლებით – ბათილად ცნობა“;

– 7.3. პუნქტის სიტყვები: „...და პარტნიორებს ... იყონ სახელმწიფო სამსახურში ... წინააღმდეგ შემთხვევაში, დირექტორმა, ან პარტნიორმა შეიძლება დაკარგოს საწარმოში თავისი პარტნიორული წილი, ამ წესდებაში განვიხილო ვალდებულებების დარღვევის გამო, სხვა პარტნიორთა მოთხოვნით, ისევე სასამართლოს მეშვეობით – ბათილად ცნობა“;

– 7.5.1. ქვეპუნქტის სიტყვები: „... ამტკიცებს და შეაქვს ცვლილებები საწარმოს წესდებაში“

– 7.5.2. ქვეპუნქტის სიტყვები: „...პარტნიორი ვალდებულია შეასრულოს პარტნიორთა კრების დადგენილებები, პარტნიორი ასევე ვალდებულია ხელი შეუწყოს და მიიღოს მონაწილეობა პარტნიორთა კრების მუშაობაში, იგი ვალდებულია უმიზეზოდ ხელი არ შეუშალოს პარტნიორთა კრებების ჩატარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტნიორს თავისი სხვაგვარი მოქმედება ჩაეთვლება საწარმოს საზიანო მოქმედებად – ბათილად ცნობა“;

– 8.4 პუნქტის დათქმის ბათილად ცნობა, რომლის მიხედვით პარტნიორი უფლებამოსილია, ფლობდეს საწარმოში ამა თუ იმ ქონებას პირად საკუთრებაში, იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენ პარტნიორებს (პარტნიორს) მონაწილეობა არ მიუღია ამ ქონების შეძენა-შექმნაში.

## **7. საწარმოს შესაგებელი მინორიტარი პარტნიორის თავდაპირველ სარჩელზე; საწარმოს შეგებებული სარჩელის მოთხოვნა და საფუძვლები**

7.1. საწარმოს დირექტორმა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი) და მისმა წარმომადგენელმა წერილობით წარდგენილი შესაგებელი მინორიტარი პარტნიორის სარჩელი არ ცნეს იმ მოტივით, რომ სარჩელი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, კერძოდ: საწარმოს პარტნიორთა 2015 წლის 25 აპრილის კრება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვითაა ჩატარებული, რომელსაც მოსარჩელე (მინორიტარი პარტნიორი) არ დაესწრო. კრების ოქმი, საბუღალტრო მონაცემებთან ერთად, მინორიტარ პარტნიორს ფოსტით გადაეგზავნა და მას არ გაუსაჩივრებია. ამასთან, გასულია კრების ოქმის გასაჩივრების 2-თვიანი ხანდაზმულობის ვადა;

7.1.1. მინორიტარი პარტნიორი აგრძელებს დავას საწარმოს წინააღმდეგ გამოგონილი ცრუ ბრალდებებით, იმსუბუქებს მდგომარეობას და კანონის სრული იგნორირებით პარტნიორთა კრების გვერდის ავლით, სასამართლოს მეშვეობით ზედიზედ მიიღო დიდიენდები საგადასახადო მოგებიდან, რომლის შექმნაშიც მას არა-

ვითარი მონაწილეობა არ მიუღია. საწარმოში არ შეუტანია საწესდებო და წილი კაპიტალის თანხები, რომლის გარეშეც იგი არ ითვლება პარტნიორად;

7.1.2. მინორიტარი პარტნიორის სარჩელი უსაფუძვლოა დივიდენდების მოთხოვნის ნაწილში. დივიდენდები ნაწილდება არა სასამართლოს, არამედ, პარტნიორთა კრების მიერ და ისიც იმ შემთხვევაში, თუ სხვა პარტნიორებმა მიიღეს დივიდენდები და მოსარჩელეს, როგორც პარტნიორს, არ მისცეს. ამ შემთხვევაში კი პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2014 წლის დივიდენდი არ განაწილდეს. საწარმოს წესდებითა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით სასამართლოს არა აქვს უფლება, ჩაერიოს დივიდენდების განაწილების საქმეში. ამასთან, დივიდენდი ნაწილდება არა საგადასახადო მოგებიდან, არამედ – საფინანსო მოგებიდან, რომელიც ამ შემთხვევაში 5718 ლარს შეადგენს და, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, აღნიშნული თანხა მიმართულია საწარმოს სარეზერვო ფონდში;

7.1.3. მოპასუხე უთითებს, რომ ასევე უსაფუძვლოა მინორიტარი პარტნიორის სარჩელი წესდების ბათილობის შესახებ. წესდებაში ცვლილების შეტანის საკითხიც პარტნიორთა კრების პრეროგატივაა და სასამართლოს არ აქვს უფლება, საზოგადოებას განუსაზღვროს მოქმედების არეალი. სასამართლოს მიერ 2015 წლის 3 თებერვალს დამტკიცებული მორიგების აქტისა და მოსარჩელის (მინორიტარი პარტნიორის) წერილობითი თანხმობის შემდეგ, საჯარო რეესტრმა რეგისტრაციაში გაატარა საწარმოს ახალი წესდება და, კრების ოქმთან ერთად, გადაეცა მინორიტარ პარტნიორს, ხოლო ამ უკანასკნელმა გაუშვა წესდების რეგისტრაციის ბათილობის ნაწილში გასაჩივრების ერთთვიანი ვადა, ხოლო პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების ნაწილში – ორთვიანი ვადა. ამასთან, საწარმოს წესდებით მოსარჩელეს არ ეზღუდება მისი წილი დივიდენდის მიღების უფლება. წესდების არც ერთი პუნქტი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სამოქალაქო კოდექსს და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს.

7.2. საწარმომ შეგებებული სარჩელი აღძრა მინორიტარი პარტნიორის წინააღმდეგ და მისი გარიცხვა მოითხოვა საწარმოს პარტნიორთა შემადგენლობიდან, პარტნიორული შეუთავსებლობის, საწესდებო კაპიტალისა და წილი კაპიტალის შეუცვებლობის გამო. შეგებებულმა მოსარჩელემ შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

7.2.1. მინორიტარ პარტნიორთან პარტნიორული ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელია, რის გამოც პარტნიორთა კრების 2015 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით იგი გარიცხულ იქნა სა-

წარმოს პარტნიორთა შემადგენლობიდან. ამის მიზეზი ის იყო, რომ მინორიტარმა პარტნიორმა სათავისოდ გამოიყენა ზესტაფონის გამგეობის არქიტექტურის სამსახურში მუშაობა და 1992 წლის 19 მარტს რეგისტრაციაში გაატარა თავისი დირექტორობით მცირე საწარმო „ს-ე“. ზესტაფონის გამგეობიდან უმუშევრად დარჩენილმა მინორიტარმა პარტნიორმა (თავდაპირველმა მოსარჩელემ) გამოიყენა მცირე საწარმო „ს-ეს“ წესდება და, დოკუმენტების გაყალბებით, ჩაერთო სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ბიზნესში. მცირე საწარმო „ს-ესა“ და მცირე საწარმო „ასპარეზს“ შორის დადებული ყალბი ხელშეკრულების საფუძველზე, ამ უკანასკნელი მცირე საწარმოსაგან, აიღო საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი ბაზრის მოსაწყობად და, ა. მ-ძის (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 1-2 პუნქტები) ხელშეწყობითა და სახსრებით, მოაწყო მარტივი ტიპის ბაზრობა. ა. მ-ძის უყურადღებობის გამოყენებით მინორიტარმა პარტნიორმა (საწარმოს შეგებებული სარჩელის მოპასუხემ), ბულატრისა და მოლარის თანამდებობებზე დანიშნა თავისი ცოლისდა და მეუღლე. სახელმწიფოს კუთვნილი 56 კვ.მ მიწა 1200 ლარად მიჰყიდა ბაზრის მოვაჭრეს – ვ. მ-ძეს და ამ ეტაპზე დღის წესრიგში დგას ამ მიწის ნაკვეთის ვ. მ-ძისათვის გადაცემის საკითხი. ანალოგიურად, სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთები, პარტნიორთა კრების გვერდის ავლით, მინორიტარმა პარტნიორმა ბ. ლ-ს მიჰყიდა და მიღებული თანხა მიითვისა. 1999 წელს კომისიამ გამოავლინა მინორიტარი პარტნიორის თაღლითური სქემა, რომლითაც სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დამალულმა შემოსავლებმა შეადგინა 102 000 ლარი; აღნიშნული მოქმედებებით მინორიტარმა პარტნიორმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა;

7.2.2. მინორიტარმა პარტნიორმა, 2000 წლის 14 სექტემბერს, პარტნიორთა კრების გვერდის ავლით, თაღლითური გზით მოპასუხე საწარმოს (რომელიც შეგებებული სარჩელის ავტორია) მინდობილობის საფუძველზე, ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე არსებული სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების მოსაპოვებლად გადასცა ვინმე რ. ჯ-ს და ბეს სახით გამოართვა 15 000 აშშ დოლარი; მათ შორის დავის წარმოშობის შემდეგ, მინორიტარი პარტნიორი შეეცადა ფარულად, პარტნიორთა კრების გვერდის ავლით, საწარმოს მთლიანი ქონება რ. ჯ-ისათვის გადაეფორმებინა, რაშიც მას ხელი შეუშალეს და საწარმო გადაარჩინეს;

7.2.3. საწარმოსათვის მინორიტარი პარტნიორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ამ უკანასკნელმა და ა. მ-ძემ გაყიდეს თავთავიანთი წილები: მინორიტარმა პარტნიორმა თავისი 25%-იანი წილი მიჰყიდა შ.პ.ს. „მ-ს“, ხოლო ა.მ-ძემ თავისი 25%-ია-

ნი წილი მიჰყიდა ც. მ-ძეს (წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში მითითებულ მაჟორიტარ პარტნიორს);

7.2.4. საწარმოს 2001 წლის წესდების 4.2 მუხლის საფუძველზე, პარტნიორები ვალდებული იყვნენ, შეეცნოთ საწესდებო კაპიტალი. განაწყენებულმა მინორიტარმა პარტნიორმა, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, გაიტაცა საწარმოს ბეჭედი, საბუღალტრო და საქმიანი დოკუმენტები და მიიმალა. იმის გამო, რომ აღნიშნულის დაბრუნება ვერ მოხერხდა მინორიტარი პარტნიორისაგან, ეს უკანასკნელი, 2002 წლის 30 დეკემბერს გაირიცხა საწარმოს პარტნიორობიდან;

7.2.5. მინორიტარი პარტნიორი შეუამხანაგდა ა. მ-ძეს და ამ უკანასკნელის მიერ შექმნილ შ.პ.ს. „თ-ს“, შ.პ.ს. „მს“-მა იჯარით გადასცა მოპასუხე საწარმოს ბაზრობა, სადაც უსაფრთხოების ინჟინრად დაინიშნა თვითონ მინორიტარი პარტნიორი. ამავე პერიოდში ეს უკანასკნელი მოპასუხე საწარმოს ქონების მმართველად დანიშნა სასამართლომ. მინორიტარმა პარტნიორმა მოპარული დოკუმენტები გამოიყენა შ.პ.ს. „თ-თან“ ერთად სასამართლოში და სამართალდამცავ სტრუქტურებში, მოპასუხე საწარმოსთან დაპირისპირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

7.2.6. შ.პ.ს. „მს“-მა, 2006 წელს, გაყიდა თავისი კუთვნილი 66%-იანი წილი, რომელიც შეისყიდა წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში დასახელებულმა მაჟორიტარმა პარტნიორმა და გახდა საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელი;

7.2.7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით საწარმოს წილის 25%-იან მფლობელ პარტნიორად კვლავ მინორიტარი პარტნიორი (თავდაპირველი მოსარჩელე) აღირიცხა, შესაბამისად, მოპასუხე საწარმოს მაჟორიტარ პარტნიორს, მასთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ჩამოერთვა საწარმოში კუთვნილი წილის 25%, სასყიდლისა და ანაზღაურების გარეშე; მინორიტარმა პარტნიორმა (თავდაპირველმა მოსარჩელემ) არ მოახდინა და არც მოპასუხე საწარმოს მისცა თანხმობა, წესდებაში, საჯარო რეესტრის მიხედვით, შესულიყო შესაბამისი ცვლილება. წესდებითა და „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მინორიტარ პარტნიორს არ შეუტანია 25%-ის ტოლფასი საწესდებო კაპიტალის თანხა – 500 ლარი და მაჟორიტარი პარტნიორის (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი) ხარჯზე მიღებული 25%-ის ტოლფასი წილი კაპიტალის თანხა. მინორიტარი პარტნიორი საწარმოში არ მიდიოდა, არ ესწრებოდა პარტნიორთა კრებებს. სრულიად უსაფუძვლოდ შეიტანა საჩივარი პროკურატურაში, თითქოს მოპასუხე საწარმოში გამოვლინდა დიდი ოდენობით შემოსავლების დამალვა, რის გამოც, საზოგა-

დოებიდან როგორც საქმიანი, ისე საბუღალტრო დოკუმენტები ფინანსურმა პოლიციამ გაიტანა და გამოძიება გაგრძელდა 2010 წლის 24 დეკემბრამდე. საბოლოოდ, თავდაპირველი მოსარჩელის (მინორიტარი პარტნიორის) მიერ საჩივარში მითითებული ფაქტები არ დადასტურდა და პროკურატურამ შეწყვიტა საქმის წარმოება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო;

7.2.8. მინორიტარი პარტნიორი ამ პერიოდში აგრძელებდა საწარმოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას და შანტაჟის გზით ცდილობდა, უკანონოდ მიეღო საწარმოდან 50 000 ლარი, ბუღალტერიის გვერდის ავლით, 30 000 ლარად ღირებულ დაკვეთაზე თანხმობის მიღების სანაცვლოდ; წილიდან გასვლის იმიტირებით; მოსარჩელემ (მინორიტარმა პარტნიორმა) მოპასუხე საწარმოს ჯერ მიაღებინა საწარმოდან გარიცხვის გადაწყვეტილება და მიიღო 13 811 ლარი, შემდეგ კი გაასაჩივრა კრების გადაწყვეტილება, რადგან მოპასუხე საწარმო ვერ დაიყოლია დანაშაულის ჩადენაში, საბუღალტრო დოკუმენტების შეცვლისა და წილის კომპენსაციის თანხის დივიდენდის თანხაში ჩათვლის შესახებ. მოსარჩელე აგრძელებდა მოპასუხე საწარმოს წინააღმდეგ მტრულ საქმიანობას, საწარმოს საქმიან დოკუმენტებს საზოგადოებისადმი მტრულად განწყობილ ძალებს, მათ შორის ვინმე თ. კ-ძის დაჯგუფებას, აწვდიდა;

7.2.9. მოსარჩელე აგრძელებდა საწარმოსაგან თანხების გამოძალვას შეცოდებით, ხან ბავშვების ავადმყოფობის მოშველიებით, პარალელურად კი მუშაობდა „ზ. გ-ის“ დირექტორად, სადაც თურმე სახელმწიფო ქონების ქურდობასა და რეალიზაციას ეწეოდა, ხოლო მიღებულ თანხას ითვისებდა. მინორიტარი პარტნიორი, 2008 წლის 28 მაისს, მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და, გამოძიებასთან თანამშრომლობის სანაცვლოდ, საპროცესო გარიგება გაუფორმეს.

7.2.10. მოსარჩელე, თავისი მეგობრების ა. გ-ასა და ი-ის წყალობით, 2012 წელს ისევ დაინიშნა სახელმწიფო სამსახურში შ.პ.ს. „მის“ მენეჯერად; იმ დროისათვის მოპასუხე საწარმოში რამდენიმე ათეული მილიონის სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენები იყო დასაწყობებული და თუ ზემოხსენებული პირები საწარმოს ხელში ჩაგდებაში დაეხმარებოდნენ მოსარჩელეს, ეს უკანასკნელი მეგობრებს გაუნაწილებდა წილებს. მინორიტარმა პარტნიორმა ისარგებლა თავისი მეგობრების კავშირებით და მოპასუხე საწარმოს წინააღმდეგ განაახლებინა სისხლის სამართლის საქმე იგივე ბრალდებით და აქტიურად ჩაერთო ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის მოვაჭრეთა საპროტესტო აქციებში, მოპასუხე საწარმოსადმი მტრულად განწყობილ თ. კ-ძესთან ერთად. მოსარჩელემ, ა. გ-ასა და ხე-

ლისუფლებასთან დაახლოებულ რ. მ-ქესთან ერთად, დააფუძნა შ.პ.ს. „რ-ი“, გახდა მისი დირექტორი, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა საჯარო სამსახურის შესახებ კანონის შესაბამისად, ისევე, როგორც მოპასუხე სანარმოს წესდებითა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, მინორიტარ პარტნიორს ეკრძალებოდა კონკურენტ ფირმაში საქმიანობა;

7.2.11. მოსარჩელემ, ა. გ-ას დირექტორობით, შ.პ.ს. „რ-ის“ მონაწილეობით ჩამოაყალიბა მოპასუხე სანარმოს კონკურენტი ფირმა შ.პ.ს. „ზ.მ. ჯ-ია“, ასევე, ბაზრის მოვაჭრეთა მოტყუებით და მათი მონაწილეობით, ჭ-ას და რ-ის ქუჩის მესაკუთრეთა კავშირი „ა.ქ.“ დააფუძნა. მინორიტარი პარტნიორის მიზანი იყო სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ამოღების, ამავე ქუჩებზე ბაზრობის მოწყობის გზით, მოპასუხე სანარმოს კუთვნილი ტერიტორიის მიერთებით, ერთიანი სავაჭრო სისტემის შექმნა. მინორიტარმა პარტნიორმა აქაც გამოაჩინა თავისი მოლაღატეობრივი ბუნება და პარტნიორების მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებებისათვის და მათთვის მიყენებული ზიანისათვის 2015 წლის 8 აგვისტოს იგი გარიცხულ იქნა პარტნიორთა შემადგენლობიდან;

7.2.12. მოპასუხე სანარმო კომპრომისზე წავიდა და უარი თქვა მინორიტარი პარტნიორის მიერ მიღებული საკომპენსაციო თანხის – 13 811 ლარის დაბრუნებაზე და იმის გამო, რომ სანარმოსა და მის მინორიტარ პარტნიორს შორის საბოლოოდ დასრულებულიყო დავა, სანარმომ გადაწყვიტა, რომ დასახელებულ თანხას მოსარჩელეს (მინორიტარ პარტნიორს) ჩაუთვლიდა დივიდენდებში, თუკი ეს უკანასკნელი შეუდგებოდა პარტნიორულ ურთიერთობას, შეწყვეტდა უსაფუძვლო საჩივრებს, სასარჩელო დავებს ქუთაისის სააპელაციო და საქართველოს უზენაეს სასამართლოებში, მიუჯდებოდა მოლაპარაკების მაგიდას, შეიტანდა სანესდებო კაპიტალის და წილი კაპიტალის თანხებს; დაესწრებოდა 2015 წლის 20 თებერვლის პარტნიორთა კრებას, მაგრამ ეს არ მოხდა. მოსარჩელემ კვლავ გააგრძელა დავები და, ქუთაისის სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე, სანარმოს გადასახდელად დაეკისრა 25 000 ლარი საგადასახადო მოგებიდან. მოსარჩელემ სანარმოში სააღსრულებო სამსახური შეიყვანა და დააყადაღა მისი ქონება, ანგარიშები და ისე მიიღო თანხები;

7.2.13. სანარმოს წილის მფლობელად კვლავ აღრიცხვის შემდეგ მოსარჩელე (მინორიტარი პარტნიორი) არ გამოცხადდა სანარმოში, არ მიიღო მონაწილეობა პარტნიორთა კრებაში, რომელსაც უნდა დაეფიქსირებინა ახალ წესდებაში მისი წილი, მის მიერ შესატანი სანესდებო და წილი კაპიტალის თანხები. ამ თანხების გადახ-



დისაგან თავის არიდების მიზნით, მინორიტარი პარტნიორი დაუკავშირდა მოპასუხე საწარმოს მიმართ მტრულად განწყობილ ძალებს, კერძოდ, თ. კ-ძეს, შ.პ.ს. „თ-ს“ და, მათთან ერთად, საჩივრებით მიმართა პროკურატურას, თუმცა უშედეგოდ;

7.3. შეგებებული სარჩელის ავტორს (საწარმოს) მიაჩნია, რომ მინორიტარმა პარტნიორმა პასუხი უნდა აგოს პარტნიორთა კრების წინაშე მიყენებული ზიანისათვის. მიუხედავად გაფრთხილებისა, მინორიტარი პარტნიორი პარტნიორთა კრებაზე არ გამოცხადდა. აღნიშნული გარემოებების გამო მინორიტარი პარტნიორი 2015 წლის 27 ოქტომბრის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით საზოგადოებიდან გარიცხულად ჩაითვალა;

7.3.1. პირველი ინსტანციის სასამართლოში გამართულ სხდომაზე საწარმოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ საწარმომ მინორიტარი პარტნიორის გარიცხვა შეცვალა ამ უკანასკნელის განცხადებით წილიდან გასვლის გადაწყვეტილებით, რომელიც ამჟამად გასაჩივრებულია თავდაპირველი მოსარჩელის მიერ და მასზე გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლო ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას საწარმოს პარტნიორთა შემადგენლობიდან პარტნიორული შეუთავსებლობის, საწესდებო კაპიტალისა და წილი კაპიტალის შეუესებლობის გამო, მოსარჩელის საწარმოდან გარიცხვის შესახებ დავაზე.

## **8. საწარმოს შეგებებული სარჩელის მოპასუხის (მინორიტარი პარტნიორის) შესაგებელი**

8.1. მინორიტარმა პარტნიორმა მის წინააღმდეგ საწარმოს მიერ აღძრული შეგებებული სარჩელი არ ცნო; ასევე უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია შეგებებული სარჩელისა და საწარმოს წარმომადგენლის განმარტება ზემოთ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით;

8.1.1. მინორიტარი პარტნიორის მტკიცებით, მას რაიმე ზიანი საწარმოსათვის არ მიუყენებია და აღნიშნულის დასადასტურებლად შეგებებული სარჩელის ავტორს რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია. მინორიტარი პარტნიორი კანონის შესაბამისად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, საზოგადოების 25%-იანი წილის მფლობელად არის აღრიცხული. მინორიტარ პარტნიორს არასოდეს უმოქმედია საწარმოს საწინააღმდეგოდ, ხოლო ასეთად ვერ მიიჩნევა პარტნიორთა კრებებზე მისი მისვლა-არმისვლა. იგი კანონიდან გამომდინარე იცავს თავის უფლებებს და მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს, რაც არ შეიძლება შეფასდეს საწარმოსათვის ზიანის მიყენებად; მინორიტარ პარტნიორს მიაჩნია, რომ საწარმოში თავისი წილი კაპიტალის შესავსები თანხის შეტანის ვალდებულება არა აქვს;

8.1.2. მინორიტარი პარტნიორის მტკიცებით, 2015 წლის 27 ოქტომბრის პარტნიორთა კრებაზე, საზოგადოებიდან მისი გარიცხვა სრულიად უსაფუძვლოდ მოხდა და აღნიშნული სასამართლომ არ უნდა დაადასტუროს. მინორიტარი პარტნიორი უთითებს, რომ მას არც 2016 წლის 5 ივნისის პარტნიორთა კრებაზე გაუკეთებია განცხადება პარტნიორთა შემადგენლობიდან თავისი სურვილით გასვლის შესახებ. საწარმოს დირექტორმა (იმავდროულად მაჟორიტარმა, დომინანტმა პარტნიორმა) არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა და კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ თითქოს დაკმაყოფილდა მინორიტარი პარტნიორის განცხადება პარტნიორთა შემადგენლობიდან მისი გასვლის შესახებ, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს და აღნიშნული კრების ოქმი გასაჩივრებული აქვს სასამართლოში.

### **9. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

9.1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით თავდაპირველი მოსარჩელის (მინორიტარი პარტნიორის) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

9.1.1. ბათილად იქნა ცნობილი საზოგადოების პარტნიორთა 2015 წლის 25 აპრილის №3 ოქმის გადაწყვეტილება;

9.1.2. მოპასუხე საწარმოს მინორიტარი პარტნიორის სასარგებლოდ დაეკისრა 2014 წლის დივიდენდის 5179.50 ლარის (ხუთი ათას ას სამოცდაცხრამეტი ლარისა და ორმოცდაათი თეთრი) ანაზღაურება;

9.1.3. მინორიტარი პარტნიორის სარჩელი 2014 წლის დივიდენდის დარჩენილი თანხის 6116.50 ლარის ანაზღაურების და საწარმოს 2015 წლის წესდების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

9.1.4. რაიონული სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით მოპასუხე საწარმოს შეგებებული სარჩელი საზოგადოების 2015 წლის 27 ოქტომბრის №5 პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების დამტკიცებისა და პარტნიორთა შემადგენლობიდან პარტნიორული შეუთავსებლობის, საწესდებო კაპიტალისა და წილი კაპიტალის შეუვსებლობის გამო, მინორიტარი პარტნიორის გარიცხვის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

9.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-3, მე-8, მე-15, 57-ე მუხლებით, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 54-ე, 55-ე, 115-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4, 39-ე, 53-ე, 102-ე მუხლებით და მინორი-

ტარი პარტნიორის სარჩელთან დაკავშირებით მიუთითა:

9.2.1. სამეწარმეო საქმიანობის სფეროში წარმოშობილი პრეტენზიებისათვის, რომელიც არ უკავშირდება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას, კანონით გათვალისწინებულია 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. შესაბამისად, მინორიტარი პარტნიორის სასარჩელო მოთხოვნები ხანდაზმული არ არის;

9.2.2. საზოგადოების მაჟორიტარი პარტნიორი (რომელიც იმავე დროულად საზოგადოების დირექტორია) ბოროტად იყენებს საკუთარ დომინანტურ მდგომარეობას საწარმოში და, მიუხედავად იმისა, რომ საწარმო მომგებიანია, მინორიტარ პარტნიორს არ აძლევს კუთვნილ დივიდენდს, გარიცხა იგი საწარმოდან და აიძულა, ედავა სასამართლოში. ერთ-ერთ ამგვარ უკანონო გადაწყვეტილებას წარმოადგენდა საწარმოს პარტნიორთა კრების 2015 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება(ც);

9.2.3. რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ მაჟორიტარი პარტნიორის ზემოთ აღნიშნული ქმედებიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე და მინორიტარ პარტნიორს მიაკუთვნოს საწარმოში მისი წილის (25%) შესაბამისი დივიდენდი საწარმოს ფინანსური მოგებიდან (20 718 ლარი), რაც 5179.5 ლარს შეადგენს;

9.2.4. საწარმოს 2015 წლის წესდება არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რომლებიც შელახავდა მინორიტარი პარტნიორის უფლებებს; აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 9.1.1-9.1.3 ქვეპუნქტები).

9.3. პირველი ინსტანციის სასამართლომ საწარმოს შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით განმარტა:

9.3.1. საწარმომ (მოსარჩელემ) მოითხოვა პარტნიორთა 2015 წლის 27 ოქტომბრის კრების (ოქმი №5) გადაწყვეტილების დადასტურება, რომლითაც მინორიტარი პარტნიორი გაირიცხა საზოგადოებიდან; სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე შეეცადა, შეეცვალა დავის საგანი, კერძოდ, მან იშუამდგომლა, დადასტურებულიყო საწარმოს პარტნიორთა 2016 წლის 5 ივნისის კრების გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მინორიტარი პარტნიორის განცხადება საწარმოდან გასვლისა და მისი წილის კომპენსაციის გადახდის შესახებ, 126 055 ლარის ოდენობით. თუმცა, სასამართლომ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და საქმის განხილვა გააგრძელა საწარმოს პირვანდელი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 7.3-7.3.1 ქვეპუნქტები);

9.3.2. პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით, საწარმომ ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა განსაზღვრულ ვადაში მინორიტარი პარტნიორის მიერ საწარმოში შენატანის შეუტანლობის ფაქტს, ასევე, ამავე პარტნიორის მიზანმიმართული, უკანონო მოქმედებებით საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების ფაქტებს, რის გამოც საწარმოს შეგებებული სარჩელი დაუსაბუთებლად მიიჩნია სასამართლომ და არ დააკმაყოფილა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 9.1.4 ქვეპუნქტი).

#### **10. საწარმოს (შეგებებული სარჩელის ავტორისა) და მინორიტარი პარტნიორის (თავდაპირველი მოსარჩელის) სააპელაციო საჩივრების საფუძვლები**

10.1. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

10.1.1 საწარმომ (პირველმა აპელანტმა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა თავდაპირველი მოსარჩელის (მინორიტარი პარტნიორის) სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელისა და საწარმოს შეგებებული სარჩელის უარყოფის ნაწილში. მოპასუხემ, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოითხოვა თავდაპირველი სარჩელის უარყოფა და საზოგადოების შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მის შესაგებელში (თავდაპირველი სარჩელის პასუხად წარდგენილი) მითითებულ გარემოებებსა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 7.1-7.1.3 ქვეპუნქტები) და დამატებით შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

10.1.2. რაიონული სასამართლო ტენდენციური იყო თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ, მისი წარმომადგენლისადმი სოლიდარობის გამო, რადგან ზ. ხ. ყოფილი მოსამართლეა; სწორედ ამიტომ აიძულებდა მოპასუხეს (საწარმოს), მორიგებოდა მხარეს წამგებიან პირობებზე დათანხმებით; საბოლოოდ კი, როცა საწარმომ დააკმაყოფილა განცხადება და პარტნიორთა კრების ახალი გადაწყვეტილებაც სასამართლოს სხდომამდე წარუდგინა (და არა სხდომაზე, როგორც ამაზე არასწორად მიუთითა რაიონულმა სასამართლომ), შეცვლილ რეალობაზე სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია;

10.1.3. რაიონული სასამართლო გასცდა თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნის ფარგლებს და საწარმოს ფაქტობრივად ბრალი დასდო ფულის გათეთრებაში ისე, რომ არ ყოფილა წარდგენილი სათანადო, საწარმოს ბუღალტრული დოკუმენტაციის ობიექტური შესწავლის საფუძველზე შედგენილი აუდიტორული დასკვნა.

10.2. მინორიტარმა პარტნიორმა (მეორე აპელანტმა) სააპელაციო გასაჩივრების გზით რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა იმგვარად მოითხოვა, რომ მისი სარ-

ჩელი სრულად დაკმაყოფილდეს; ამასთან, მოითხოვა იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 1000 ლარის ანაზღაურება. სააპელაციო მოთხოვნა დასაბუთებულია მისი სარჩელის ანალოგიურად (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.1-6.2.4 ქვეპუნქტები) და დამატებით მითითებულია, რომ რაიონულმა სასამართლომ, მიუხედავად მოსარჩელის მოთხოვნისა და შესაბამისი მტკიცებულების წარდგენისა, არ აუნაზღაურა მხარეს ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯი – 1000 ლარი, რაც უკანონოა.

## **11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

11.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2017 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით სანარმოს (პირველი აპელანტის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მინორიტარი პარტნიორის (მეორე აპელანტის) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

11.2. მინორიტარი პარტნიორის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და თავდაპირველი სარჩელი დაკმაყოფილდა;

11.2.1. მოპასუხე სანარმოს დაეკისრა 6 116 (ექვსი ათას ას თექვსმეტი) ლარის გადახდა მინორიტარი პარტნიორის სასარგებლოდ;

11.2.2. ბათილად იქნა ცნობილი სანარმოს 2015 წლის წესდების 4.4, 7.3, 8.4, 5.1.2, 5.1.3, 5.1.8, 5.1.10, 6.7.10, 7.5.1 და 7.5.2 პუნქტები;

11.2.3. დანარჩენ (მინორიტარი პარტნიორის სასარგებლოდ 5 179.5 ლარის, ასევე – 155.39 ლარის გადახდევინების და სანარმოს შეგებებული სარჩელის უარყოფის) ნაწილში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად;

11.2.4. სანარმოს დაეკისრა 1 000 (ათასი) ლარის გადახდა თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ გაღებული საადვოკატო მომსახურების ხარჯის სახით;

11.3. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, უდავოა, რომ პარტნიორებს შორის არსებობს დაძაბული ურთიერთობა: მაჟორიტარი პარტნიორი მიიჩნევს, რომ თვითონ უნდა იყოს სანარმოს ერთპიროვნული მესაკუთრე და მმართველი; იგი დღემდე ეჭვქვეშ აყენებს ზემოხსენებულ, კანონიერ ძალაში შესული, სასამართლო გადაწყვეტილების სისწორეს. დომინანტმა (მაჟორიტარმა) პარტნიორმა, რომელიც იმავდროულად სანარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირია – დირექტორია, რამდენჯერმე გარიცხა მინორიტარი პარტნიორი სანარმოდან, თითქმის ყოველ

წელს უარს აცხადებს საწარმოს მოგების, დივიდენდების სახით, განაწილებაზე, რის გამოც მინორიტარმა პარტნიორმა არაერთხელ მიმართა სასამართლოს და სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილებებით მიიღწია, როგორც პარტნიორად დარჩენას საწარმოში, ასევე – კუთვნილი დივიდენდის მიღებას (იხ. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება);

11.4. მოპასუხე საწარმოს პარტნიორთა 2015 წლის 25 აპრილის კრების გადაწყვეტილებით, დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტები:

11.4.1. საწარმოს 2014 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად საწარმოს წმინდა მოგებამ (მოგების გადასახადის გამოკლებით) შეადგინა 45186 ლარი; ეს მონაცემი დაფიქსირებულია საზოგადოების მიერ წარდგენილ მოგების გადასახადის დეკლარაციაშიც;

11.4.2. საწარმოს, 2014 წლის 1 სექტემბრის №... საგადასახადო მოთხოვნით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, გადასახდელად დაერიცხა 23903.02 ლარი და, 2015 წლის 1 იანვრამდე ამ დავალიანების გადაუხდელობის გამო, საურავი – 565 ლარი, ანუ – სულ 24468 ლარი;

11.4.3. საწარმომ 2014 წელს გაისტუმრა სესხი – 15 000 ლარი; შესაბამისად, საზოგადოების 2014 წლის საფინანსო მოგებამ შეადგინა 5718 ლარი, ანუ 45186 ლარს გამოკლებული 24468 ლარი და 15000 ლარი;

11.4.4. იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლის 1 იანვრისათვის საწარმოს საბიუჯეტო დავალიანება 20281 ლარი იყო, გასაცემრებული სასესხო ვალდებულება – 10000 ლარი, ხოლო საწარმოს ფულადი სახსრები მხოლოდ 745 ლარს შეადგენდა, 2014 წლის საფინანსო მოგება – 5718 ლარი – არ იქნა განაწილებული და სარეზერვო ფონდის შესავსებად წარიმართა;

11.4.5. საქმის სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე, სასამართლომ შეგებებულ მოსარჩელეს დაუსვა კითხვა საწარმოში სარეზერვო ფონდის არსებობის სამართლებრივ საფუძველთან (კონკრეტული სამართლებრივი აქტის მითითებით) და იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია ფონდის ფორმირების წესი, ასევე, მასში ფულადი სახსრების შენახვის ფორმასა და წესზე, რაზედაც მხარემ დასაბუთებული პასუხი ვერ გასცა სასამართლოს (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის სხდომის ოქმი).

11.5. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა და იმსჯელა საქმეში წარდგენილ დოკუმენტებზე: ა) 2014 წლის 11 მარ-

ტით დათარიღებულ სესხის ხელშეკრულებაზე შ. ბ-სა და მოპასუხე სანარმოს დირექტორს – დომინანტ პარტნიორს შორის, რომლის თანახმად, სანარმომ შ. ბ-ისაგან 25000 ლარი ისესხა, 1 (ერთი) წლის ვადით, წლიური 16% სარგებლის დარიცხვის პირობით; ბ) სალაროს შემოსავლის ორდერზე, რომლის თანახმად, სანარმომ 2014 წლის 11 მარტს შ. ბ-ისაგან ნაღდი ანგარიშსწორებით 25000 ლარი მიიღო; გ) სალაროს გასავლის ორდერზე, რომლის მიხედვით, სანარმომ შ. ბ-ს 2014 წლის 30 დეკემბერს ნაღდი ანგარიშსწორებით 16836 ლარი გადაუხადა, საიდანაც 15000 ლარი სესხის ძირითადი თანხა იყო, 1638 ლარი კი – საპროცენტო სარგებელი.

11.5.1. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა შემდეგ უდავო ფაქტებზე: ა) შ. ბ-ი, რომელიც მოპასუხე სანარმოს კუთვნილ ტერიტორიაზე მოქმედი ბაზრობის ხელმძღვანელია, ფაქტობრივად არის მაჟორიტარი პარტნიორისა და იმავედროულად მოპასუხე სანარმოს დირექტორის ოჯახის წევრი, რაც ამ უკანასკნელმაც დაადასტურა, როცა განაცხადა, რომ „ამხელა თანხას, უცხად რომ დაგჭირდება, ახლობელი თუ გასესხებოს“ (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის სხდომის ოქმი); ბ) სანარმომ 2013 წელი ასევე მოგებით დაასრულა: გასანაწილებელი თანხა შეადგენდა 32324 ლარს, რომელიც, საზოგადოების პარტნიორთა კრების 2014 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) არ განაწილებულა, რადგან სანარმოს, არასწორი აღრიცხვიანობის გამო, საგადასახადო შემომწების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დარიცხვოდა გადასახდელად საერთო ჯამში 35 000 ლარამდე (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინება).

11.5.2. ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ იყო დადასტურებული 2014 წლის 11 მარტის სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა: გამსესხებელი არის მოპასუხე სანარმოს დირექტორთან დაახლოებული პირი და, ასევე, თვითონ მხარეს – სანარმოს დამაჯერებლად არ დაუსაბუთებია, თუ რატომ გახდა აუცილებელი სესხის აღება, რადგან საზოგადოებამ 2013 წელი მოგებით დაასრულა. მოპასუხე სანარმოს დომინანტი პარტნიორისაგან ამ ფაქტის მოხმობა ისევ ემსახურება მინორიტარ პარტნიორზე კუთვნილი დივიდენდის არგაცემას;

11.6. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხე სანარმოს არც ის დაუსაბუთებია დამაჯერებლად, თუ რა მიზნით წარმართა, გაიხარჯა 2013 წლის საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება – 32324 ლარი, რომლის განაწილებაზეც, საგადასახადო დავა-

ლიანების დაფარვის მოტივით, უარი ითქვა; აღმოჩნდა, რომ საწარმომ 2014 წლის მოგების განაწილებაზეც უარი იმავე მოტივით განაცხადა, ესე იგი – ზედიზედ ორი წლის მოგების განაწილებაზე საწარმომ ორჯერ განაცხადა უარი ერთი და იმავე საგადასახადო დავალიანების დაფარვის მოტივით;

11.6.1. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საწარმოს პარტნიორთა 2015 წლის 25 აპრილის კრების ჩატარების მომენტისათვის, საწარმოს 2014 წლის წმინდა მოგებიდან საგადასახადო დავალიანების – 24468 ლარის და სასესხო ვალდებულების დასაფარად – 15000 ლარის გამოქვითვის საფუძვლიანობა ვერ იქნა დადასტურებული, რის გამოც უნდა ჩაითვალოს, რომ მოგების თანხა, რომელიც შეიძლება დივიდენდის სახით განაწილებულიყო პარტნიორებზე, შეადგენდა 45186 ლარს, მათ შორის – მინორიტარ პარტნიორზე 11296 ლარის (45186 ლარის 25%) ოდენობით.

11.7. მოპასუხე საწარმომ 2015 წლის 25 თებერვალს საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა წესდების ახალი რედაქცია (იხ. სარეგისტრაციო შტამპი). მინორიტარი პარტნიორის სარჩელით სადავოდ გამხდარი ნორმები ასეთი შინაარსისაა:

11.7.1. წესდების 4.4 პუნქტი შესაძლებლობას აძლევს პარტნიორს (და არა პარტნიორთა კრებას), გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო კაპიტალი, თუნდაც სხვა პარტნიორის წინააღმდეგობის პირობებშიც, კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობამდე;

11.7.2. წესდების 5.1.2 ქვეპუნქტი ითვალისწინებს ერთ-ერთი პარტნიორის უფლებას, გაიტანოს თავისი წილი მოგებიდან მაშინ, როცა მეორე პარტნიორმა შეიძლება იგივე უფლებით არ ისარგებლოს და საკუთარი მოგება მოახმაროს საზოგადოების განვითარება-გაფართოებას ისე, რომ ამ მოგებით შექმნილ ქონებაზე მეორე პარტნიორი კარგავს საკუთრების უფლებას; ამავე დებულებას უკავშირდება 8.4 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორის პირადი საკუთრების არსებობის შესაძლებლობას საწარმოში;

11.7.3. წესდების 5.1.3 ქვეპუნქტით პარტნიორის წილის გასხვიება უნდა მოხდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით;

11.7.4. წესდების 5.1.8 ქვეპუნქტი კრძალავს პარტნიორის დასაქმებას კერძო ან სახელმწიფო სექტორში (იგივე დარღვევაა წესდების 7.3 პუნქტში), კრძალავს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გასაჩივრებას; პარტნიორთა კრებაზე დასწრების უფლებას ვალდებულებად აწესებს (იგივე დარღვევაა ასახული 7.5.2 ქვეპუნქტში), რომლის დარღვევისთვისაც წესდების 5.1.10 ქვეპუნქტი ითვალისწინებს პარტნიორობის შეწყვეტას;

11.7.5. წესდების 6.7.10 ქვეპუნქტი ითვალისწინებს წესდების ცვლილების შესაძლებლობას პარტნიორთა კრების გადაწყვეტი-



ლების გარეშე;

11.7.6. წესდების 7.5.1 ქვეპუნქტით დირექტორს ენიჭება წესდებაში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

11.8. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალე-ბით დგინდებოდა შემდეგი გარემოებები:

11.8.1. ა. გ-ამ, ბ. ფ-ქმ (რომელიც არის მოპასუხე სანარმოს წარმომადგენლის – თ. ფ-ძის შვილი) და მინორიტარმა პარტნიორმა, 2013 წლის 19 სექტემბერს, დააფუძნეს შპს „რ-ი“, რომლის დირექტორიც გახდა მინორიტარი პარტნიორი (იხ. ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან). დასახელებული სანარმოს წესდებით ირკვევა, რომ სანარმოს შეუძლია განახორციელოს ნიაღისეულის მოპოვება შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, კომერციული მალაზიების გახსნა-ფუნქციონირება, სააფთიაქო ქსელის მოწყობა და სხვ;

11.8.2. შპს „რ-მა“ და გ. ჩ-მა, 2013 წლის 20 სექტემბერს, დააფუძნეს შპს „ზ.მ.ჯ.“, რომლის დირექტორიც გახდა ა. გ-ა; ამ სანარმოს წესდებით ირკვევა, რომ სანარმოს შეუძლია განახორციელოს იგივე სახის საქმიანობა, რაც შპს „რ-მა“;

11.8.3. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, მოპასუხე სანარმომ მიუთითა, რომ მას სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების მოპოვების საქმიანობაზე ლიცენზია არ გააჩნია (იხ. 2017 წლის 10 აპრილის სხდომის ოქმი); სასამართლომ აღნიშნა, რომ სანარმო თავის შეგებებულ სარჩელს ძირითადად სწორედ იმ ფაქტზე აფუძნებდა, რომ მინორიტარი პარტნიორი (თავდაპირველი მოსარჩელე), ზემოთ მითითებული სანარმოების შექმნით, სწორედ ამ საქმიანობაში უკანონო კონკურენციის განევას ცდილობდა მოპასუხე სანარმოსათვის;

11.8.4. მაჟორიტარი პარტნიორის განცხადებები, რომლებიც შეეხებოდა მინორიტარი პარტნიორის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებს, თუ სხვა სამართალდარღვევებს, რეაგირების გარეშე დარჩა, რადგან განცხადებათა ადრესატმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი (მაჟორიტარი პარტნიორი) ბოროტად იყენებდა ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის უფლებას (იხ. საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის 2015 წლის 14 ივლისის №... წერილი);

11.8.5. მოპასუხე სანარმოს პარტნიორთა 2015 წლის 27 ოქტომბრის კრების გადაწყვეტილებით, მინორიტარი პარტნიორი გაირიცხა სანარმოდან, მასთან ნორმალური პარტნიორული ურთიერთობების გაგრძელების შეუძლებლობის მოტივით;

11.8.6. მოპასუხე სანარმოს პარტნიორთა 2016 წლის 5 ივნისის კრების გადაწყვეტილებით (ოქმი №2), დაკმაყოფილდა მინორიტარ-

რი პარტნიორის განცხადება საწარმოდან მისი გასვლისა და წილის კომპენსაციის (126 055 ლარის გადახდის) შესახებ. ეს ოქმი მოპასუხე საწარმომ 2016 წლის 13 ივნისს წარადგინა რაიონულ სასამართლოში, მთავარ სხდომამდე ორი დღით ადრე (იხ. განცხადება); ხოლო მთავარ სხდომაზე საწარმომ იშუამდგომლა საკუთარი შეგებებული სარჩელის განუხილველად დატოვებაზე, გამომხმობის საფუძველზე, ასევე – მინორიტარი პარტნიორის სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, დავის საგნის არარსებობის მოტივით, რაც ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 15 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

11.9. დადგენილია, რომ საწარმოს პარტნიორთა 2016 წლის 5 ივნისის კრების გადაწყვეტილება (ოქმი №2) მინორიტარმა პარტნიორმა გაასაჩივრა სასამართლოში და, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილებულია.

11.10. სააპელაციო სასამართლომ, უწინარესად, იმაზე მიუთითა, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება, ჩვეულებრივ შემთხვევაში, დაიშვება შესაბამისი ოქმის შედგენიდან მხოლოდ 2 თვის ვადაში, ხოლო თუ კრება ჩატარდა კანონის ან წესდების უხეში დარღვევით – 1 წლის ვადაში (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი), თუმცა, იმ შემთხვევაში, როცა გამოკვეთილია პრეტენზიები, რომელიც საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას არ უკავშირდება, კანონით გათვალისწინებულია 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა (იხ. ზემოხსენებული ნორმის პირველი პუნქტი).

11.11. საწარმოში დივიდენდის განაწილების საკითხის გადაწყვეტა არ მიეკუთვნება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას; ამდენად, ამ საკითხთან დაკავშირებით პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება დაიშვება შესაბამისი ოქმის შედგენიდან 5 წლის ვადაში. აღსანიშნავია, რომ ეს სამართლებრივი დასკვნა შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას (მაგალითისათვის იხ. საქმე №ას-771-732-2013, 31.01.2014წ).

11.12. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხე საწარმოს მტკიცება მინორიტარი პარტნიორის სასარჩელო მოთხოვნების ხანდაზმულობის თაობაზე დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული.

11.13. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, ჩვეულებრივ შემთხვევაში, შპს-ში წლიური ან შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის

მე-8 მუხლის პირველი პუნქტი). სამენარმეო ურთიერთობები კერძო-სამართლებრივი (სამოქალაქო) ურთიერთობების ერთ-ერთი სახეა; ამიტომ, მისი მონაწილენიც ვალდებული არიან – თავიანთი უფლება-მოვალეობანი განახორციელონ კეთილსინდისიერად (იხ. სსკ-ის 8 მუხლის მე-3 ნაწილი). თავის მხრივ, კეთილსინდისიერება სამართლებრივ ურთიერთობებში გულისხმობს მონაწილის მიერ საკუთარი უფლებების რეალიზებას საკითხის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების ობიექტური, სამართლიანი შეფასებით და სამართლებრივი ურთიერთობის მეორე მონაწილის უფლებების პატივისცემით; წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება უფლების ბოროტად გამოყენება (იხ. სსკ-ის 115-ე მუხლი), რაც დაუშვებელია და იურიდიული შედეგები არ მოჰყვება.

11.14. დადგენილია, რომ მოპასუხე სანარმოს დირექტორი იმავდროულად სანარმოს დომინანტი (მაჟორიტარი) პარტნიორია, რომელსაც პრაქტიკული შესაძლებლობა აქვს, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი). ასევე დადგენილია, რომ დომინანტი პარტნიორი თავის ამ მდგომარეობას ბოროტად იყენებს და ლახავს სანარმოს მინორიტარი პარტნიორის უფლებებს: დაუსაბუთებლად და სისტემატურად უარს ამბობს სანარმოს მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე, რითაც ზიანს აყენებს მინორიტარ პარტნიორს, ამასთან, დომინანტი პარტნიორი თავად იღებს სანარმოდან ე.წ. ფარულ დივიდენდს, დირექტორის ხელფასის სახით. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დომინანტი პარტნიორი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს; შესაბამისად, მისი მოქმედებები, მათ შორის – 2015 წლის 25 აპრილის გადანყვეტილებაც, გაფორმებული მოპასუხე სანარმოს პარტნიორთა კრების გადანყვეტილებად, კანონს ეწინააღმდეგება და ბათილია (იხ. სსკ-ის 54-ე მუხლი). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ პარტნიორთა კრების 2015 წლის 25 აპრილის გადანყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე გასაჩივრებული გადანყვეტილება კანონიერია.

11.15. ზემოხსენებული მოტივაციიდან გამომდინარე, მინორიტარი პარტნიორის კანონით დაცული უფლებების აღსადგენად, სააპელაციო სასამართლომ აუცილებელად მიიჩნია მოპასუხე სანარმოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში ჩარევა, რომელიც შეეხება დივიდენდის განაწილების თაობაზე გადანყვეტილების მიღებას და, იმის გამო, რომ დომინანტი პარტნიორი უკანონოდ და დაუსაბუთებლად აცხადებს უარს ამ გადანყვეტილების მიღებაზე, თავად სასამართლომ მიიღო გადანყვეტილება დივიდენდის განაწილების

თაობაზე.

11.16. სააპელაციო სასამართლო, წინამდებარე გადაწყვეტილების 11.4.5, 11.5-11.6.1 ქვეპუნქტებში მითითებული ფაქტებიდან გამომდინარე, არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს გაანგარიშებას საწარმოს 2014 წლის გასანაწილებელი მოგების ოდენობის შესახებ და დაასკვნა, რომ უნდა განაწილებულიყო 45 186 ლარი, საიდანაც მინორიტარ პარტნიორს, დივიდენდის სახით, უნდა მიეღო 11 296 ლარი. ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიცვალა იმგვარად, რომ მინორიტარი პარტნიორის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა.

11.17. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საწარმოს წესდება არის პარტნიორთა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4<sup>1</sup> პუნქტი). წესდება არის გარიგება – საწარმოს პარტნიორთა ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, მიმართული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა-მონესრიგებისაკენ (იხ. სსკ-ის 50-ე მუხლი); წესდების, როგორც გარიგების, ნამდვილობა განისაზღვრება, ზოგადად, გარიგების ნამდვილობისათვის კანონით დაწესებული პირობებით.

11.17.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საწარმოს წესდების 2015 წლის რედაქციის 4.4, 5.1.2, 5.1.3, 5.1.8, 5.1.10, 6.7.10, 7.3, 7.5.1, 7.5.2 და 8.4 ქვეპუნქტები ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ნორმებს, კერძოდ:

ა) 4.4 ქვეპუნქტი: „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს შპს-სათვის საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას (იხ. აღნიშნული კანონის 45-ე მუხლი); ამასთან, ახალი (დამატებითი) შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა ცალკეული, თუნდაც დომინანტი პარტნიორი, არამედ – პარტნიორთა კრება (იხ. იმავე კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი);

ბ) 5.1.2 და 8.4 ქვეპუნქტები: შპს არის კორპორაციულად ორგანიზებული იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია საკუთარი ქონება და იგი თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი; სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები). ამიტომ, დაუშვებელია არსებობდეს შპს-ის ქონების კუთვნილების ორმაგი რეჟიმი, ანუ – ესა თუ ის ქონება ერთდროულად იყოს როგორც შპს-ის, ასევე – მისი ერთ-ერთი პარტნიორის პირადი საკუთრება, რაც არ უნდა იყოს ამ ქონების შექმნის თუ შექმნის წყარო, იქნება ეს ამ პარტნიორის მოგების წილი თუ სხვა ფინანსები. პარტნიორს შეიძ-

ლება ეკუთვნოდეს არა შპს-ის ესა თუ ის კონკრეტული ქონება, არამედ – მხოლოდ წილი ამ საწარმოში (იხ. იმავე კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი, 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი);

გ) 5.1.3 ქვეპუნქტი: შპს-ს წილი არის მიმოქცევადი უფლება (იხ: „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი), რომელიც ეკუთვნის პარტნიორს და, შესაბამისად, პარტნიორს იგი შეუძლია განკარგოს შეუზღუდავად, კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში (იხ. სსკ-ის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამგვარი სახელშეკრულებო ბოჭვა შესაძლებელია დაწესდეს საწარმოს დაფუძნებისას შედგენილი წესდებით, ან შემდგომაც, ყველა პარტნიორის შეთანხმებით. რადგან წილის გასხვისების უფლების შეზღუდვა პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებაზე, დაუშვებელია ამგვარი გადანყვეტილების მიღება შესაბამისი პარტნიორის თანხმობის გარეშე (იხ. იმავე კანონის მე-3 მუხლის მე-52 პუნქტი);

დ) 5.1.8, 5.1.10, 7.3 და 7.5.2 ქვეპუნქტები: საქართველოში შრომა თავისუფალია (იხ. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ზოგადად, რაიმე უფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, რაიმე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მოცემულ შემთხვევაში, 5.1.8 და 7.3 ქვეპუნქტები არ ეფუძნება კანონის ამგვარ ნორმას და არც მითითებული ლეგიტიმური მიზანია ცხადად გამოკვეთილი; კანონი არ ითვალისწინებს პარტნიორის ვალდებულებას, დაესწროს პარტნიორთა კრებებს, ეს პარტნიორის უფლებაა (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლი); ამიტომ, ამ უფლების გამოუყენებლობის გამო პარტნიორისათვის რაიმე ფორმით პასუხისმგებლობის (მათ შორის – საწარმოდან გარიცხვის) დაწესება, მასთან შეუთანხმებლად, დაუშვებელია; შესაბამისად, 5.1.8, 5.1.10 და 7.5.2 პუნქტები არ შეესაბამება კანონს;

ე) წესდება იცვლება მხოლოდ პარტნიორთა კრების და არა დირექტორის გადაწყვეტილებით (იხ: „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი); ამიტომ, 6.7.10 და 7.5.1 ქვეპუნქტებიც არ შეესაბამება კანონს.

11.17.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინორიტარი პარტნიორის სარჩელი საწარმოს წესდების 2015 წლის რედაქციის ზემოთ მითითებული დებულებების ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე დასაბუთებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ და სარჩელი ამ ნაწილშიც დააკმაყოფილა.

11.18. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საწარმოდან პარტნიორის გარიცხვა უკიდურესი ღონისძიებაა და ფაქტობრივად საწარმოში საკუთრების ჩამორთმევას წარმოადგენს, რაც შე-

იძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში და იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი (იხ. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

11.18.1. შესაძლებელია, პარტნიორი გაირიცხოს საწარმოდან, თუ მან არ განახორციელა შენატანი პარტნიორთა შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული ოდენობით (იხ: „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი). პარტნიორის გარიცხვის სხვა შემთხვევას ეს კანონი არ ითვალისწინებს. დადგენილია, რომ საწარმოს საწესდებო კაპიტალი – 2000 ლარი – შეესებოდა; იგი აღარ გაზრდილა და, შესაბამისად, მინორიტარ პარტნიორს რაიმე დამატებითი შენატანის განხორციელება არ დავალბია. ამდენად, შენატანის განუხორციელებლობის მოტივით, მინორიტარი პარტნიორის საწარმოდან გარიცხვა ვერ მოხდება.

11.18.2. დადგენილია, ასევე, რომ მაჟორიტარი (დომინანტი) პარტნიორი სისტემატურად ლახავს მინორიტარი პარტნიორის უფლებებს, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებული იყო, მიემართა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისათვის, მათ შორის – სასამართლო-სათვის, საკუთარი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით. ასეთი ქმედება საწარმოდან ზიანის მომტანად ვერ ჩაითვლება და არც ამ მოტივით დაიშვება მინორიტარი პარტნიორის გარიცხვა საწარმოდან; საწარმოს მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ დასახელებული საჩივრები „მოგონილი“ და უსაფუძვლო იყო, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის მასალებით დასტურდება საწინააღმდეგო ფაქტი (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.8.4 ქვეპუნქტი).

11.19. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საწარმომ, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით, ვერც ის შეძლო დაემტკიცებინა, რომ მინორიტარმა პარტნიორმა დააფუძნა მოპასუხე საწარმოს კონკურენტი საწარმოები და ხელმძღვანელობს მათ, რითაც ზიანი ადგება მოპასუხეს (იხ. ამ გადაწყვეტილების 11.8.3 ქვეპუნქტი).

11.20. საწარმოს მითითებასთან დაკავშირებით, რომ დავის განხილვა უნდა გაგრძელებულიყო მის მიერ დავის საგნის დაზუსტების გათვალისწინებით, კერძოდ, მინორიტარი პარტნიორის საწარმოდან ნებაყოფლობით გასვლით გამოწვეული, შეცვლილი ვითარებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ თავად მინორიტარმა პარტნიორმა კატეგორიულად უარყო საწარმოდან გასვლის ფაქტი და საწარმოს პარტნიორთა 2016 წლის 5 ივნისის კრების გადაწყვეტილება გაასაჩივრა კიდევ სასამართლო-

ში, რის გამოც საწარმოს მითითებული პრეტენზია დაუსაბუთებელია და გაზიარებული ვერ იქნება.

11.20.1. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება საწარმოს პარტნიორთა 2015 წლის 25 აპრილის კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, მინორიტარი პარტნიორისათვის დივიდენდის სახით 5179.5 ლარის მიკუთვნებისა და ამავე პარტნიორის ს-ედან გარიცხვის უარყოფის ნაწილებში კანონიერია და მისი შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

11.21. გასაჩივრებული გადაწყვეტილება მინორიტარი პარტნიორისათვის დამატებით, დივიდენდის სახით, 6116 ლარის მიკუთვნებისა და საწარმოს 2015 წლის წესდების 4.4, 7.3, 8.4, 5.1.2, 5.1.3, 5.1.8, 5.1.10, 6.7.10, 7.5.1 და 7.5.2 პუნქტების ბათილად ცნობის შესახებ მინორიტარი პარტნიორის სასარჩელო მოთხოვნების უარყოფის ნაწილებში, გამოტანილია კანონის დარღვევით, რადგან რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა; ამიტომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ამ ნაწილებში, სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 385-ე-386-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით შეიცვალა და მინორიტარი პარტნიორის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა.

## **12. მოპასუხე საწარმოს საკასაციო საჩივარი**

12.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საწარმომ (შეგებებული სარჩელის ავტორმა), რომელმაც მოითხოვა მინორიტარი პარტნიორის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო საწარმოს შეგებებული სარჩელის უარყოფის ნაწილში, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საწარმოს შეგებებული სარჩელის იმგვარად დაკმაყოფილება, რომ ძალაში დარჩეს საწარმოს პარტნიორთა კრების 2015 წლის 25 აპრილის №3 კრების ოქმი, შესაბამისად, დაკმაყოფილდეს მოპასუხე საწარმოს მოთხოვნა და მინორიტარი პარტნიორი ცნობილ იქნეს პარტნიორთა შემადგენლობიდან გასულად (იხ. საკასაციო საჩივარი).

## **13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

13.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივლისის განჩინებით საკასაციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო საწარმოს საკასაციო საჩივარი დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 27 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო განაცხადი ცნობილ იქნა დასაშვებად არ-

სებითად განსახილველად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

13.2. საქმის მასალებშია კასატორის მიერ დამატებით (საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორების განცხადებასთან ერთად – რეგისტრირებულია 18.07.2017წ. №...) წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის საპროცესოსამართლებრივი დანაწესიდან გამომდინარე არ განუხილავს საკასაციო სასამართლოს, რადგან მისი მსჯელობა შემოიფარგლება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების ფარგლებში სადავო სამართალურთიერთობის სამართლებრივი შეფასებით (იხ. სსსკ-ის 407-ე მუხლი).

13.3. მინორიტარმა პარტნიორმა საწარმოს საკასაციო საჩივარზე წარმოადგინა საკასაციო შესაგებელი, ასევე – წერილობითი მოსაზრება საწარმოს დირექტორის მიერ საკასაციო სასამართლოში წარდგენილ დამატებით მტკიცებულებებზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საწარმოს საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდება მინორიტარი პარტნიორის (თავდაპირველი მოსარჩელის) სარჩელი და ასევე უარყოფილი იქნება საწარმოს შეგებებული სარჩელის მოთხოვნა.

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზიათა ნაწილი, კერძოდ, მინორიტარი პარტნიორის სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის ნაწილში, დასაბუთებულია. რაც შეეხება თავად საწარმოს შეგებებული სარჩელის მოთხოვნას,



აღნიშნულს სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებელი თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81). ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს და განმარტავს მხოლოდ იმ ძირითად სამართლებრივ საკითხებს, რამაც განაპირობა როგორც თავდაპირველი, ისე შეგებებული სარჩელების უარყოფა.

16. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ, უწინარესად, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი (მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა) და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვეოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შეამოწმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით, იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წინამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წინამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

17. თავდაპირველმა მოსარჩელემ, რომელიც მოპასუხე საწარმოს მინორიტარი პარტნიორია, საწარმოს წინააღმდეგ აღძრული სარჩელით მოითხოვა საზოგადოების 2015 წლის 25 აპრილის №3 კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომელიც 2014 წლის გაუნაწილებელ მოგებას ეხება და საზოგადოების სარეზერვო ფონდის შესავსებად წარიმართა; მოსარჩელემ მოითხოვა, მის სასარგებლოდ, დივიდენდის გადახდის დაკისრება საწარმოსათვის, რაც მინორიტარი პარტნიორის მტკიცებით, 2014 წლის ფინანსური მოგების 45 186 ლარის 25%-ია და 11 296 ლარით განისაზღვრება; მოსარჩელემ ასევე მოითხოვა საწარმოს 2015 წლის წესდების ცალკეული დებულების ბათილად ცნობა (მინორიტარი პარტნიორის სასარჩელო მოთხოვნა და საფუძველები იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.2-6.2.4 ქვეპუნქტებში).

17.1. სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მინორიტარი პარტნიორის სარჩე-

ლი სრულად დაკმაყოფილდა, რაც სანარმოს საკასაციო პრეტენზიის საგანია და აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მოსარჩელის (მინორიტარი პარტნიორის) მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე გაამახვილებს ყურადღებას.

17.2. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ მოითხოვა 2015 წლის 25 აპრილის №3 კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომელზედაც არ განანილდა სანარმოს წლიური მოგება და 2014 წლის გაუნანილებელი მოგებიდან კუთვნილი 25%-იანი წილის შესატყვისი დივიდენდი, უწინარესად ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს შპს-ის მოგებიდან პარტნიორის წილის შესატყვისი დივიდენდის მიღებისა და მისი მოთხოვნის უფლებები. საკასაციო სასამართლომ განმარტა: „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განანილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან“ (იხ.სუსგ №ას-1328-1170-2010, 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება; შდრ. სუსგ №ას-774-741-2016, 25.11.2016წ.). მაშასადამე ერთმანეთისაგან განსხვავდება დივიდენდის მიღების ზოგადი უფლება, რაც მინორიტარ პარტნიორს, სანარმოს პარტნიორად რეგისტრაციისთანავე წარმოეშვა, ხოლო რაც შეეხება პარტნიორის მიერ დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, ეს უკანასკნელი დაკავშირებულია კაპიტალური საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან;

17.3. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 25 აპრილს №3 პარტნიორთა კრებას არ მიუღია გადაწყვეტილება 2014 წლის დივიდენდის განანილებაზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.4-11.4.4 ქვეპუნქტები), რაც დივიდენდის მოთხოვნის უფლებას წარმოუშობდა მინორიტარ პარტნიორს. ეს უკანასკნელი სარჩელით სწორედ პარტნიორთა კრების დისკრეციულ უფლებამოსილებაში შექრას ითხოვს სასამართლოსაგან და სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობას, რომელზედაც არ განანილებულა წლიური მოგება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.2.3 ქვეპუნქტი).

18. მრავალმხრივი გარიგების გავრცელებულ ფორმად მიიჩნევა კაპიტალური საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება არა გამოვლენილ ნებათა კონსენსუსის

საფუძველზე, არამედ გამოვლენილ ნებათა უმრავლესობის მიერ (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, ქანტურია (რედ.), 2017, მუხლი 50, ველი 14). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მინორიტარი პარტნიორის დივიდენდის მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძველი იქნებოდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლი და საწარმოს წესდება. პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით პარტნიორები ხმათა უმრავლესობით ავლენენ ნებას, რომელიც ემსახურება კაპიტალური საზოგადოების, როგორც ეკონომიკურ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი სამენარმეო სუბიექტის, განვითარებას და შემდგომ ამოცანებს. პარტნიორთა კრების, რომელიც ეკონომიკური მოგების მიღების მიზნით დაფუძნებული საზოგადოების მმართველი უმაღლესი ორგანოა, გადასაწყვეტია საწარმოში წლიური დივიდენდის განაწილება და მისი ოდენობის განსაზღვრა, რაც მენარმეობის თავისუფალი განვითარებისათვის საწარმოს მართვისა და შიდაპარტნიორული ურთიერთობების პოლიტიკის საკითხს განეკუთვნება და მისი გადაწყვეტა სასამართლო დავის გზით შეუძლებელია.

18.1. ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს საწარმოს პარტნიორთა კრების დისკრეციულ უფლებამოსილებაში ჩარევის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, მინორიტარი პარტნიორის სასარგებლოდ, საწარმოს წლიური მოგებიდან პარტნიორული წილის შესატყვისი დივიდენდის განაწილების თაობაზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.4.5-11.6.1 ქვეპუნქტები). მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, რომ სამენარმეო ურთიერთობები კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა, არასწორად დაასკვნა საწარმოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში ჩარევის საჭიროება, რაც მინორიტარი პარტნიორის კანონით დაცული უფლებების აღდგენის მიზანს დაუკავშირა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.14-11.16 ქვეპუნქტები);

19. საკასაციო სასამართლო აქვე იმასაც განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მაჟორიტარ პარტნიორს საწარმოს სახელით მისაღებ გადაწყვეტილებებზე გადამწყვეტი გავლენის მოხდენის პრაქტიკული შესაძლებლობა აქვს საკუთარი დომინანტური პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც იმავდროულად საწარმოს დირექტორიცაა და საზოგადოებას მესამე პირების წინაშეც წარმოადგენს, ანუ როგორც საწარმოს შიდა, ისე გარე ურთიერთობებზე (მესამე პირებთან) ზეგავლენის მქონე პირია, შესაბამისად, მინორიტარ პარტნიორს (თავდაპირველ მოსარჩელეს) საკუთარი უფ-

ლების დაცვა შეეძლო არა პარტნიორთა კრების სადავო ოქმის ბათილად ცნობისა და დივიდენდის განაწილების თაობაზე პარტნიორთა კრების არარსებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მოთხოვნით, არამედ, საწარმოს დირექტორის მიერ საწარმოსათვის მიყენებული ზიანის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივად ვარგის მტკიცებულებებზე მითითებით (დერივატიული სარჩელი). ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა: „ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს საწარმოს პარტნიორის უფლებამოვალეობები და საწარმოს დირექტორის უფლებამოვალეობები, რადგან ისეთ ვითარებაში, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია, მარტოოდენ იმ ფაქტობრივი მოცემულობის გამო, რომ საწარმოს 50%-იანი წილის პარტნიორი, იმავდროულად, საწარმოს დირექტორიცაა, არ განაპირობებს იმას, რომ ერთმანეთში იქნეს აღრეული პარტნიორისა და დირექტორის, რომელიც საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირია, ფუნქციები და სამართლებრივი ვალდებულებები საწარმოს, პარტნიორთა თუ მესამე პირთა წინაშე“.... „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის თანახმად, „საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით. პარტნიორთა კრება განსაზღვრავს საწარმოს ძირითად მიმართულებებსა და ზოგადად, საქმიანობის პოლიტიკას. ხოლო დირექტორი არის პარტნიორთა მიერ შემუშავებული ძირითადი მიმართულებებისა და პოლიტიკის განმახორციელებელი. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება სპეციალური კანონით ან/და საწარმოს წესდებით. სპეციალური კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელობის უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დირექტორები საზოგადოების საქმიანებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით...“ (სუსგ №ას-612-571-

2017, 28.07.20176.).

19.1. განსახილველ შემთხვევაში თავდაპირველი მოსარჩელე სარჩელში მითითებული ფაქტებიდან გამომდინარე ერთმანეთისაგან არ მიჯნავს სანარმოს მაჟორიტარი პარტნიორისა და სანარმოს დირექტორის, რომელიც ერთი და იგივე პირია, ქმედებებს, რომლებიც შესაძლოა მოსარჩელეს სხვადასხვა სამართლებრივი მოთხოვნების წარდგენის საფუძველს ანიჭებდეს. ყველა შესაძლო პრეტენზია, რომელიც სანარმოს დირექტორს ეხება, დასაბუთებული და დამტკიცებული უნდა იქნეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის (ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადანყვეტილებების შესასრულებლად) საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალური საზოგადოების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის პასუხისმგებლობას; ასეთ ვითარებაში სარჩელი სანარმოსათვის მიყენებულ ზიანს უნდა უკავშირდებოდეს. მოცემულ შემთხვევაში, მინორიტარი პარტნიორის პრეტენზიები, რაც უკავშირდება შ. ბ-ისაგან, სანარმოს სახელით, სანარმოს დირექტორის (რომელიც მაჟორიტარი პარტნიორია) მიერ 15 000 ლარის სესხის დაუსაბუთებლად აღებას, შესაძლოა, სანარმოსათვის მიყენებული ზიანის სახით, დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის საფუძველი იყოს და არა იმგვარი მტკიცების, როგორც ამას თავდაპირველი მოსარჩელე ცდილობს თავის სარჩელში, რომ საეჭვო სესხის აღებით, მისი გასტუმრებისათვის გაღებული თანხა არასწორად გამოაკლდა სანარმოს წმინდა მოგებას და ა.შ. (იხ. წინამდებარე გადანყვეტილების 6.2.2 ქვეპუნქტი).

19.2. მოსარჩელემ, მართალია, სარჩელში მიუთითა სანარმოს 75%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის მიერ საკუთარი უფლე-

ბამოსილებს ბოროტად გამოყენებაზე, თუმცა, მისი სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, რომელსაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, მან არ განავითარა მსჯელობა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე (თუ საწარმოს დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე), რაც კონკრეტული წინაპირობების დამტკიცების შემთხვევაში მინორიტარ პარტნიორს მაჟორიტარისაგან და, არა საწარმოსაგან, კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას მიანიჭებდა.

19.3. საკასაციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ საწარმოს პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა, როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნა, შესაძლოა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასაბუთდეს იმ პროცედურული წესების დარღვევაზე მითითებით, თუკი ასეთი დაშვებულია კაპიტალური საზოგადოების პარტნიორთა კრების მონვევის დროს. ასეთ ვითარებაში დაცული უნდა იქნეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული გასაჩივრების ვადები. „პარტნიორთა კრების გადამწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების (იხ. სკ-ის 50-ე მუხლი) ბათილად აღიარების მოთხოვნის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ნამდვილი ინტერესი გააჩნია ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეს და თუნდაც მის მიერ მითითებული გარემოებების გაზიარების შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებით მიიღწევა თუ არა იურიდიული ინტერესი – დარღვეული უფლების ეფექტური დაცვა, ანუ აღიარებითი სარჩელის წარმატებულობა, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლისა, გამართლებულია იურიდიული ინტერესის ნამდვილობით“ (იხ. სუსგ №ას-839-805-2016, 06.03.2017 წ.).

20. საკასაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია საწარმოს (შეგებებული სარჩელის ავტორის) საკასაციო პრეტენზიათა ის ნაწილი, რომელიც ეხება თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებულ სარჩელს საწარმოს პარტნიორთა კრების 2015 წლის 25 აპრილის №3 ოქმის ბათილად ცნობისა და 2014 წლის გაუნაწილებელი ფინანსური მოგებიდან მინორიტარი პარტნიორისათვის, ამ უკანასკნელის 25%-იანი წილის შესაბამისი, დივიდენდის მიკუთვნების თაობაზე, შესაბამისად, საწარმოს საკასა-

ციო საჩივრის ამ ნაწილში დაკმაყოფილებით უარყოფილია მინორიტარი პარტნიორის სარჩელი და, საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა თავდაპირველი სარჩელი საწარმოს პარტნიორთა კრების 2015 წლის 25 აპრილის №3 ოქმის ბათილად ცნობისა და დივიდენდის განაწილების (25%-ის შესატყვისი 11 296 ლარის საწარმოსათვის დაკისრების) თაობაზე.

**21. მინორიტარი პარტნიორის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც 2015 წლის 25 თებერვალს დარეგისტრირებული წესდების ახალი რედაქციის ცალკეული დებულების ბათილობას ეხება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.2.4 ქვეპუნქტი), საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ შემთხვევაშიც უნდა განისაზღვროს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.**

21.1. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ წესდება, როგორც პარტნიორთა შეთანხმება, არის მრავალმხრივი გარიგება, რომლის საფუძველზეც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორთა ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები და მისი ნამდვილობა განისაზღვრება, ზოგადად, გარიგების ნამდვილობისათვის კანონით დაწესებული პირობებით. მოცემულ შემთხვევაში, მინორიტარმა პარტნიორმა მოითხოვა საწარმოს წესდების ახალი რედაქციის ცალკეული დებულების, როგორც კანონსაწინააღმდეგო ჩანაწერების, ბათილად ცნობა, რაც დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ;

21.2. საკასაციო სასამართლო, უპირველესად, იმას განმარტავს, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების (სსკ-ის 50-ე მუხლი), ბათილად აღიარების მოთხოვნის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ნამდვილი ინტერესი გააჩნია ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეს და თუნდაც მის მიერ მითითებული გარემოებების გაზიარების შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებით მიიღწევა თუ არა იურიდიული ინტერესი – დარღვეული უფლების ეფექტური დაცვა, ანუ აღიარებითი სარჩელის წარმატებულობა, თანახმად სსკ-ის 180-ე მუხლისა, გამართლებულია იურიდიული ინტერესის ნამდვილობით. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის, საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვე-

ბია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017 წ.; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.06.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

21.3. იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურსამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. სსსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა;

21.4. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, წესდების ცალკეული დებულების ბათილად ცნობა მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, ამ კონკრეტულ მოთხოვნასთან დაკავშირებით უნ-



და აღინიშნოს, რომ თუკი წესდების (მრავალმხრივი გარიგების) რომელიმე დებულება კანონსაწინააღმდეგოა, იგი იმთავითვე ბათილია. ამასთან, „გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე“ (იხ. სსკ-ის 62-ე მუხლი). ამ შემთხვევაში წესდება, როგორც მრავალმხრივი გარიგება, სამეწარმეო საზოგადოების სახელმძღვანელო ერთიან დოკუმენტად განიხილება და სსკ-ის 62-ე მუხლის მიზანია გარიგების მონაწილეთა კერძო ავტონომიის დაცვა და მთლიანი გარიგების გადარჩენა მაშინაც, როცა მისი ერთი რომელიმე ნაწილი შეიძლება ბათილი იყოს. დოქტრინაში განიმარტება, რომ ერთიანი გარიგების ცალკეული ნაწილების ბათილობის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ გარიგების ის ნაწილი, რომელსაც არ ემუქრება ბათილობა, ცალკე გარიგებად დარჩეს; სსკ-ის 62-ე მუხლის მოწესრიგებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ გარიგების ნაწილის (ცალკეული დებულებების) ბათილობა მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც, სავარაუდოა, რომ გარიგება ამ ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 62, ველი 1-11). საწარმოს წესდების ცალკეული დებულების ბათილობის კონტექსტში მინორიტარი პარტნიორის სარჩელი არ შეიცავს იმგვარ მტკიცებას, რომელიც სსკ-ის 62-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს და სააპელაციო სასამართლოსაც არ ჩაუტარებია სამართლებრივი კვლევა იმ თვალსაზრისით, თუ წესდების ცალკეული ნაწილის ბათილობის შემთხვევაში, რამდენად არის შესაძლებელი წესდების არაბათილი ნაწილის შენარჩუნება, ანუ ბათილი ნაწილის გარეშე, საწარმოს წესდება აწესრიგებს თუ არა ურთიერთობებს პარტნიორთა შორის, ასევე საზოგადოების მესამე პირებთან ურთიერთობის საკითხებს და ა.შ., შესაბამისად, გარიგების ცალკეული დებულების ბათილობის პირობებში, კვლავ შენარჩუნებულია თუ არა წესდების, როგორც საწარმოს საქმიანობის აღმწერი და მომწესრიგებელი სახელმძღვანელო დოკუმენტის, მნიშვნელობა და ფუნქცია;

21.5. მინორიტარი პარტნიორის სასარგებლოდ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, ბათილად იქნა ცნობილი საწარმოს წესდების ისეთი დებულებები (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.7.1-11.7.2 ქვეპუნქტები), რომლებიც საწარმოს ფუნქციონირებასა და საქმიანობაზე გავლენას ახდენენ, ამასთან, არაა დასაბუთებული წესდების, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტის, დარჩენილი არაბათილი (კანონშესაბამისი) დებულებების სამართლებ-

რივი ძალმოსილება საზოგადოების მართვისათვის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მინორიტარი პარტნიორის მოთხოვნა შესაძლოა გამომდინარეობდეს საწარმოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან, რაც გამოწვეულია წესდების ცალკეული კანონით ბათილი დებულების საფუძველზე, ერთი მხრივ, საწარმოს დირექტორის, ხოლო, მეორე მხრივ, საწარმოს მაჟორიტარი პარტნიორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან. ამ შემთხვევაშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მინორიტარმა პარტნიორმა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლიდან გამომდინარე შესაძლოა საწარმოს სახელით სასარჩელო მოთხოვნა (დერივატიული სარჩელი) აღძრას საწარმოს დირექტორის წინააღმდეგ („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე; ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 19.1 ქვეპუნქტში) ან მინორიტარმა პარტნიორმა უშუალოდ მაჟორიტარი პარტნიორისაგან მოითხოვოს კომპენსაცია („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე; ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 19.2 ქვეპუნქტში).

21.6. ზემოხსენებული პუნქტებში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში, მინორიტარი პარტნიორის სარჩელი, წესდების ცალკეული დებულების ბათილობის ნაწილში, ფაქტობრივი გარემოებების მითითების თვალსაზრისითაც არ შეიცავს კვალიფიციურ მტკიცებას, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მინორიტარი პარტნიორის პრეტენზია დასაბუთებული უნდა იყოს მაჟორიტარი პარტნიორის მიერ, თავისი დომინანტური მდგომარეობის გამოყენებით, საწარმოს საზიანოდ მიღებული გადაწყვეტილებებით; ასევე, საწარმოს დირექტორის მიერ, რომელიც მოცემულ შემთხვევაში იგივე პირია, ვინც – მაჟორიტარი პარტნიორი, საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანზე მითითებითა და შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენით.

21.7. ზემოხსენებული სამართლებრივი დასაბუთება დაედო საფუძვლად საწარმოს საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას და, მინორიტარი პარტნიორის სასარგებლოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის – საწარმოს წესდების ცალკეული დებულების ბათილად ცნობის თაობაზე, უარყოფას, რითაც არ დაკმაყოფილდა მინორიტარი პარტნიორის სარჩელი.

22. საკასაციო სასამართლო მოკლედ იმსჯელებს საწარმოს საკასაციო პრეტენზიაზე, რომელიც მისი შეგვებულ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას ეხება, ყურადღებას გაამახვილებს

სანარმოს სასარჩელო მოთხოვნაზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 7.2-7.3 ქვეპუნქტები) და ამ შემთხვევაშიც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე იმსჯელებს. საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და სამართლებრივ შეფასებებს, რომლებიც ეხება სანარმოდან პარტნიორის გარიცხვის საკითხს, რომელიც პრაქტიკულად სანარმოში საკუთრების ჩამორთმევას უთანაბრდება (სააპელაციო სასამართლოს დასკვნები იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.19-11.19.1 ქვეპუნქტები) და აღნიშნავს, რომ მართებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სანარმოს შეგებებული სარჩელი და უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სანარმოდან პარტნიორის გარიცხვის დაუშვებლობის შესახებ.

22.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა: „ზოგადად, სანარმოში წილის ფლობა, განსახილველ შემთხვევაში კი ტელეკომპანიის წილზე მოსარჩევეების საკუთრება, წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს (სსკ-ის 147-ე და 152-ე მუხლები). ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, ასევე, მოიცავს სანარმოს წილებზე საკუთრების უფლებას. კერძოდ, აღნიშნული საკითხი განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მიერ 1982 წელს საქმეში: *Bramelid and Malmstrom v. Sweden* (განაცხადის №8588/79, 8589/79; 1982). ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ თავდაპირველად განიხილა ის საკითხი, წარმოადგენდა თუ არა „აქციები“ მფლობელობას – კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. მათ ასევე განსაზღვრეს ის რთული და კომპლექსური საკითხი, რომელიც „წილს“ უკავშირდებოდა. კერძოდ, სერტიფიკატი, რომელიც მისი მფლობელის სანარმოს წილზე საკუთრების უფლებას განამტკიცებს და ასევე, მასთან დაკავშირებულ უფლებებს (განსაკუთრებით, ხმის მიცემის უფლებას). ამასთან, სერტიფიკატი მოიცავს სანარმოს წილებზე არაპირდაპირი მოთხოვნის უფლებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტი, რომ წილებს სანარმოში გარკვეული ეკონომიკური და ქონებრივი ღირებულება გააჩნდა. შესაბამისად, ევროკომისიამ დაასკვნა, რომ წილები წარმოადგენს „მფლობელობას“ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. ზემოხსენებული საქმე – *Bramelid and Malmstrom v. Sweden* – მნიშვნელოვანია არა მარტო იმის გამო, რომ იგი აღიარებს წილის საკუთრების უფლების კონვენციით გარანტირებული საკუთრების უფლების ფარგლებში მოქცევას, არამედ იმიტომაც, რომ ნათლად აჩვენებს აღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძ-

ლებლობას კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02.03.2017წ; 191-ე პუნქტი).

22.2. საწარმომ (კასატორმა) შეგებებული სარჩელით მოითხოვა მინორიტარი პარტნიორის გარიცხვა საწარმოს პარტნიორთა შემადგენლობიდან, პარტნიორული შეუთავსებლობის, საწესდებო კაპიტალისა და წილი კაპიტალის შეუვსებლობის გამო. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოს მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, რადგან ერთადერთ შემთხვევას, რასაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი პარტნიორის შესაძლო გარიცხვას უკავშირებს, წარმოადგენს ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-7 ნაწილი, რომელიც ადგენს: „პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი“. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალი – 2000 ლარი – შეესაბამება, მისი გაზრდის შესახებ პარტნიორთა კრებას გადაწყვეტილება არ მიუღია (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-6 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი), აქედან გამომდინარე, მინორიტარ პარტნიორს რაიმე დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულება არ დაკისრებია, შესაბამისად, შენატანის გარიცხვის მოტივით მინორიტარი პარტნიორის გარიცხვა ვერ მოხდებოდა, ხოლო საწარმოს მიერ მითითებული საფუძველი, პარტნიორული შეუთავსებლობის თაობაზე, კანონიდან არ გამომდინარეობს და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. ამდენად, საწარმოს პარტნიორთა კრების 2015 წლის 27 ოქტომბრის №5 ოქმი მინორიტარი პარტნიორის საწარმოდან გარიცხვის შესახებ უკანონო და დაუსაბუთებელია. ამ მხრივ საწარმოს დასაბუთებული საკასაციო შედავა არ განუხორციელებია და არ მიუთითებია იმგვარ გარემოებასა და მტკიცებულებაზე, რაც მინორიტარ პარტნიორს საწარმოში დამატებითი შენატანის განხორციელებას დაავალდებულებდა.

22.3. საკასაციო სასამართლო კასატორის ვერც იმ პრეტენზიას გაიზიარებს, რომელიც საწარმოს მტკიცებით, ფაქტობრივი გარემოების ცვლილების გამო, დავის საგნის დაზუსტებას და პარტნიორთა კრების 2016 წლის 5 ივნისს მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ დადასტურებას უკავშირდება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 7.3.1, 9.3.1, 11.20). ამ ნაწილშიც საკასაციო

სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც წინამდებარე გადაწყვეტილების 11.20 პუნქტშია ასახული. საკასაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნები სანარმოს შეგებებული სარჩელის უარყოფის თაობაზე და არ დააკმაყოფილა სანარმოს საკასაციო საჩივარი, შესაბამისად, სანარმოს შეგებებული სარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

23. სანარმოში მინორიტარი პარტნიორის კუთვნილ 25%-იან ნილზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებისა და მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხები ასახულია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 264.3, 257-ე, 408.3, 410-ე, 411-ე, 199<sup>1</sup>-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. შპს „ს-ეს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ხ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ს-ეს“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. გაუქმდეს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განჩინება, რომლითაც ყადაღა დაედო შპს „ს-ემი“ დ. ხ-ძის (პ/ნ ...) სახელზე რიცხულ 25%-იან წილს;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# საზოგადოებრივი პარტნიორის გარიცხვა

## ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-201-201-2018

8 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: შპს „ა-ს“ კაპიტალის 20% წილის მესაკუთრედ  
ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. 1992 წელს დაფუძნებული და ქალაქ თბილისის მერიის განკარგულებით (28.05.1992წ.) რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ა.“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც კომპანია, საწარმო, შპს, საზოგადოება, პირველი მოპასუხე), ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 8 იანვრის დადგენილებით, სამეწარმეო რეესტრში ხელახლა დარეგისტრირდა. საზოგადოების 1995 წლის წესდების მიხედვით, კომპანიის წილები შემდეგნაირად იყო განაწილებული: 20% წილს ფლობდა პარტნიორი დ. ძ-ძე (შემდეგში: პირველი პარტნიორი, მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) ს. ა. (შემდეგში: მეორე მოპასუხე ან მეორე პარტნიორი) – 20%-ს, მ. ა-ი (შემდეგში: მესამე მოპასუხე ან მესამე პარტნიორი) – 20%-ს, კ. ა. 30%-ს (შემდეგში – მეოთხე პარტნიორი), გ. ლ-ძე – 10%-ს (შემდეგში – მეხუთე პარტნიორი). პარტნიორთა გადაწყვეტილებით მოსარჩელე დანიშნული იყო საწარმოს დირექტორად.

2. საზოგადოების პარტნიორთა 1996 წლის 15 მარტის საერთო კრების გადაწყვეტილებით, მოსარჩელე დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა სამეწარმეო ეთიკის დარღვევისა და არასწორ გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველით (1 საერთო კრების ოქმი). ოქმის მიხედვით, კრებას ესწრებოდა საწესდებო კაპიტალის 100% წილის მფლობელი ხუთი პარტნიორი. გადაწყვეტილების მიღებას მხარი დაუჭირა ოთხმა საწესდებო კაპიტალის 80%-ის მფლობელმა პარტნიორმა (მოსარჩელე კენჭისყრაში არ მონაწილეობდა). ოქმს ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე – მეოთხე პარტნიორი, კრების მდივანი – მეორე პარტნიორი და მოსარჩელე.

3. 15.03.1996 წლის პარტნიორთა საერთო კრების №2 ოქმის მიხედვით, კრებამ თავისი გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უნდობლობა გამოუცხადა, გამოიყვანა საზოგადოების დამფუძნებელთა შემადგენლობიდან და გაათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან 1996 წლის 1 აპრილიდან. გადაწყვეტილების საფუძვლად ოქმში მითითებულია შემდეგი: დირექტორი თავს ვერ ართმევს პარტნიორისა და დირექტორის მოვალეობებს, სისტემატურად არღვევს წესდებს, შემჩნეულია სამენარმეო ეთიკის დარღვევასა და არასწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. მან, როგორც პარტნიორმა და დირექტორმა, ვერ გაამართლა პარტნიორთა ნდობა და ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, ამიტომ არა აქვს მორალური უფლება, დარჩეს პარტნიორად და დირექტორად. ამავე გადაწყვეტილებით, დირექტორის მოადგილეს – დ. მ-ს (შემდეგში – დირექტორის მოადგილე) დაევალა საქმის გადაბარება ყოფილი დირექტორისგან, ანგარიშის წარდგენა საზოგადოების ქონებიდან ყოფილი პარტნიორის გასატანი წილის შესახებ ყოფილი დირექტორის მატერიალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. კრების ოქმში მითითებულია, რომ მას ესწრებოდა სანესდებო კაპიტალის 100% წილის მფლობელი პარტნიორი. გადაწყვეტილების მიღებას მხარი დაუჭირა ოთხმა სანესდებო კაპიტალის 80%-ის მფლობელმა პარტნიორმა (მოსარჩელე კენჭისყრაში არ მონაწილეობდა). ოქმს ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე – მეოთხე პარტნიორი და კრების მდივანი – მეორე პარტნიორი.

4. მოსარჩელე 15.03.1996 წელს სასამართლოს სახელზე დაწერილ ნოტარიულად დამონმებულ განცხადებაში აღნიშნავს, რომ იგი არის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი. პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გაათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან, სურს, გავიდეს დამფუძნებლების შემადგენლობიდანაც. მას ქონებრივი ან სხვა სახის პრეტენზია საზოგადოებასა და დამფუძნებლებთან არ აქვს და არც მომავალში არ ექნება.

5. 04.04.1996 წელს საზოგადოების დამფუძნებელმა ოთხმა პარტნიორმა სამენარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებებისა და საზოგადოების ახალი წესდების დამტკიცების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. განცხადების მიხედვით, საერთო კრებამ გადაწყვიტა დამფუძნებელთა შემადგენლობიდან მოსარჩელის გასვლა. ამავე გადაწყვეტილებით მოსარჩელე გაათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან. საზოგადოების დამფუძნებლები არიან: მეორე მოპასუხე – 25%-იანი წილით, მესამე მოპასუხე – 25%-იანი წილით, მეოთხე პარტნიორი – 40%-იანი წილით, მეხუთე პარტნიორი – 10%-იანი წილით. განცხადებას პარტნიორებმა დაურთეს საზოგადოების წესდების განახლებული რედაქცია, სადაც მითითებულია, რომ

ის მიღებულია საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორთა 15.03.1996 წლის საერთო კრებაზე (ოქმი №2).

6. 04.04.1996 წლის დადგენილებით, ვაკის რაიონის სასამართლომ ახალი წესდებით გათვალისწინებული საზოგადოების ცვლილებები სამეწარმეო რეესტრში დაარეგისტრირა.

7. საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრების 22.03.2004 წლის გადაწყვეტილებით, გარდაცვლილი მეოთხე პარტნიორის ნაცვლად, კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე, საზოგადოების დამფუძნებელთა შემადგენლობაში შევიდა მისი მეუღლე – ლ. თ-ძე (შემდეგში – მეოთხე მოპასუხე), რომელსაც გადაეცა მეოთხე პარტნიორის კუთვნილი წილი კაპიტალში.

8. 15.03.1996 წლის შემდეგ მოსარჩელეს არ დასწრებია საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრებას და არც დივიდენდი მიუღია საწარმოდან. მან 26.12.2007 წელს მიმართა საზოგადოების დირექტორს პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ. მოსარჩელემ 13.02.2008 წელს განმეორებით მიმართა დირექტორს იმავე მოთხოვნით, რაზეც 25.02.2008 წელს მიიღო წერილობითი პასუხი, რომ იგი რეგისტრირებული არ იყო საზოგადოების პარტნიორად სამეწარმეო რეესტრში, რის გამოც კრების მოწვევის უფლება არ ჰქონდა.

**9. 2008 წლის 28 მარტს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა საზოგადოების, მეორე და მესამე პარტნიორისა და მეოთხე მოპასუხის წინააღმდეგ (შემდეგში ასევე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც მოპასუხეები ან მოწინააღმდეგე მხარე) და მოითხოვა:**

9.1. 15.03.1996 წლის პარტნიორთა საერთო კრების (კრების ოქმი №2) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

9.2. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 20% წილის მესაკუთრედ ცნობა.

10. მოსარჩელის მტკიცებით, იგი თავისი ნების საწინააღმდეგოდ გაიყვანეს საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობიდან, ჩამოართვეს წილი, რის თაობაზეც მან 2008 წელს შეიტყო, კერძოდ, როდესაც საზოგადოების დირექტორს წერილობით მოსთხოვა პარტნიორთა კრების მოწვევა, მიიღო პასუხი, რომ იგი აღარ იყო საზოგადოების პარტნიორი. სწორედ ამის შემდეგ სამეწარმეო რეესტრის მეშვეობით გაარკვია, რომ 1996 წელს იგი გაურიცხავთ საზოგადოების პარტნიორობიდან.

10.1. მოსარჩელის მტკიცებით, კრების №2 ოქმი გაყალბებულია, იგი ამ კრებას არ ესწრებოდა. მისთვის ოქმი არავის გაუცვნიდა და არც თავისი ხელმოწერით არ დაუდასტურებია მისი შინაარსი.

10.2. ოქმი არაა დადასტურებული სანოტარო წესით, რაც იმ



დროს მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულო იყო, შესაბამისად, სადავო ოქმი ბათილია.

10.3. მოსარჩელის მტკიცებით, მას არც 15.03.1996 წლის საზოგადოების დამფუძნებლებიდან გასვლის თაობაზე განცხადება არ დაუწერია. ეს განცხადება არც სასამართლოს კანცელარიაში არაა რეგისტრირებული და არც სასამართლოს 04.04.1996 წლის დადგენილებაში არ არის მოხსენიებული, რაც იმას ადასტურებს, რომ განცხადება სასამართლოში საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი. ამასთან, თუნდაც განცხადება მას დაენერა, რადგან გაყალბებულ №2 კრების ოქმსა და სასამართლოს დადგენილებაში მასზე არაფერია ნათქვამი, პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან უკანონოა.

10.4. მოსარჩელის მოსაზრებით, საზოგადოებიდან მის გასარიცხად აუცილებელი იყო პარტნიორთა სარჩელის საფუძველზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არ არსებობს. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ, რადგან საზოგადოებიდან მის გარიცხვას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, იგი საზოგადოებიდან გარიცხული არ არის და სამენარმეო რეესტრში უნდა აღირიცხოს თავისი კუთვნილი წილის – 20%-ის მესაკუთრედ, რომელიც მოპასუხეებმა უკანონოდ გაინაწილეს.

10.5. რაც შეეხება მის გათავისუფლებას დირექტორის თანამდებობიდან, პარტნიორთა საერთო კრების 15.03.1996 წლის გადაწყვეტილებით (პარტნიორთა კრების №1 ოქმი) იგი მართლაც გათავისუფლდა. არც ეს კრება არ ჩატარებულა, მაგრამ №1 ოქმი მას 03.04.1996 წელს გააცნეს. მან ოქმი ჩაიბარა და ხელმოწერითა და ადასტურა, ვინაიდან არ აპირებდა საზოგადოებაში დირექტორად დაბრუნებას. საზოგადოებიდან გასვლის ან გარიცხვის თაობაზე კი, მისთვის არავის უცნობებია.

**11. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა როგორც მოთხოვნის წარმოშობის, ისე – მისი განხორციელების შემაფერხებელი (მოთხოვნის ხანდაზმულობის) შესაგებელი და მიუთითა შემდეგი:**

11.1. მოსარჩელემ საზოგადოებაში კუთვნილი წილი დაკარგა თავისივე ნებით, 15.03.1996 წლის განცხადების საფუძველზე, რომლის ნამდვილობა დადასტურებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით. სწორედ ამ განცხადების საფუძველზეა მიღებული პარტნიორთა საერთო კრების 15.03.1996 წლის გადაწყვეტილება (პარტნიორთა კრების №2 ოქმი), რომლის ნამდვილობა დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნითაც. შესაბამისად, მოსარჩელე მართლზომიერად გავიდა საზოგადოებიდან წილის კომპენსაციის გარეშე, რადგან უარი თქვა კომპენსაციაზე.

11.2. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ოქმშივეა მითითებული, რომ მეორე მოპასუხემ მხარი დაუჭირა მოსარჩელის არა მხოლოდ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებას, არამედ საზოგადოებიდან მის გასვლასაც. ოქმითვე დასტურდება მოსარჩელის კრებაზე მონაწილეობა. მას კი, კრების ოქმი №2 თვის ვადაში არ გაუსაჩივრებია.

11.3. მოპასუხე მხარემ სარჩელის ხანდაზმულობაზეც მიუთითა: მოსარჩელემ 1996 წლის 15 მარტიდანვე იცოდა თავისი დარღვეული უფლების შესახებ, რასაც ადასტურებს მის მიერ შევსებული თანამდებობის პირის დეკლარაციები, სადაც იგი სანარმოში პარტნიორად მონაწილეობის პერიოდად უთითებს 1992-1996 წლებს, 2001-2004 წლების დეკლარაციებში კი, მას აღარ ჩაუწერია, რომ კომპანიის პარტნიორია. მოპასუხის მტკიცებით, ასეც რომ არ იყოს, მოსარჩელეს შეეძლო, შეეტყო ამ ფაქტის თაობაზე, კერძოდ, გადაემონწმებინა საკუთარი პარტნიორობის საკითხი სამენარმეო რეესტრში, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც თავად აღნიშნავს, წლების განმავლობაში არც ერთხელ არ მიუწვევიათ კრებაზე და არც დივიდენდი არ მიუციათ. მოპასუხის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, გასულია არა მარტო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით დადგენილი 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, არამედ სამოქალაქო კოდექსის 128.3 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადაც.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მიერ 2008 წლის 28 მარტს აღძრული სარჩელი, იგი ცნობილ იქნა საზოგადოების კაპიტალში მეოთხე მოპასუხის კუთვნილი 46% წილიდან 10%-ის მესაკუთრედ, მეორე მოპასუხის კუთვნილი 27% წილიდან – 5%-ის მესაკუთრედ, მესამე მოპასუხის კუთვნილი 27% წილიდან – 5%-ის მესაკუთრედ და მოსარჩელის წილი კომპანიის კაპიტალში განისაზღვრა 20%-ით; მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე კომპანიის დამფუძნებელთა 1996 წლის 15 მარტის N2 კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილში, იმ მოტივით, რომ სამენარმეო საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა აღნიშნული კრების ოქმი და არ დასტურდებოდა, რომ რეესტრში რეგისტრირებულ ცვლილებას №2 კრების ოქმი დაედო საფუძვლად.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28

თებერვლის განჩინებით, მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23 მარტის განჩინებით, მოპასუხეთა განცხადება, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმისწარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და განახლდა საქმისწარმოება.

საქმისწარმოების განახლებას საფუძვლად დაედო სასამართლოში საზოგადოების პარტნიორთა 1996 წლის 15 მარტის №2 კრების ოქმის დედნის წარდგენა, რომელიც ამოღებულ იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის (№074200313801) საქმეზე მიმდინარე გამოძიების პროცესში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საარქივო სამმართველოდან. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული კრების ოქმის დედანი საქმის განხილვისას რომ ყოფილიყო წარდგენილი, მისი შინაარსის გათვალისწინებით, მოპასუხეთათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას გამოიწვევდა.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 აპრილის განჩინებით, მოსარჩელის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23 მარტის განჩინებაზე წარდგენილი კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

**16. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) მე-15, 44-ე, 46.3, 47-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 51-ე, 130-ე მუხლები და მიუთითა შემდეგი:**

16.1. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ უკრძალავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს საზოგადოებიდან გასვლას და არც გასვლის წინაპირობებს უწესებს მათ. გასვლის საფუძველი შეიძლება, იყოს ისეთი გარემოებების არსებობა, რომლებიც შეუძლებელს ხდის პარტნიორის დარჩენას საზოგადოებაში და საქმიანობის გაგრძელებას სხვა პარტნიორებთან ერთად. საზოგადოებიდან გასვლა პარტნიორის მიერ ნების გამოხატვისა და გასვლის შესახებ განცხადების შეტანით ხდება.

16.2. მოსარჩელისათვის პარტნიორთა შემადგენლობიდან გასვლის შესახებ ცნობილი იყო 1996 წელს, კერძოდ, მის მიერ საზოგადოების პარტნიორობიდან გასვლის თაობაზე ნების გამოხატვისა და პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას. პირველი პარტნიორი 1996 წლის 15 მარტს ესწრებოდა კრებას, რომელზეც, გარდა დირექტორის ცვლილებისა, განიხილებოდა მოსარჩელის პარტნიორთა შემადგენლობიდან გასვლის საკითხი, რასაც ადასტურებს №1 კრების ოქმში მითითება იმის შესახებ, რომ მეორე პარტნიორმა მხარი დაუჭირა პირველი პარტნიორის დამფუძნებელთა შემადგენლობიდან გასვლას. ამასთან, მოწმის ჩვენებითაც დგინდებოდა, რომ 1996 წლის 15 მარტის პარტნიორთა კრების დღის წესრიგში შეტანილი იყო მოსარჩელის დირექტორობიდან გათავისუფლებისა და პარტნიორობიდან გასვლის საკითხი. მოსარჩელე №1 კრების ოქმს გაეცნო 1996 წელს და სადავოდ არ გაუხდია. №2 კრების ოქმის მიხედვით კი, კრებას ესწრებოდა მოსარჩელე, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი დამფუძნებელთა შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

16.3. სასამართლომ დაადგინა, რომ ვაკის რაიონის სასამართლო-სადმი მიმართული საზოგადოების დამფუძნებელთა შემადგენლობიდან გასვლის შესახებ განცხადება თავად მოსარჩელემ შეადგინა.

16.4. სასამართლოს მითითებით, 1996 წელს საზოგადოების პარტნიორობიდან გასვლის შესახებ მოსარჩელის ინფორმირებულობას ადასტურებდა შემდეგი გარემოებები: 1996 წლის შემდეგ მოსარჩელეს საწარმოს მართვაში მონაწილეობა არ მიუღია; პარტნიორთა კრებებზე მიწვეული არასდროს ყოფილა; თანამდებობის პირობის 1999 წლის ქონებრივ დეკლარაციაში საწარმოს პარტნიორად მონაწილეობის პერიოდად მოსარჩელემ მიუთითა 1992-1996 წლები, ანუ – პარტნიორად მონაწილეობის ბოლო პერიოდად სწორედ ის წელი, როდესაც, კრების ოქმების მიხედვით, მან დატოვა საზოგადოება, 2000 წლის დეკლარაციაში პარტნიორად მონაწილეობის პერიოდად 5 წელია ასახული (პარტნიორი იყო 1992 წლიდან), 2001-2004 წლების დეკლარაციებში კი, მოსარჩელეს აღარ მიუთითებია, რომ არის კომპანიის პარტნიორი.

16.5. 2008 წლის 26 მარტამდე მოქმედი რედაქციით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი, პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადას ითვალისწინებდა ხუთ წელს მათი წარმოებიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან. კანონი ხანდაზმულობის ვადის ათვლის წერტილად მიიჩნევდა პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

16.6. სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან მოსარჩელემ 1996 წელს იცოდა მისი საზოგადოების პარტნიორობიდან გასვლის შე-სახებ, ხოლო სასამართლოს სარჩელით მიმართა 2008 წლის 28 მარტს, სასარჩელო მოთხოვნის 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. ამდენად, სასამართლომ სარჩელი ხანდაზმულობის მოტივით არ დააკმაყოფილა.

**17. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:**

17.1 1996 წლის 15 მარტს პარტნიორთა კრება რომ არ ჩატარებულა, დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით, მათ შორის – იმითაც, რომ 1996 წლის 15 მარტსა და 4 აპრილს სხვა პარტნიორებთან ერთად ოქმში შეყვანილია და განცხადებას ხელს აწერს მეხუთე პარტნიორი, რომელიც იმ პერიოდისთვის საქართველოში არ იმყოფებოდა.

17.2 მარეგისტრირებულმა სასამართლომ პარტნიორთა შემადგენლობაში ცვლილებები შეიტანა ნოტარიულად დამოწმებული პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გარეშე. ამასთან, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება სარეგისტრაციო დოკუმენტებში არ იქნებოდა.

17.3 თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები ადასტურებს სულ სხვა გარემოებებს და არა მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხს.

17.4 რაც შეეხება პირველი პარტნიორის განცხადებას, გარდა იმისა, რომ იგი ხელმოწერილია მოსარჩელის მიერ, რაც დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნით, მასთან დაკავშირებით ყველაფერი სადავოა, კერძოდ, როდის და სად დაინერა ის, 1996 წლის 15 მარტის პარტნიორთა კრებაზე თუ 4 აპრილს ნოტარიუსის თანდასწრებით, ვის ჩააბარა მოსარჩელემ განცხადება – პარტნიორებსა თუ სასამართლოს, თუ სასამართლოს ჩააბარა, პასუხად რატომ არ მისვლია კორექსონდენცია და ა.შ.

17.5 საქმისწარმოების განახლებამდე, მოცემულ დავაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებულია, რომ შპს-ს 1996 წლის 8 იანვრის სასამართლო დადგენილებით რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანას საფუძვლად არ დასდებია 1996 წლის 15 მარტის №2 პარტნიორთა კრების ოქმი. თავდაპირველი საქმისწარმოებისას, ოქმის ბათილად ცნობაზე სწორედ იმ საფუძვლით ეთქვა უარი მოსარჩელეს, რომ ოქმის ბათილობა მისთვის უშედეგო იქნებოდა.

**18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განჩინებით, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.**

18.1 სააპელაციო სასამართლომ, უპირველესად, აღნიშნა, რომ 2010 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება 1996 წლის 15 მარტის №2 ოქმის ბაზაზე ცნობაზე უარის თქმის ნაწილში კანონიერ ძალაშია და, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ამ ნაწილში საქმისწარმოება არ განახლებულა. შესაბამისად, სხვადასხვა პროცედურულ დარღვევებზე მითითება გავლებას ვერ იქონიებდა კრების გადაწყვეტილების ნამდვილობასა და კანონიერ ძალაზე.

18.2. პალატამ მიუთითა, რომ, განცხადებაზე მოსარჩელის ხელმოწერის ნამდვილობის ექსპერტიზით დადასტურების გარდა, მისი ნების გამოვლენას ადასტურებდა 1996 წლის 15 მარტის №2 ოქმი, კრებაზე დამსწრე პირთა განმარტებები, მოსარჩელის 1996 წლის 15 მარტის განცხადებაზე ხელმოწერის ნოტარიულად დადასტურება. მხოლოდ მონმის ჩვენებებში დაფიქსირებული უზუსტობა (ოქმის შედგენიდან 12 წლის შემდეგ) ვერ გააბათილებდა აღნიშნული მტკიცებულებებით დადასტურებულ გარემოებებს. ამასთან, ხელმოწერის ნამდვილობასთან დაკავშირებით, ექსპერტიზის დასკვნის საწინააღმდეგო მტკიცებულება აპელანტს არ წარუდგენია.

18.3. სასამართლოს მითითებით, საზოგადოების მეხუთე პარტნიორის 1996 წლის 15 მარტსა და 1996 წლის 4 აპრილს საქართველოში არყოფნა და მისი თანხმობის გარეშე საწარმოს წესდებაში ცვლილების რეგისტრაცია წარმოადგენს მისი უფლების შესაძლო დარღვევას და მხოლოდ მას შეეძლო, ედავა ამის თაობაზე. ამასთან, ძალაშია ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 4 აპრილის დადგენილება, რომლითაც დარეგისტრირდა საზოგადოების ახალი წესდება და ცვლილება სამეწარმეო რეესტრში, რომელზეც მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ამის საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი კი, იმ მხარეზეა, რომელსაც საწინააღმდეგოს დამტკიცება სურს. რაც შეეხება იმ გარემოებას რომ №2 ოქმი არ აღმოჩნდა სამეწარმეო საქმეში, სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან სასამართლოში წარდგენილი იყო ოქმის დედანი, მისი სამეწარმეო საქმეში არარსებობა, იურიდიული შედეგის წარმოშობას ხელს არ უშლიდა.

18.4. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის 1996 წლის 15 მარტის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, სასამართლოსთვის წარდგენილ სხვა დოკუმენტებთან ერთად, ქმნიდა სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანის დამოუკიდებელ საფუძველს. ამასთან, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ამ განცხადების

ადრესატი, სსკ-ის 51.1 მუხლის თანახმად, პარტნიორის მიერ ცალმხრივად გამოვლენილი ნება მიუვიდა მეორე მხარეს, რომელმაც ის მიიღო. შესაბამისად, ცალმხრივად გამოვლენილმა ნებამ შეიძინა ნამდვილი ძალა, რომელსაც დაეთანხმნენ საზოგადოების სხვა პარტნიორები შემხვედრი ნების გამოვლენით და მიიღეს გადაწყვეტილება მოსარჩელის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, რაც აისახა წესდების ახალ რედაქციაში და სასამართლო დადგენილების საფუძველზე სამენარმეო რეესტრში შეცვლილ მონაცემებში. ის ფაქტი, რომ 1996 წლის 15 მარტის პარტნიორთა კრების №2 ოქმი არ იყო დამონებული სანოტარო წესით, არ უკარგავდა მას იურიდიულ ძალას და სხვა დოკუმენტებთან ერთობლივად მოსარჩელის პარტნიორობიდან გასვლას ადასტურებდა.

18.5. სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. მოთხოვნის ხანდაზმულობის დამადასტურებელ პირდაპირ მტკიცებულებად პალატამ მიიჩნია მოსარჩელის 1996 წლის 4 აპრილის განცხადება საზოგადოების დამფუძნებლების შემადგენლობიდან გასვლისა და წილზე უარის თქმის შესახებ და ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 4 აპრილის დადგენილება, რომლითაც დამტკიცდა ახალი წესდება და ცვლილება შევიდა სამენარმეო რეესტრის მონაცემებში.

18.6. პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, დაინტერესებული პირი არ არის ვალდებული, სამენარმეო რეესტრი სისტემატურად აკონტროლოს, მხოლოდ იმის გამო, რომ აღნიშნული მონაცემი საჯაროა, თუმცა მხარემ დამაჯერებლად უნდა ახსნას, თუ რამ განაპირობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში რეესტრის ჩანაწერების მიმართ ინტერესის არარსებობა, მით უფრო ისეთ უფლებასთან დაკავშირებით, რაც სარგებლის მომტანია. წილის საფუძველზე პარტნიორს აქვს შესაძლებლობა, მონაწილეობდეს სანარმოს მართვაში, რაც გულისხმობს პარტნიორთა კრებაში მონაწილეობასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. პარტნიორის ინტერესი, მიიღოს დივიდენდი, თავისთავად განაპირობებს მინიმუმ იმგვარ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სურვილს, თუ როგორ ვითარდება საზოგადოების საქმიანობა და საკუთარი კაპიტალის საზოგადოების სასარგებლოდ განკარგვის გზით მოპოვებული წილი საზოგადოებაში, რამდენადაა სარგებლის მომტანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ არადაამაჯერებლად და არასარწმუნოდ მიიჩნია აპელანტის განმარტება, რომ, მართალია, წლების განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა საზოგადოების საქმიანობაში, თუმცა თავს მაინც საზოგადოების პარტნიორად მიიჩნევდა.

18.7. სასამართლომ აპელანტის ქონებრივ დეკლარაციასთან და-

კავშირებულ პრეტენზიაზე განმარტა, რომ არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვისთვის იყო განკუთვნილი კონკრეტული დოკუმენტი. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ დეკლარაციებით დასტურდებოდა პირის ინფორმირებულობა საზოგადოებიდან მისი გასვლის შესახებ და ამ მონაცემებს იგი პირადად აფიქსირებდა.

18.8 ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ გასული იყო არა მხოლოდ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 15.1 მუხლით გათვალისწინებული სპეციალური ვადა, არამედ სსკ-ის 128.3 მუხლით განსაზღვრული საერთო ხანდაზმულობის ვადაც. ამასთან, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ წილის საკუთრების უფლებაზე არ უნდა გავრცელებულიყო ხანდაზმულობის ვადა, შემდეგ გარემოებათა გამო: მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 128.2 მუხლი არ უთითებს საკუთრების უფლების უვადოდ დაცვაზე, სასამართლო პრაქტიკა ამ უფლების ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელებით დაცვაზე ხანდაზმულობას, საკუთრების უფლების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, არ ავრცელებს, თუმცა პრაქტიკა უკავშირდება მხოლოდ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების დაცვას, ამასთან, ისეთ დროს, როდესაც პირი უძრავ ნივთზე მესაკუთრედ კანონიერად არის რეგისტრირებული; მისი საკუთრების უფლება სადავო არ არის; მას, როგორც მესაკუთრეს, ნივთზე მფლობელობისა და სარგებლობის უფლება არ აქვს. სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მოდავე პირზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ იყო და სადავო იყო თავად ეს უფლება, რის გამოც ზემოაღნიშნული სასამართლო პრაქტიკა წინამდებარე დავაზე ვერ გავრცელდებოდა.

**19. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ საკასაციო საჩივარი წარადგინა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:**

19.1. კასატორის მტკიცებით, ფაქტი, რომ სადავო №2 კრების ოქმი ნოტარიულად არ არის დამოწმებული, მისი ბათილობის უპირობო საფუძველია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 19.1 მუხლისა და 46.3 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლომ კი, ხსენებული მუხლებიდან პირველი არ გამოიყენა, ხოლო მეორე – არასწორად განმარტა, როდესაც მიუთითა, რომ 46.3 მუხლი არ აწესრიგებდა პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლას, რის გამოც სადავო კრების ოქმის ნოტარიულად დაუწმინებლობა მას იურიდიულ ძალას არ უკარგავდა.

19.2. ხანდაზმულობის სამართლებრივი შეფასებისათვის აუცილებელია, გაიმიჯნოს, რომ განსახილველ საქმეში დავის საგანს



წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორად რეესტრში აღრიცხვა, ანუ საზოგადოებაში 20% წილის დაბრუნება, ხოლო მოთხოვნის საფუძველია არა საზოგადოებიდან გასვლა, არამედ პარტნიორობიდან გარიცხვის თაობაზე საზოგადოების გადაწყვეტილების არაკანონიერების დადგენა. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით კი, პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან მოითხოვს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, ხოლო, თუ სასამართლოს გვერდის ავლით პარტნიორთა გადაწყვეტილება დარეგისტრირდება სამენარმეო რეესტრში, ასეთი რეგისტრაცია ბათილია. შესაბამისად, მოსარჩელე არ ელოდა საზოგადოებიდან გარიცხვას გარიცხვისათვის დადგენილი წესის უგულვებელყოფით.

19.3. უსაფუძვლოა სასამართლოს მსჯელობა, რომ, ვინაიდან სადავო პერიოდში მოსარჩელეს დივიდენდი არ მიუღია, იგი თავს საზოგადოების პარტნიორად ვერ მიიჩნევდა და ჰქონდა საკმარისი საფუძველი რეესტრის მონაცემების გადამოწმებისა. უდავო ფაქტია, რომ ამ პერიოდისათვის საწარმოში პარტნიორთა სახელზე დივიდენდი არ გაცემულა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1996 წლიდან 2008 წლამდე რეესტრის მონაცემების გადამოწმება არ იყო მარტივი და ხელმისაწვდომი, არ არსებობდა სამენარმეო რეესტრის ერთიანი ელექტრონული ბაზა.

19.4 სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა ხანდაზმულობის წარმოშობის დრო და მიუთითა, რომ 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა აითვლება სადავო ურთიერთობის წარმოშობის მომენტიდან და არა – პირის მიერ საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ან ისეთი გარემოების არსებობიდან, რაც გვაფიქრებინებს, რომ პირს უნდა მიეღო ინფორმაცია უფლების დარღვევაზე.

19.5. კასატორის მტკიცებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების არა მარტო სარეზოლუციო ნაწილია კანონიერ ძალაში შესული, არამედ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტი, რომ №2 კრების ოქმი არის კანონსაწინააღმდეგო და ის არ მოიპოვება საზოგადოების სამენარმეო საქმეში. ამასთან, საზოგადოების მეხუთე პარტნიორი იმ პერიოდში საქართველოში არ იმყოფებოდა, რის გამოც იგი კრების ოქმს, სასამართლოსადმი მიმართულ განცხადებასა და წესდების ახალ რედაქციას ვერ მოაწერდა ხელს, რაც გამორიცხავდა მითითებული დოკუმენტების ნამდვილობას. სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ ეს ფაქტი მხოლოდ საზოგადოების მეხუთე პარტნიორის უფლების შესაძლო დარღვევაზე მიუთითებდა, არასწორია, რამდენადაც საწარმოს პარტნიორს შეუძლია, გაასაჩივროს კანონის დარღვევით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ

ნესდებაში ცვლილება, მით უფრო, თუ ასეთი გადანყვეტილებით იგი კარგავს წილზე საკუთრების უფლებას.

19.6. რაც შეეხება ფინანსურ და ქონებრივ დეკლარაციებს, კანონი და თავად დეკლარაციის ფორმა მიუთითებს, რომ მისმა შემვსებმა პირმა უნდა მიუთითოს იმ ქონებასა და შემოსავალზე, რაც მას აქვს კონკრეტული ფინანსური წლის განმავლობაში. მითითებული დეკლარაციით სწორედ ის არის დადგენილი, რომ, როგორც 1999 წელს, ისე 2000 წელსაც დეკლარაციის შემვსებმა მოსარჩელემ სახელმწიფოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მას აქვს ქონება, რაც გამოიხატება საზოგადოების კაპიტალში 20% წილის საკუთრებით. სხვა ყველაფერი არაპირდაპირი ვარაუდებია და ვერაფერს ამტკიცებს.

19.7. კასატორის მტკიცებით, ყალბია 1996 წლის 15 მარტის სასამართლოს სახელზე დაწერილ განცხადებაზე მისი ხელმოწერა. მონმედ დაკითხულმა ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ხელმოწერა ვარაუდობს და ვერ გამოიხატავს, რომ ის სხვა პირმა შეასრულა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა, უკვე ჩატარებული კვლევა განმეორებით ჩატარებულიყო კომისიური ექსპერტიზის წესით და დამატებით გამოკვლეულიყო დოკუმენტებზე ასახული არაერთი განსხვავება.

19.8. კასატორი მიიჩნევს, რომ სარჩელის ხელახლა განხილვის ეტაპზე არაფერი გამოკვლეულა და დადასტურებულა ისეთი, რაც მოთხოვნის უსაფუძვლობას გამოავლენდა ან მის ხანდაზმულობას დაასაბუთებდა.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

21. საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, კერძოდ, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და, ხელახალი განხილვის მიზნით, საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

22. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებსა და სხდომის ოქ-

მებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

23. მოცემულ შემთხვევაში, ისეა სარჩელი უარყოფილი, რომ გასაჩივრებული განჩინებით არ განსაზღვრულა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა/ნორმები და, შესაბამისად, არც დასაბუთებას არ შეიცავს ნორმით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი წინაპირობების არარსებობის თაობაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ უკრიტიკოდ, სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმების უგულვებელყოფით, გაიზიარა მოპასუხის შედავება პარტნიორის საზოგადოებიდან არა გარიცხვის, არამედ გასვლის თაობაზე. მტკიცებულებებიც შეაფასა მხოლოდ პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის ჭრილში მაშინ, როდესაც ამ მტკიცებულებებით სადავო გარემოებები არ მტკიცდებოდა.

24. სააპელაციო პალატის დასკვნები ურთიერთგამომრიცხველი და არათანმიმდევრულია, ის, ერთი მხრივ, ასკვნის, რომ საზოგადოებიდან გასული პარტნიორის ნების გამოვლენის საფუძველზე დანარჩენმა პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება მისი საზოგადოებიდან გაყვანის თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დადასტურებულად მიიჩნევს, რომ 1996 წლის 15 მარტის №2 პარტნიორთა კრების ოქმი, რომლითაც მოსარჩელე გაირიცხა საზოგადოებიდან, დაედო საფუძვლად რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანას.

25. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ერთი და იმავე პარტნიორის ერთდროულად საზოგადოებიდან გასვლა და გარიცხვა დაუმგებელია, რამდენადაც განსხვავებულია მათი წინაპირობები და პროცედურა. პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს, რომ საზოგადოებიდან გასვლა პარტნიორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც გულისხმობს პარტნიორის ნებაყოფლობით გასვლას საზოგადოებიდან, ხოლო პარტნიორის გარიცხვა არის მისი ნების საწინააღმდეგო უკიდურესი ღონისძიება, რაც დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების განხორციელებისას.

26. სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელე თავისი ნების საწინააღმდეგოდ გაიყვანეს საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობიდან, რის თაობაზეც მისთვის უცნობი იყო. მოსარჩელემ მოგვიანებით გაარკვია, რომ იგი გაურიცხავთ საზოგადოების პარტნიორობიდან 1996 წლის 15 მარტის კრების №2 ოქმით, რომელიც გაყალბებულია, მოსარჩელე კრებას არ ესწრებოდა, მისთვის ოქმი არავის გაუცვინია და არც თავისი ხელმონერით არ დაუდასტურებია მისი შინაარსი.

27. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, საზოგადოების კაპიტალის 20% წილის მესაკუთრედ ცნობა, ითვალისწინებს როგორც დელიქტური სამართლის, ისე – უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები. იმის გათვალისწინებით, რომ კონდიქციიდან გამომდინარე მოთხოვნები სუბსიდიური ხასიათისაა, ისინი ბოლოს მოწმდება, კერძოდ, თუ სხვა სამართლებრივი საფუძვლით სარჩელი წარუმატებელი იქნება, დამატებით მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შემოწმდეს მისი საფუძვლიანობა კონდიქციური სამართლის ნორმების შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ, პირველ რიგში, სარჩელის საფუძვლიანობა დელიქტური ნორმების საფუძველზე უნდა შემოწმდეს, კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოთხოვნის საფუძვლიანობა სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 998-ე (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლებზე დაყრდნობით უნდა ეკვლია და ამ ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები დაედგინა.

28. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი) „გე-

ნერალური დელიქტის“ ერთ-ერთი მთავარი პირობა მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხებმა მისი საკუთრების უფლება მართლსაწინააღმდეგოდ ხელყვეს გაყალბებული კრების ოქმის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, პირველ რიგში, სწორედ ის უნდა გამოარკვიოს, კანონით ან წესდებით დადგენილი წესით მონეული იყო თუ არა მოსარჩელე სადავო კრებაზე, ჩატარდა თუ არა ეს კრება საერთოდ, ხოლო თუ ჩატარდა, მიიღეს თუ არა პარტნიორებმა მოსარჩელის საზოგადოებიდან გარიცხვის გადაწყვეტილება. ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს ეკისრება.

29. კასატორის პრეტენზია უკავშირდება სწორედ მისი პარტნიორობიდან გარიცხვის პროცედურული წინაპირობების დაუცველობას. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შედეგია, წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა. შესაბამისად, გარიცხვისათვის დადგენილი პროცედურისა და ფორმალური მოთხოვნების დაცვა ქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას, გარიცხვის მართლზომიერების შესამოწმებლად, პირველ რიგში, უნდა დაედგინა, დაიცვა თუ არა მოპასუხემ ის ეტაპები, რომელიც პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვისათვის იმ დროს მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, სამოქალაქო კოდექსითა და სასამართლო პრაქტიკით იყო დადგენილი, კერძოდ: 1. საერთო კრების მიერ გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება; 2. საზოგადოების მიერ სარჩელის შეტანა სასამართლოში, პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით; 3. გარიცხვის მატერიალური საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება; 4. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილ ორგანოში საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია.

30. კასატორი კრების მიერ საზოგადოებიდან მისი გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას სადავოდ ხდის და ამტკიცებს, რომ იგი არ იყო მონეული და, შესაბამისად, არც დასწრებია კრებას. დადგენილია, რომ №2 კრების ოქმს მოსარჩელე ხელს არ აწერს. მითითებული ფაქტობრივი გარემოება სასამართლომ უნდა შეაფასოს იმის გათვალისწინებითაც, რომ იმავე დღეს შედგენილ №1 კრების ოქმს მოსარჩელე ხელს აწერს. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს, თუ რამ განაპირობა ერთ დღეს ორი კრების ჩატარება და ორივე კრებაზე საწარმოს დირექტორობიდან მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, მტკიცებულებათა სა-

თანადოდ გამოკვლევის გზით, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ მოსარჩელე მოწვეული იყო კრებაზე, რომელზედაც მისი გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღეს, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, საკმარისი იყო თუ არა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის საზოგადოებიდან გასარიცხად, იმ პირობებში, როდესაც პარტნიორის გარიცხვის თაობაზე სანარმოს სარჩელი არ აღუძრავს სასამართლოში.

31. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სწორედ პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით საზოგადოების მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე უნდა დაედგინა სასამართლოს გარიცხვის უფლების წარმოშობის წინაპირობები და სსკ-ის 399-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, ხანგრძლივი სახელშეკრულებო სასამართლებრივი ურთიერთობის მოშლის შესაძლებლობას, ეკვლია საზოგადოების მიერ ამ უფლების გამოყენების მართლზომიერება. სასამართლოს უნდა დაედგინა პარტნიორის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა – საზოგადოების მიზნის შელახვა, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება; საზოგადოებისთვის ზიანის მიყენება; პირველ და მეორე წინაპირობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. გარიცხვის შესახებ სასარჩელო წარმოებისას, სასამართლო ამოწმებს, რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენეს პარტნიორებმა გარიცხვის უფლება, ხომ არ იყო მათი გადაწყვეტილება მოტივირებული პარტნიორთა ცალკეული ჯგუფის პირადი ინტერესებით, პირადი სარგებლის ან ქონებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად (გარიცხვის მატერიალურსამართლებრივი წინაპირობების თაობაზე დანვრილებით იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: №ას-556-939-06, 13.03.2007 წელი; №ას-812-1099-09, 09.11.2009 წელი; №ას-577-545-2011, 23.06.2011 წელი). ამასთან, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თუ სააპელაციო პალატა გარიცხვის პროცედურულ წინაპირობებს შესრულებულად მიიჩნევდა, მას კრების №2 ოქმში მითითებული გარიცხვის მატერიალურსამართლებრივი წინაპირობების სათანადოობა და საკმარისობა მითითებული წესით უნდა შეემოწმებინა.

32. გარდა იმისა, რომ გარიცხვა იწვევს გარიცხული პარტნიორის საკუთრების უფლების დაკარგვას წილზე, რის გამოც საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვის კონსტიტუციურობა მოითხოვს, რომ პარტნიორი საზოგადოებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაირიცხოს, სასამართლო პრაქტიკითაც (იხ. სუსგ №3კ/303-01, 09.03.2001 წელი; №ას-614-951-07, 12.10.2007; №ას-220-212-2012, 03.12.2012 წელი; №ას-771-732-2013, 31.01.2014

წელი) დადგენილია, რომ პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზითაა შესაძლებელი (გარდა შესატანის შეუტანლობისას, რა დროსაც პარტნიორის გარიცხვას სასამართლო გადაწყვეტილება არ სჭირდება).

33. კიდევ ერთი პროცედურული წინაპირობა, რომელზეც კასატორი აპელირებს კრების ოქმის სანოტარო დამონმებას უკავშირდება. პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას და მიუთითებს, რომ სადავო კრების №2 ოქმი რომც მივიჩნიოთ კრების მიერ პარტნიორის არა გარიცხვის, არამედ გასვლის გადაწყვეტილებად (როგორც ეს, შესაძლოა, სააპელაციო სასამართლომ გაიგო), იგი ფორმალურად უცვლელია. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო პერიოდში მოქმედი (28/10/1994) რედაქციის 46.3 მუხლის დანაწესი (პარტნიორის მიერ წილის დათმობა მოითხოვს სანოტარო წესით დამონმებულ ხელშეკრულებას. სანოტარო დამონმება ასევე საჭირო შეთანხმებისათვის, რომლითაც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულება წილის გასხვისების შესახებ) მოითხოვდა ამგვარი გარიგების სანოტარო წესით დამონმებას. ნორმის როგორც ლოგიკური, ისე დოქტრინალური განმარტებიდან გამომდინარე, მისი მიზანი იყო პარტნიორთა შემადგენლობისა თუ წილობრივი ცვლილების გამომწვევი ფაქტის სანოტარო წესით დამონმება. ამდენად, პარტნიორის საზოგადოებასთან ურთიერთობის დასრულებას (არ აქვს მნიშვნელობა გასვლით, თავისი წილის გასხვისებით, გაცვლითა თუ დათმობით) უკავშირდებოდა წესდებაში ცვლილება და რეესტრში რეგისტრაცია, რაც განაპირობებდა კანონის მოთხოვნას სანოტარო წესით დამონმების თაობაზე. ამასთან, თუ მოპასუხეთა შედავებას გავიზიარებთ, გამოდის, რომ ფაქტობრივად, მოსარჩელემ თავისი წილი სხვა პარტნიორთა სასარგებლოდ დათმო (ვინაიდან გასვლა კომპენსაციის გარეშე არ ხდება იხ. პ. 37), რასაც ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარეც სჭირდებოდა სანოტარო დამონმება.

34. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა მოპასუხეთა შედავება, მიიჩნია, რომ მოსარჩელე საზოგადოებიდან თავისი ნებით გავიდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ ხელახლა უნდა იმსჯელოს მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილ კვალიფიციურ შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების (მაგალითად, რომ მოსარჩელემ თავად დაწერა განცხადება საზოგადოებიდან უკომპენსაციოდ გასვლის თაობაზე) დამტკიცების შემთხვევაშიც კი, მიიჩნევა თუ არა, პარტნიორი საზოგადოებიდან გასვლად, ანუ ამ ფაქტობრივი გარემოებებით შესრულებულია თუ არა პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის ყველა წინაპირობა, რომელსაც ითვალისწინებს სსკ-ის 51.1 მუხლი (ნე-

ბის გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა), 399-ე მუხლის პირველი ნაწილი (ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მოშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე) „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) 46-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტები (პარტნიორს შეუძლია წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა. პარტნიორის მიერ წილის დათმობა ან დაგირავება მოითხოვს სანოტარო წესით დამონმებულ ხელშეკრულებას და რეგისტრაციას სამენარმეო რეესტრში. სანოტარო დამონმება და სამენარმეო რეესტრში რეგისტრაცია საჭიროა ასევე შეთანხმებისათვის, რომლითაც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულება წილის გასხვისების ან დაგირავების შესახებ).

35. პარტნიორმა გასვლის ნება საზოგადოების მიმართ უნდა გამოხატოს, ხოლო საზოგადოებამ გასვლის ნება უნდა მიიღოს. გასვლის თაობაზე განცხადებას საზოგადოების საერთო კრება იხილავს, რადგან ამ დროს გადასაწყვეტია როგორც კომპენსაციის, ისე – წილის დანარჩენ პარტნიორებზე გადანაწილების საკითხი. საზოგადოებამ, შესაძლოა, უარიც უთხრას პარტნიორს გასვლაზე, რასაც საზოგადოების კაპიტალის დაცვა ამართლებს. ეს კი იმას გულისხმობს, რომ პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლა შესაძლებელია იმ პირობებში, თუ საზოგადოებას აქვს თავისუფალი სახსრები კომპენსაციის გადასახდელად (შდრ: იხ. სუსგ 3კ/409-03, 07.05.2003 წელი).

36. ამდენად, სააპელაციო სასამართლო, გასვლის წინაპირობების შემოწმებისას, თუ დაადგენს, რომ მოსარჩელემ საზოგადოებიდან გასვლის ნება გამოხატა, უნდა გამოიკვლიოს, სსკ-ის 51-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, მიიღო თუ არა კრებამ გადანაწილება პარტნიორის გასვლის თაობაზე. აღნიშნული სააპელაციო პალატამ საზოგადოების №2 კრების ოქმის შინაარსის მიხედვით უნდა გამოარკვიოს, კერძოდ, იკითხება თუ არა მასში პარტნიორის სურვილის შესაბამისად გადანაწილების მიღება, ვინაიდან არსებითი ისაა, პარტნიორის საზოგადოებასთან ურთიერთობის დასრულების წინაპირობა მოსარჩელის განცხადება იყო თუ არა.



საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, მიუთითოს №2 კრების ოქმის შინაარსზე, სადაც აღნიშნულია, რომ კრებამ გადაწყვიტა, პარტნიორს „გამოეცხადოს უნდობლობა, გამოყვანილ იქნას დამფუძნებელთა შემადგენლობიდან“. უნდობლობის საფუძველი გახდა პარტნიორის მოვალეობების დარღვევა, ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, ეთიკის წესების დარღვევა. შესაბამისად, კრებამ მიიჩნია, რომ კასატორს არ ჰქონდა საზოგადოების პარტნიორად დარჩენის „მორალური უფლება“.

37. ნების ნამდვილობის დადგენის მიზნებისათვის ქვედა ინსტანციის სასამართლომ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლა გულისხმობს საზოგადოების მიერ საკუთარი წილის შექცევას. თუ საზოგადოება გამსვლელ პარტნიორს კომპენსაციას არ უხდის, წილის სანაცვლოდ, თუნდაც ამ უკანასკნელის სურვილით, ეს ნიშნავს იმას, რომ პარტნიორი უსასყიდლოდ თმობს წილს დანარჩენ პარტნიორთა სასარგებლოდ, რაც მათთვის წილის ჩუქებას ნიშნავს (ვინაიდან პარტნიორის გასვლის შედეგად სანესდებო კაპიტალში ღიად დარჩენილი წილი ნაწილდება დანარჩენ პარტნიორებს შორის, თუ ისინი სხვაგვარ წესზე არ შეთანხმდებიან). იმ კონფლიქტური სიტუაციის გათვალისწინებით, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის იყო (რაც საქმის მასალებიდან ნათლად ჩანს და არც მხარეები უარყოფენ), მოვლენის ამგვარი განვითარების გონივრული შესაძლებლობა მოპასუხე მხარეს უნდა დაესაბუთებინა. მათ კი ვერ წარმოადგინეს დამაჯერებელი არგუმენტი ამ არატიპური და რაციონალურად გაუგებარი მოვლენის ასახსნელად.

38. მოპასუხეთა მხარეს იყო არა მარტო მოვლენათა ამგვარი განვითარების შესაძლებლობის დასაბუთება, არამედ მათ იმის დამტკიცებაც ევალეზობდათ, რომ გამსვლელმა პარტნიორმა უარი და წილის სხვა პარტნიორთათვის დათმობის თანხმობა განაცხადა. ამ გარემოებების დასამტკიცებლად მათ იმგვარი მტკიცებულება უნდა წარმოედგინათ, სადაც კონკრეტულად იქნებოდა მითითებული, ერთ რომელიმე პარტნიორს უთმობდა მოსარჩელე თავის კუთვნილ წილს, თუ ყველას ერთად, რომელს რამდენ პროცენტს ჩუქნიდა თავისი წილიდან ან რა წესით უნდა გადანაწილებულიყო მათ შორის წილები და ა.შ. ამდენად, ამ გარიგების ნამდვილობის დამტკიცების ტვირთი პარტნიორების მხარესაა.

39. გარდა ამისა, წილის კომპენსაციაზე უარის თქმის კუთხით სააპელაციო სასამართლოს მიერ შესაფასებელია ისიც, რომ, თუ პარტნიორმა კომპენსაციაზე უარი განაცხადა, მიიღო თუ არა ეს ნება საერთო კრებამ, იმის გათვალისწინებით, რომ №2 კრების ოქმში აღნიშნულია დირექტორის მოადგილისათვის წინადადების წარ-

დგენის დავალება „საზოგადოების ყოფილი დირექტორისა და დამფუძნებლის საზოგადოების ქონებიდან გასატანი წილის შესახებ ყოფილი დირექტორის მატერიალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით“. თუ პარტნიორმა ჯერ უკომპენსაციოდ გასვლის ნება გამოხატა და ამის საფუძველზე შედგა №2 კრების ოქმი, როგორც ამას სააპელაციო სასამართლო უთითებს, მაშინ რას უნდა უკავშირდებოდეს კრების ოქმში ასახული მსჯელობა მოსარჩელი-სათვის კომპენსაციის მიცემის თაობაზე?

40. კასატორი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასაც აკრიტიკებს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობა წარმოშობილი და გაუქარწყლებელი (შეუწყვეტელი) მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებაა, ამიტომ სასამართლოს ჯერ უნდა შეემოწმებინა მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი წანამძღვრები და ამის შემდეგ ემსჯელა ხანდაზმულობაზე. აღნიშნული განპირობებულია იმითაც, რომ, თითოეული მოთხოვნა, სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, მისთვის განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადას ექვემდებარება.

41. სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ხანდაზმულობის შესამოწმებლად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 15.1 მუხლით (ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც ათვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს) იხელმძღვანელა, რომელიც აწესებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, რის გამოც მითითებული კანონიდან წარმოშობილი პრეტენზიის (მოთხოვნის) განხორციელების ვადა 5 წელია, თუმცა ნორმა აზუსტებს, რომ ის გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით ამ თუ იმ მოთხოვნის განხორციელების სპეციალური ვადა ან მისი ათვისის განსხვავებული წესი არ არის განსაზღვრული. ამდენად, ხანდაზმულობის მარეგულირებელი სხვა ნორმა, შესაძლოა, უფრო სპეციალური იყოს მოთხოვნის საფუძვლიდან გამომდინარე, ვიდრე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მითითებული ნორმა.

42. პალატა განმარტავს, რომ დელიქტური სამართლის ნორმების გამოყენებისას, მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოება სსკ-ის 1008-ე (დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ) მუხლით დადგენილი წესით უნდა შემოწმდეს, კერძოდ, პარტნიორის საზოგადოებიდან უკანონო გარიცხვა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე უფლების დარღვევაა, მაგრამ იმ შე-

დეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, საზოგადოების 20% ნილის მესაკუთრედ ცნობას, ითვალისწინებს სსკ-ის 992-ე მუხლი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ხანდაზმულობისათვის უპირატესად გამოსაყენებელი ნორმა სსკ-ის 1008-ე მუხლი იქნება, მისი, ამ შემთხვევაში, სპეციალურობიდან გამომდინარე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ხანდაზმულობის ვადასთან შედარებით. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მიზანშეწონილია ნორმათა ერთობლიობის დაცვითი ფუნქციისა და მიზნებიდან გამომდინარეც.

43. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით სანარმოს მიერ აღძრულ სარჩელზე გამოიყენება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით დადგენილი სპეციალური ვადა, განსხვავდება მოცემული შემთხვევისაგან, რაც განპირობებულია იმით, რომ, როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში უფლება, რომელიც დაირღვა, სამენარმეო სამართლიდან გამომდინარეობს, თუმცა დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი დელიქტური სამართლის ნორმებია.

44. სსკ-ის 1008-ე მუხლი მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრის ზოგადი წესისაგან განსხვავებულ წინაპირობას განამტკიცებს. სსკ-ის 130-ე მუხლი (ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ) ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრისას პოზიტიურ ცოდნასთან ერთად ბრალეულ არცოდნასაც ითვალისწინებს – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შესახებ ცნობილი გახდა ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეცყო. სსკ-ის 1008-ე მუხლი კი, მხოლოდ პოზიტიურ ცოდნაზე უთითებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, დადგინდება პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის თუ თავისი ნებით გასვლის წინაპირობები.

45. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მოთხოვნა წარმოშობილია და არ შეწყვეტილა, მან უნდა იმსჯელოს რამდენად განხორციელებადია ის. ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის შესახებ მტკიცების ტვირთი უფლებადარღვეულ პირს ეკისრება. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცებით, მან 2008 წელს შეიტყო მისი საზო-

გადოებიდან გარიცხვის თაობაზე, რასაც, მისი მოსაზრებით, ადასტურებს ის გარემოება, რომ, დივიდენდის გაცემაზე უარის თქმის შემდეგ, საზოგადოების დირექტორის მიმართ პარტნიორთა კრების მონვევის წერილობით მოთხოვნაზე 25.02.2008 წელს მიიღო პასუხი, რომ იგი აღარ იყო საზოგადოების პარტნიორი. სწორედ ამის შემდეგ სამენარმეო რეესტრის მეშვეობით გაარკვია, რომ 1996 წელს იგი გაურიცხავთ საზოგადოების პარტნიორობიდან. მოპასუხის შედავებაზე კი, რომ ამდენი წელი მოსარჩელე საწარმოს მართვაში არ მონაწილეობდა და მას არც დივიდენდი არ მიუღია, მოსარჩელე უთითებს სადავო პერიოდში (1996-2007 წლებში) საწარმოში დივიდენდის საერთოდ გაუნაწილებლობის შესახებ, შესაბამისად, ის არცერთ პარტნიორს არ მიუღია. ვინაიდან დადგენილია და მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ 1996-2007 წლებში საწარმოში დივიდენდი მართლაც არ განაწილებულა, პალატა სარწმუნოდ მიიჩნევს მოსარჩელის განმარტებას, რომ იგი საწარმოს 2008 წლამდეც მიმართავდა დივიდენდის გაცემის მოთხოვნით, თუმცა, რეალური ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, უარყოფით პასუხს იღებდა.

46. ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, იმ გარემოების დამტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელემ უფლების დარღვევის თაობაზე 2008 წლამდე შეიტყო, მოპასუხეს ეკისრება. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ კრიტიკულად უნდა შეაფასოს მოსარჩელის მიერ შევსებული ქონებრივი ვითარების ამსახველი დეკლარაციები, რომლებითაც, მოპასუხის მოსაზრებით, დასტურდება ის გარემოება, რომ მოსარჩელემ იმთავითვე იცოდა უფლების დარღვევის თაობაზე. ამ მტკიცებულებათა შეფასებისას, ყურადღება უნდა მიექცეს მათ შინაარსს, კერძოდ, 1999 წელს შევსებული დეკლარაცია არ მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელემ 1996 წელს იცოდა საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ, 2000 წლის დეკლარაციაში კი, მოსარჩელემ 1995 წლიდან საზოგადოების პარტნიორად ყოფნა აღნიშნა, აქედან გამომდინარე, 2000 წელსაც იგი თავს საზოგადოების პარტნიორად მიიჩნევდა. უფლების დარღვევის შეტყობის მომენტის არასწორად განსაზღვრის თაობაზე კასატორის კიდევ ერთი არგუმენტი ისაა, რომ უმართებულოა უკანონო ქმედების ჩადენის მოლოდინი (მოპასუხის მიერ კანონის დარღვევის მოლოდინი) ტვირთად დაწვეს მოსარჩელეს, მაშინ, როდესაც კანონიდან გამომდინარე ელოდება საზოგადოების სარჩელს პარტნიორობიდან გარიცხვის შესახებ. ამ არგუმენტის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, პარტნიორის ამოშლა რეესტრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, შეესაბამებოდა თუ არა პარტნიორის გონივრულ მოლოდინს ობიექტური ნდობიდან გამომდინარე. საკასა-

ციო პალატა მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის საკითხის კვლევისას, სააპელაციო სასამართლომ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვით უნდა განიხილოს და შეაფასოს როგორც მოპასუხის, ისე მოსარჩელის მოსაზრებები და არგუმენტები და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანოს სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნა მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე.

47. საკასაციო პალატა აქვე მიუთითებს, რომ, მართალია, უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად დელიქტური სამართლის ნორმებია მიჩნეული (იხ. პ. 27), მაგრამ, თუ სააპელაციო პალატა დაადგენს, რომ დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნა აღარ არსებობს მისი ხანდაზმულობის გამო და განუხორციელებადია, სასამართლომ როგორც მოთხოვნის წარმოშობა, ასევე – მისი განხორციელებადობა კონდიქციური სამართლის ნორმებზე დაყრდნობით უნდა შეამოწმოს, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, სამართლებრივი შედეგი – ნილზე საკუთრების უფლების აღდგენა შესაძლებელია უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებითაც. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიმართ კი, გამოიყენება სსკ-ის 128-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი (ეს ვადა დადგენილია ყველა იმ ურთიერთობისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას. შდრ. სუსგ №ას-472-448-2013, 05.12.2013 წელი).

48. სასამართლოს აღნიშნული ვალდებულება განპირობებულია იმითაც, რომ მოთხოვნის საფუძვლის შერჩევისას გასათვალისწინებელია იმ მხარის სამართლებრივი ინტერესი, რომლის უფლების დაცვასაც ემსახურება სამართლებრივი საფუძვლის შერჩევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, სადავო შემთხვევის მარეგულირებელი მოთხოვნის ყველა საფუძველი გამოსაყენებელ ნორმათა უპირატესობის გათვალისწინებითა და მათი ერთგვარი რიგითობის მიხედვით შეამოწმოს (იხ. პ. 27).

49. ამდენად, თუ დელიქტური სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნა წარუმატებელი იქნება, სააპელაციო პალატამ უნდა დაადგინოს, ვლინდება თუ არა სსკ-ის 982-ე (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. ბათილი განკარგვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხელმყოფისაგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურე-

ბის მავალდებულებელი გარემოება) მუხლებით განსაზღვრული წინაპირობათა ერთობლიობა, რომლის სამართლებრივი შედეგი წილზე საკუთრების უფლების აღდგენაა.

50. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები და, შესაბამისად, არასრულყოფილად დაადგინა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ფაქტობრივი წანამძღვრები, ამასთან, არასწორად გაანაწილა მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი და არ გამოიკვლია საქმის გადანყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც საბოლოო ჯამში არასწორი გადანყვეტილების მიღება განაპირობა. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახალი განხილვისას, მხარეთა შორის სწორად უნდა გაანაწილოს მტკიცების ტვირთი (სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი), სრულყოფილად გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს როგორც სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი საფუძვლები, ისე – მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები და ისე მიიღოს გადანყვეტილება.

51. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 412-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. დ. ძ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საზოგადოებრივ პარტნიორის გარიცხვა საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გადაყენება

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1203-2018

25 აპრილი 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
მოსამართლეები: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება, პარტნიორის გარიცხვა,  
საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გადაყენება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „დ“-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, პირველი კასატორი, კომპანია, საწარმო, საზოგადოება ან შპს) დამფუძნებელი პარტნიორები ბ. ქ. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი, ყოფილი დირექტორი, პირველი პარტნიორი ან მეორე კასატორი) და ა. გ. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე პარტნიორი ან ამჟამინდელი დირექტორი) არიან. თითოეული პარტნიორი კომპანიის 50%-იანი წილის მესაკუთრეა. პირველი პარტნიორი საზოგადოების დაფუძნების დღიდან – 2000 წლის 12 იანვრიდან იმავდროულად კომპანიის დირექტორი იყო, თუმცა პარტნიორთა 2012 წლის 6 აგვისტოს კრების ოქმის საფუძველზე, მოპასუხე გათავისუფლდა კომპანიის

დირექტორის თანამდებობიდან და ახალ დირექტორად მეორე პარტნიორი დაინიშნა, რის შემდეგაც შესაბამისი ცვლილება განხორციელდა სამენარმეო რეესტრში.

2. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 9 დეკემბრის აქტით, კომპანიას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 282 957 ლარის გადახდა დაეკისრა. შემონმება დაეყრდნო ფინანსური პოლიციის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ წარდგენილ საბუღალტრო დოკუმენტაციებსა და საგადასახადო დეკლარაციებს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 მაისის განაჩენით, მოპასუხე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ყალბი საგადასახადო დოკუმენტების ჯგუფურად, არაერთგზის დამზადება და გასაღება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა მის მიერ დაფუძნებული კომპანიების, მათ შორის – მოსარჩელე კომპანიის სახელით ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გასაღებით, უსაქონლო ოპერაციების წარმოებაში.

4. 2010 წლის 12 ნოემბერს სსიპ შემოსავლების სამსახურსა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც შემოსავლების სამსახური) და სანარმოს შორის გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, კომპანიას საგადასახადო ვალდებულების ჯამურ ოდენობად – 222 000 ლარი, ხოლო თანხის გადახდის ვადად – 30 დღე განესაზღვრა.

5. 2010 წლის 2 დეკემბერს ორივე პარტნიორმა მიიღო გადამწყვეტილება საბანკო კრედიტის აღების თაობაზე.

6. 2010 წლის 10 დეკემბერს კომპანიასა და სს „ვ.ბ.ჯ-ას“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ბანკი) შორის გაფორმდა საბანკო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, საზოგადოებას გამოეყო კრედიტი – 125 000 აშშ დოლარი. დასაბრუნებელი თანხის ოდენობა პროცენტებთან ერთად 188 584 აშშ დოლარს შეადგენდა.

7. აღებული კრედიტით კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ 2010 წლის 12 ნოემბრის შეთანხმებით განსაზღვრული დავალიანება დაფარა.

8. 2012 წლის 6 აგვისტოს კომპანიის პარტნიორთა კრებამ, რომელსაც არ დაესწრო მოპასუხე, ეს უკანასკნელი გაათავისუფლა დირექტორის თანამდებობიდან. ის ასევე გაირიცხა კომპანიის პარტნიორობიდან. ამ გადაწყვეტილებას საფუძველად დაედო მოპასუხის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა – მოსარჩელის სახელით ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერა, ასევე, ერთგულების მოვალეობის დარღვევა – კომპანიის კომერციული



შანსის მითვისება.

**9. 2012 წლის 28 მაისს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:**

9.1. მოპასუხისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, ზიანის ანაზღაურების სახით – 188 584 აშშ დოლარის დაკისრება;

9.2. მოპასუხის კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება;

9.3. მოპასუხის კომპანიის პარტნიორობიდან გარიცხვა.

9.4. მოსარჩელე წინამდებარე განჩინების 1-8 პუნქტებში აღწერილ ფაქტებზე მითითებით ამტკიცებდა, რომ მოპასუხემ კომპანიის სახელით ყალბი საგადასახადო დოკუმენტები დაამზადა. აღნიშნულის გამო, თბილისის საგადასახადო ინსპექციამ 2005 წლის 9 დეკემბრის აქტით, კომპანიას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით სოლიდური თანხის გადახდა დააკისრა, რაც ცხადყოფდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით საზოგადოებას დიდი ოდენობით ზიანი მიადგა, რომლის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირსაც სწორედ მოპასუხე წარმოადგენდა. ვინაიდან, მოპასუხემ განახორციელა საზოგადოების ინტერესებისათვის აშკარად საზიანო მოქმედებები, კომპანიაში შეუძლებელი იყო, მხარეთა შემდგომი ურთიერთობის გაგრძელება, რის გამოც, მოპასუხე კომპანიის პარტნიორობიდან უნდა გარიცხულიყო.

10. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საგადასახადო ვალდებულების შესრულების მიზნით აღებული კრედიტი მართლსაწინააღმდეგო არ იყო, ვინაიდან ბანკისაგან კრედიტის აღების გადანყვეტილება მიღებულ იქნა საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე, ანუ კრედიტის აღების გადანყვეტილების მიღება მოსარჩელის თანხმობით განხორციელდა. კომპანია 2010 წლის დეკემბრიდან კეთილსინდისიერად ასრულებდა ბანკის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას, იხდიდა კრედიტს, რაც განპირობებული იყო, მისი როგორც დირექტორის, კეთილსინდისიერებით. ის ამტკიცებდა, რომ კომპანიას მისი მოქმედებით რაიმე ზიანი არ მისდგომია და აქედან გამომდინარე, სარჩელი დაუსაბუთებელი იყო. გარდა ამისა, მოპასუხის პარტნიორობიდან გარიცხვა რიგი პროცედურული დარღვევებით განხორციელდა, კერძოდ, კრებას დაესწრო მხოლოდ მეორე პარტნიორი, რომელმაც მოპასუხის პარტნიორობიდან გარიცხვისა და დირექტორობიდან გადაყენების გადანყვეტილება, ერთპიროვნულად მიიღო, რისი უფლებაც, მას არ გააჩნდა.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 მაისის გადანყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად; მოპასუხეს,

კომპანიის სასარგებლოდ, 188 584 აშშ დოლარის ანაზღაურება დაეკისრა; ის გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან და გაირიცხა საწარმოს პარტნიორობიდან. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 992-ე, 408-ე, მე-8 მუხლები, ასევე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და მე-9<sup>1</sup> მუხლები გამოიყენა.

12. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 მარტის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს დაუბრუნდა.

14. აღნიშნული განჩინება, საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების მოთხოვნით.

**15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდა.**

15.1. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმები წარმოადგენდა, რომლებითაც მოწესრიგებულია დირექტორის მიერ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელების წესი და საზოგადოების პარტნიორის უფლება-მოვალეობები. საკასაციო პალატამ სსკ-ის 709-ე-723-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ კერძო სასამართლის იურიდიული პირის დირექტორსა და ამ იურიდიულ პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზეც, დირექტორი საწარმოს სახელითა და ხარჯზე ახორციელებს მისთვის წესდებით/კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, შესაბამისად, ზიანის თაობაზე საწარმოს მიერ აღძრული სარჩელებიც არა დელიქტური ვალდებულების, არამედ სახელშეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში უნდა შემოწმებულიყო.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილ-

ში, რომლითაც მოპასუხე კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა და ამ ნაწილში სარჩელი იურიდიული ინტერესის არქონის გამო, უარყოფილ იქნა; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

16.1. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოსარჩელე თავის მოთხოვნას დელიქტური სამართლის ნორმებზე ამყარებდა, შესაბამისად, მოცემული დავის მომწესრიგებელ მატერიალურსამართლებრივ ნორმას სსკ-ის 992-ე მუხლი წარმოადგენდა. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი იყო აპელანტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ამ ქმედებით მიყენებული ზიანი, ბრალი, ასევე, მიზეზობრივი კავშირი ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში, საფუძვლიანი იყო და მართებულად დაკმაყოფილდა.

16.2. სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა კომპანიის პარტნიორობიდან მოპასუხის გარიცხვის თაობაზე გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა და მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვისას უნდა დაცულიყო ბალანსი საზოგადოების ინტერესსა და თავად პარტნიორის ლეგიტიმურ ინტერესს შორის. საკითხის განხილვისას თანაბარი წილის მქონე ორი პარტნიორის არსებობის პირობებში, გასათვალისწინებელი იყო, სამოქალაქო სამართალურთიერთობაში მოქმედი კეთილსინდისიერების პრინციპი და საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სანარმოსა და კეთილსინდისიერი პარტნიორის სასარგებლოდ. ფაქტობრივი გარემოება, რომლითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა პარტნიორის კეთილსინდისიერების დასადგენად, მოპასუხის მიერ დანაშაულებრივი ქმედებით სანარმოსათვის ზიანის მიყენება იყო;

16.3. სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 180-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ მოპასუხის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით სადავო გარემოებას წარმოადგენდა აღიარებითი სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესის დადგენა. განსახილველ შემთხვევაში, რადგანაც პარტნიორის გადაწყვეტილება დირექტორის გადაყენების თაობაზე მენარმეთა რეესტრში უკვე რეგისტრირებული იყო და სამენარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებაც იყო განხორციელებული, აღნიშნულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არქონის გამო, უსაფუძვლო იყო და არასწორად დაკმაყოფილდა.

**17. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. მოსარჩელემ (პირველი კასატორი) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილე-**

**ბა, ხოლო მოპასუხემ (მეორე კასატორი), გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.**

**17.1. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

17.1.1. სააპელაციო პალატამ იურიდიული ინტერესის არქონის საფუძვლით არასწორად უარყო სასარჩელო მოთხოვნა დირექტორის თანამდებობიდან მოპასუხის გათავისუფლების ნაწილში. აღნიშნული საკითხი უნდა შეფასებულიყო მოპასუხის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, ვინაიდან, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ დირექტორობიდან გადაყენების შესახებ მოთხოვნა იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო უნდა დარჩეს შეფასების გარეშე, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კვლავ სადავო დარჩება საკითხი მოპასუხის დირექტორობიდან გათავისუფლების საფუძვლიანობის თაობაზე. ამ პირობებში, მოპასუხეს კვლავ დარჩება უფლება, წმინდა ფორმალური მოთხოვნების დაუცველობაზე მითითებით იდავოს გათავისუფლების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით.

**17.2. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

17.2.1. მოპასუხე დაკავებულ იქნა 2005 წლის 17 ოქტომბერს პოლიტიკური პარტიის შექმნიდან სამ თვეში (სასჯელის მოხდა დაიწყო 2005 წლის 17 ოქტომბერს), საგადასახადო ინსპექცია კი, დაიწყო 2005 წლის 22 ნოემბერს და დასრულდა ამავე წლის 9 დეკემბერს, ანუ, იმ პერიოდში, როდესაც მოპასუხე იმყოფებოდა წინასწარი დაკავების იზოლატორში. რაც შეეხება საგადასახადო დარღვევას, რის გამოც კომპანია დაჯარიმდა, შემომწმებისას საგადასახადო ინსპექციას წარედგინა 2005 წლის 25 ოქტომბერს ჩატარებული ინვენტარიზაციის აქტი, რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 26 ოქტომბრისათვის კომპანიას დაუფიქსირდა 888 162.88 ლარის დანაკლისი. იმ დროისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, აღნიშნული დანაკლისი, როგორც საქონლის რეალიზაცია, უნდა დაფიქსირებულიყო საგადასახადო დეკლარაციაში და კომპანიას უნდა წარედგინა არაუგვიანეს 2005 წლის 15 ნოემბრისა. გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხე იმყოფებოდა წინასწარი დაკავების იზოლატორში, ბუნებრივია მან ვერ მოახერხა საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა, რის საფუძველზეც, საგადასახადო ორგანომ, კომპანიას დააკისრა დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდა;

17.2.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ ვერ მიუთითა ვერცერთ მტკიცებულებაზე, რომლითაც დადგინდებოდა მოპასუხისათვის ბრალად შერაცხულ ქმედებასა და კომპანიისათვის დარიცხულ საგადასახადო ვალდებულებას შორის მიზეზ-შედეგობრივი

კავშირი. კომპანიას დაეკისრა გადასახადის გადახდა, რაც დაეკისრებოდა იმ შემთხვევაშიც, მოპასუხე რომ არ დაეკავებინათ, ჩვეულებრივი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში. საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე კომპანია არ ყოფილა ბრალდებულად ცნობილი. ამასთან, უშუალოდ საწარმოს სახელით საგადასახადო დოკუმენტაციის გაყალბების ნაწილში სახელმწიფო ბიუჯეტს მხოლოდ 8 183.9 ლარის ოდენობით ზიანი მიაღდა;

17.2.3. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა საკითხი, როგორ იქნა გაიგივებული და მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებული განაჩენით მოპასუხისათვის ბრალად შერაცხული ქმედება, კომპანიის მიერ საგადასახადო ვალდებულების დაფარვის მიზნით კრედიტის – 188 584 აშშ დოლარის აღებასთან;

17.2.4. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხე კომპანიის მიმართ იმდენად გულისხმიერი და კეთილსინდისიერი იყო, რომ კომპანიის მიერ აღებულ კრედიტს პირადი სახსრებითაც ფარავდა. 2010-2014 წლებში, მოპასუხემ პირადი სახსრებით 48 876 აშშ დოლარი დაფარა, რაზეც, მიუხედავად მოპასუხის არაერთი მითითებისა, არ უმსჯელია სააპელაციო პალატას. მოპასუხე სრულად დაფარავდა კომპანიის მიერ აღებულ ვალს, რომ არა გაყალბებული პარტნიორობა კრება, რომელზეც ის მეორე პარტნიორმა 2014 წელს გადააყენა. ამ პერიოდიდან კომპანიაში არ განაწილებულა დივიდენდი, მას უკანონოდ ითვისებს მეორე პარტნიორი, რასაც სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცემა მომავალში;

17.2.5. როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხე პირადი სახსრებიდან (დივიდენდიდან) იხდიდა კომპანიის სესხს. 2014 წლიდან, მას შემდეგ რაც დირექტორად დაინიშნა მეორე პარტნიორი, დივიდენდი მოპასუხეზე არ განაწილებულა, რის გამოც მან შეწყვიტა ვალის გადახდა. ამდენად, მოპასუხემ, არათუ ზიანი მიაყენა კომპანიას, არამედ გამოიჩინა სამენარმეო საქმიანობისათვის იშვიათი გულისხმიერება;

17.2.6. სამართლებრივად უსაფუძვლოა გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის გამო, პარტნიორი (დირექტორი) პარტნიორობიდან უნდა გაირიცხოს. პარტნიორობიდან გარიცხვას გააჩნია თავისი სპეციფიკური საფუძვლები და მასთან მიმართებით რაიმე ანალოგიაზე საუბარი შეუძლებელია. სააპელაციო პალატამ კი, უზოგადესი სამენარმეო-სამართლებრივი ცნებები ერთმანეთში აურია და დირექტორის ვალდებულება, პარტნიორის ვალდებულებად აქცია;

17.2.7. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საზოგადოები-

დან პარტნიორის გარიცხვა უკიდურესი ღონისძიებაა, რაც დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და ის უნდა ეფუძნებოდეს გასარიცხი პარტნიორის კანონისა და საზოგადოების ინტერესების ამკარად სანინალმდეგო ქმედებას (სუსგ №ას-812-1099-2009, 09.11.2009);

17.2.8. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი განამტკიცებს რა საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას, თავიანთი მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დირექტორის საქმიანობიდან გამომდინარე, დარღვევა შესაძლებელია, გახდეს დირექტორისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისა და არა მისი პარტნიორობიდან გარიცხვის საფუძველი (სუსგ №ას-556-939-2006, 13.03.2007);

17.2.9. მართალია, კანონი იცნობს პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნულს საფუძველად შესაძლოა დაედოს შენატანის განუხორციელებლობა, როგორც პირველადი (სადამფუძნებლო) შენატანის, ასევე, შემდგომში, სანარმოს ფუნქციონირების დროს პარტნიორთა კრების მიერ გაზრდილი სანესდებო კაპიტალის შეუფესებლობა და ასევე, პარტნიორის მიერ თავისი მოვალეობების დარღვევა.

კასატორის განმარტებით, პარტნიორს გააჩნია რამდენიმე ვალდებულება, კერძოდ, ის უნდა მოქმედებდეს სანარმოს საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და არ უნდა აყენებდეს მას ზიანს, არ უნდა ეწეოდეს იმავე ან მსგავს საქმიანობას, არ უნდა გაახმაუროს სანარმოს კონფიდენციალური ინფორმაცია და ა.შ. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა დღის წესრიგში მართლაც დადგეს პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის საკითხი.

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მიერ ინსტიტუციურად მოწესრიგდეს საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვის კანონით გაუთვალისწინებელი წინაპირობები, მისი შესაბამისობა კონსტიტუციასთან და დადგინდეს გარიცხვის განუხორციელების წესი, რაც ამჟამინდელი მდგომარეობით, სასამართლოს არცერთ საქმეზე არ დაუდგენია. პარტნიორის გარიცხვის კანონით მოუწესრიგებლობა იწვევს ბუნდოვან სამომავლო შედეგებს: ვის გადაეცემა წილის მესაკუთრის უფლება მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მართვაში – დარჩენილ პარტნიორებს? თუ ასეა, რა პრინციპით, თუ სახელმწიფოს – როგორც მიტოვებული ქონების მესაკუთრეს?;

17.2.10. სასამართლომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისთვის არ გამოიყენა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.7 მუხლი და სსკ-ის 709-ე-723-ე მუხლები;

17.2.11. კომპანიის დირექტორის მიმართ სისხლის სამართლის განაჩენის არსებობა საკმარისი არ არის მისთვის ქონებრივი პასუხისმგებლობის უპირობოდ დაკისრებისათვის, რადგან სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი გარემოებები გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება ჩათვალოს უტყუარად დამტკიცებულად. განაჩენი წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, შესაბამისად, დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, რადგანაც საქმეზე არ არის დადგენილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, რასაც შედეგად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა, პალატა მიიჩნევს, რომ გამოიკვეთა სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ზიანის ანაზღაურებისა და მოპასუხის საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვის ნაწილში, ხელახალი განხილვის მიზნით, იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს.

19. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერი-ალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და გან-

მარტება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს კომპანიის დირექტორის გათავისუფლების მოთხოვნის უარყოფის ნაწილში, დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

20. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან მოპასუხის გათავისუფლების მოთხოვნა, თავისი არსით, მიზნად სასამართლოს მიერ მოპასუხესთან სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის აღიარებას (დადასტურებას) ისახავს (აღიარებითი სარჩელით პირს შეუძლია მოითხოვოს მასსა და მოპასუხეს შორის სადავოდ გამხდარი უფლების ან სადავო მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა/არარსებობის ფაქტის აღიარება (დადასტურება). ამასთან, ამ სახის სარჩელის აღძვრა იურიდიული ინტერესის გარეშე დაუშვებელია. სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი შემდეგი კრიტერიუმები: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა (შდრ.სუსგ №ას-838-802-2014, 19.03.2015წ., №ას-932-872-2017, 17.10.2017წ.).

20.1. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამართლის ნორმა პირს დამოუკიდებლად, ყოველგვარი წინაპირობების დაცვის გარეშე, ანიჭებს უფლებამოსილებას შეცვალოს მეორე პირის უფლებრივი მდგომარეობა, რაც დამატებით სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებას აღარ საჭიროებს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი არცერთი ზემოაღნიშნული კრიტერიუმი არ იკვეთება.

20.2. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ 2012 წლის 6 აგვისტოს კომპანიის პარტნიორმა (მოსარჩელემ), მოპასუხე გაათავისუფლა საწარმოს დირექტორის თანამდებობიდან. აღნიშნული იურიდიული ფაქტი რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში. უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, დაუშვებელია მეწარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება, რაც მას მინიჭებული აქვს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (იხ. კანონის 91.6. „ე“ ქ/



პუნქტი). სამართლებრივად დირექტორთან დადებული შეთანხმება დავალების (სასამსახურო) ხელშეკრულებაა და, შესაბამისად, მისი ცალმხრივად შეწყვეტის მართლზომიერების შემოწმებისას “მენარმეთა შესახებ” კანონის ნორმებთან ერთად, გამოიყენება დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები (სსკ-ის 709-ე და მომდევნო მუხლები). სწორედ სსკ-ის 720-ე მუხლის პირველი ნაწილი ანიჭებდა უფლებას მოსარჩელეს ცალმხრივად შეენწყვიტა მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულება. ამრიგად, საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებულ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან (შდრ. მსგავს საქმეებზე სუსგ-ები: საქმე №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-101-97-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-23-23-2016, 9 მარტი, 2016 წელი; საქმე №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-131-127-2016; 23 სექტემბერი, 2016 წელი).

**21. მოპასუხის საკასაციო პრეტენზიებთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო ასკვნის შემდეგს: გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხისათვის, როგორც ზიანის ანაზღაურების დაკისრების, ისე მისი კომპანიის პარტნიორობიდან გარიცხვის ნაწილში სამართლებრივად და ფაქტობრივად დაუსაბუთებელია. ზიანის დაკისრების მოთხოვნა ისეა დაკმაყოფილებული, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად არ განსაზღვრულა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა/ნორმები და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არც შესაბამის დასაბუთებას არ შეიცავს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმით/ნორმებით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი წინაპირობების არარსებობის თაობაზე.**

21.1. ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 (შპს-ს დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სადად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის არ შეასრულებს ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ), **სსკ-ის 709-ე** (დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინ-

დობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარნმუნებლის სახელითა და ხარჯზე), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, **სააპელაციო სასამართლოს მითითებული სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები არ დაუდგენია და არც გამოუკვლევია.**

21.2. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწვევი ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. იმ პირობებში, როდესაც სსკ-ის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი – „მენარმეთა შესახებ“ არ შეიცავს პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს ურთიერთობა ახლოს. პალატა განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალბებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი.

21.3. ამდენად, კერძო სამართლის იურიდიული პირის დირექტორსა და ამ იურიდიულ პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზეც, დირექტორი საწარმოს სახელითა და ხარჯზე ახორციელებს მისთვის წესდებით/კანონით მინიჭებულ უფლებამოსილი-

ბებს, შესაბამისად, ზიანის თაობაზე საწარმოს მიერ აღძრული სარჩელებიც სახელშეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში უნდა შემოწმდეს და არა დელიქტური ვალდებულების, რა დროსაც უნდა დადგინდეს ზიანის ანაზღაურების განმაპირობებელი ყველა წინაპირობა (მართლსაწინააღმდეგო ქმედება – სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი).

**21.4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დირექტორის მიერ კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლად არასწორად განსაზღვრეს სსკ-ის 992-ე მუხლი და სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არ გამოიყენეს როგორც სპეციალური სამართლებრივი ნორმა – „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლი, ისე სსკ-ის ზემოაღნიშნული ნორმები.**

22. გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველი სარჩელი არ მიეკუთვნება სსკ-ით გათვალისწინებულ, ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავათა კატეგორიას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი ვერ შეფასდება სსკ-ის 309<sup>17</sup>.1 მუხლით განსაზღვრულ იმ მტკიცებულებად, რომელიც საკმარისი იქნება მოცემულ დავაზე ზიანის მიყენების ფაქტის დასადაგენად.

საკასაციო პალატა, მოცემულ შემთხვევაში, იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი განსახილველ დავაში წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომელიც, სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, საჭიროებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასებას.

**22.1. ამასთან, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ხსენებული განაჩენით დასტურდება მოპასუხის მხრიდან სახელმწიფოსთვის და არა მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს მხოლოდ განაჩენზე დაყრდნობით მოპასუხის მხრიდან კომპანიისთვის ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოების დამტკიცების შესაძლებლობას.**

23. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეასრულა საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის მითითებები და არ დაადგინა თუ რა სახისა და მოცულობის ზიანი მიადგა საწარმოს, იყო თუ არა ეს ზიანი უშუალოდ მოპასუხის მოქმედების შედეგი. სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოებმა, ზიანის მიყენების ფაქტის დადგენისას, მიღებული გადაწყვეტილება დააფუძნეს როგორც განაჩენს, ისე საგადასახადო შემოწმე-

ბის აქტს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საგადასახადო შემონმების აქტი სრულყოფილად არ გამოკვლეულა და არ შეფასებულა თუ რამ გამოიწვია საგადასახადო დავალიანების წარმოშობა და რა ბრალი მიუძღვოდა ამაში კომპანიის დირექტორს. შესაბამისად, გამოუკვლეველია განაჩენსა და საგადასახადო შემონმების აქტს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი, სახელდობრ, დარიცხული საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს თუ არა მოპასუხის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების უშუალო შედეგს და რა მოცულობით (ფარგლებში).

23.1. იმ შემთხვევაში, თუ საქმის ხელახალი განხილვის დროს დადგინდება, რომ დირექტორი საზოგადოების საქმეებს არ უძღვებოდა კეთილსინდისიერად, კერძოდ, არ ზრუნავდა ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და არ მოქმედებდა იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელი იყო საზოგადოებისათვის, რასაც შედეგად საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება მოჰყვა, სააპელაციო სასამართლომ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს, მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება, ამ უკანასკნელის მხრიდან კომპანიის კრედიტის პირადი სახსრებით ნაწილობრივ დაფარვასთან დაკავშირებით; ის, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს არ შეუფასებია საქმეში წარმოდგენილი მოპასუხის 2008-2017 წწ. საბანკო ანგარიშის ამონაწერები, რომლითაც ვლინდება მისი მხრიდან კომპანიის სესხის ნაწილობრივ დაფარვის ფაქტი.

24. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უკრიტიკოდ, სარჩელის დასაბუთებულობის შემონმების გარეშე, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის მართებულობასთან დაკავშირებით ისე, რომ არ გამოუკვლევია არსებობდა თუ არა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის წინაპირობები და არ დაუდგენია პარტნიორის წილის კომპენსირებასთან დაკავშირებული გარემოებები.

24.1. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა უკიდურესი ზომაა. შესაბამისად, ასეთი ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძველების არსებობისას. პარტნიორის გარიცხვის მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებამ აღარ უნდა ითმინოს გასარიცხი პარტნიორის კორპორაციულსამართლებრივი მონაწილეობა; სახელდობრ, როდესაც, მისი ქცევა შეუძლებელს ხდის ან მნიშვნე-

ლოვნად ართულებს საზოგადოების მიზნის მიღწევას, რაც აუტანელს გახდოდა მისი საზოგადოების რიგებში დარჩენას. საუბარია პიროვნულ თვისებებსა და ურთიერთობებზე, როგორცაა, მაგალითად, ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს არა ყველა სახის, არამედ იმგვარი ზიანი რომელიც საწარმოს საქმიანობას უშლის ხელს გრძელვადიან პერსპექტივაში და მაშასადამე საფრთხის ქვეშ აყენებს მის არსებობას (მდრ. სუსგ №ას-812-1099-2009, 09.11.2009).

24.2. ამდენად, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, როდესაც, სახეზეა კომპანიისათვის არსებითი ზიანის მიყენება, რაც არღვევს ნდობას პარტნიორთა შორის და რის გამოც, მათი ერთობლივი საქმიანობა შეუძლებელი ხდება.

24.3. აქვე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს კომპანიის პარტნიორთა კრების დისკრეციამი შემავალ საკითხს, რომლის მიზანშეწონილობაზეც სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება. სასამართლო შემოწმების უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილობაზე, სახელდობრ, რამდენადაა დაცული კანონითა და კომპანიის წესდებით განსაზღვრული პროცედურები სადავო გადაწყვეტილების მიღებისას.

24.4. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ შედეგს წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს, შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, შესაბამისი ფაქტობრივი წინაპირობების შესრულების შემთხვევაში, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა არ უნდა განხორციელდეს მისი წილის კომპენსაციის საკითხის გადაუწყვეტლად, რათა არ მოხდეს მისი კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების შელახვა. აღნიშნული კი, თავის მხრივ დამოკიდებულია კომპანიაში თავისუფალი სახსრების არსებობაზე, რაც ასევე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს კვლევის საგანი უნდა გახდეს.

25. საკასაციო პალატა, განმარტავს, რომ სასამართლომ უნდა დაადგინოს პარტნიორის გარიცხვის უფლების წარმოშობის წინაპირობები და სსკ-ის 399-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, ხანგრძლივი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთი-

**ერთობის მოშლის შესაძლებლობას, გამოიკვლიოს საზოგადოების მიერ ამ უფლების გამოყენების მართლზომიერება.** სასამართლომ უნდა დაადგინოს პარტნიორის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა – საზოგადოების მიზნის შელახვა, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება; საზოგადოებისთვის ზიანის მიყენება; პირველ და მეორე წინაპირობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. გარიცხვის შესახებ სასარჩელო წარმოებისას, სასამართლო ამონმებს, რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენეს პარტნიორებმა (პარტნიორმა) გარიცხვის უფლება, ხომ არ იყო მათი გადანყვეტილება მოტივირებული პირადი ინტერესებით, პირადი სარგებლის ან ქონებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად (შდრ. სუსგ №ას-201-201-2018, 08.10.2018).

25.1. პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან პარტნიორის გარიცხვის წინაპირობების კვლევისას, მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მოპასუხის – როგორც პარტნიორისა და მოპასუხის, როგორც დირექტორის მოვალეობები და პასუხისმგებლობა კომპანიის წინაშე.

25.2. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვის ნაწილშიც გასაჩივრებული გადანყვეტილება მოკლებულია ფაქტობრივ დასაბუთებას, რაც მისი გაუქმების საფუძველია.

26. განსახილველ შემთხვევაში, **საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დირექტორის მიმართ კომპანიის სასარგებლოდ ზიანის დაკისრებისა და პარტნიორის გარიცხვის სასარჩელო მოთხოვნებთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები და, შესაბამისად, არასრულყოფილად დაადგინა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ფაქტობრივი ნაწინამძღვრები, ამასთან, არ გამოიკვლია საქმის გადანყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც საბოლოო ჯამში არასწორი გადანყვეტილების მიღება განაპირობა.** ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახალი განხილვისას, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს როგორც სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი საფუძვლები, ისე – მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები და ისე მიიღოს გადანყვეტილება.

27. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ

დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 272-ე, 264.3, 257.1, 412-ე, მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. შპს „დ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ბ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 დეკემბრის გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შპს „დ-ის“ პარტნიორის ბ. ქ-ის გარიცხვისა და ამავე საწარმოსთვის ბ. ქ-ის, როგორც საზოგადოების დირექტორის, მიერ მიყენებული ზიანის საკითხების დამატებითი გამოკვლევის მიზნით;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 დეკემბრის გადანყვეტილება უცვლელად დარჩეს შპს „დ-ის“ დირექტორის თანამდებობიდან ბ. ქ-ის გათავისუფლების მოთხოვნის უარყოფის ნაწილში;
5. კასატორს შპს „დ-ს“ დაუბრუნდეს საზოგადოების დირექტორის ა. გ-ის მიერ 2019 წლის 25 მარტს საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე წარმოდგენილი განცხადება (რეგისტრაციის ნომერი ა-1432-2019) 11 ფურცლად;
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. დივიდენდების განაწილება

#### დივიდენდის განაწილება პარტნიორთა შორის

##### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1141-2018

30 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: დივიდენდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:

1.1. ი. ხ-იამ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, მეორე კასა-  
ტორი ან პირველი პარტნიორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს  
„გ-ოს“, ნ. კ-ისა და ნ. ხ-ას (შემდგომში – მოპასუხეები, აპელანტის  
მონინალმდებელ მხარეები, შპს „გ-ო“, ასევე, წოდებული, როგორც  
კომპანია, ან პირველი კასატორი, ნ. კ-ე – როგორც დირექტორი,  
ხოლო, ნ.ხ-ა – მეორე პარტნიორი) მიმართ და მოითხოვა მოპასუ-  
ხეთათვის, კომპანიის 2013-2015 წლების მიუღებელი (გაუნაწილე-  
ბელი) სუფთა მოგებიდან მოსარჩელის კუთვნილი თანხის – 54  
028,12 ლარის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მო-  
სარჩელე და მესამე მოპასუხე არიან კომპანიის 50%-50% წილის  
მფლობელი პარტნიორები. პარტნიორთა 100%-იანი თანხმობით,  
2005 წლის 15 ივლისს დამტკიცებული წესდების ბოლო რედაქციის  
6.3. და 6.4. პუნქტებით განსაზღვრულია კომპანიის დირექტორის  
უფლებამოსილებები, რომელიც, მართალია, არ შეიცავს სრულ ჩა-  
მონათვალს და იგი, პარტნიორთა შეუთანხმებლობის გამო, არ არის  
ამომწურავად გადაწყვეტილი. პარტნიორთა წილების გადანაწილე-  
ბის გამო, საერთო კრება პრაქტიკულად უმოქმედოა და მათი გან-  
სხვავებული პოზიციების გამო, გადაწყვეტილების მიღება ვერ ხდე-  
ბა, რითაც სარგებლობს დირექტორი, რომელიც წყვეტს თანხების  
განკარგვის საკითხსაც და ეს ზიანის მომტანია მთლიანად საზოგა-  
დოებისთვის. მოსარჩელის მიერ თანხების არამიზნობრივი განკარ-



გვის თაობაზე პრეტენზიებს არ ეთანხმება მეორე პარტნიორი და მხარს უჭერს დირექტორის მხრიდან თანხის არამიზნობრივ ხარჯვას. მიუხედავად არაერთი მიმართვისა, დირექტორი მოსარჩელეს არ აწვდის სრულ ინფორმაციას საზოგადოების მიერ დადებული გარიგებებისა და ფინანსური ანგარიშების შესახებ. 2012 წლის 26 სექტემბრის ხელშეკრულებით, კომპანიას იჯარით აქვს გაცემული ქ. თბილისში, ხ-ის ქ№5-ში მდებარე კუთვნილი მიწის ნაკვეთი, იჯარის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა ჯამში 149 000 ლარი შეადგინა, თუმცა ამ თანხიდან მოგების სახით არც ერთი თეთრი არ მიუღია მოსარჩელეს. კომპანიის მიზნობრივი ხარჯის (დირექტორის ხელფასი – თვეში სავარაუდოდ, 300 ლარი და ბუღალტრული მომსახურება – თვეში 250 ლარი) გათვალისწინებით, მოსარჩელეს საკუთარი წილის პროპორციული მიუღებელი (გაუნაწილებელი) მოგების სახით მისაღები აქვს 54 028,12 ლარი.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. მეორე პარტნიორმა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა სასამართლოში, სადაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, 38-ე, 46.21 მუხლებსა და საზოგადოების წესდების მე-7 მუხლზე მითითებით განმარტა, რომ დივიდენდის განაწილება პარტნიორთა დღის წესრიგში შეტანილი არასოდეს ყოფილა, ამგვარი პრეტენზიის წარდგენა გამართლებული იქნებოდა პარტნიორთა კრების მიერ საკითხზე მსჯელობისა და უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში. რაც შეეხება დირექტორის ქმედებას, მოპასუხის განმარტებით, ის ასრულებს საკუთარ მოვალეობას და მისი მხრიდან არამიზნობრივი ხარჯების განევის ფაქტი არ დგინდება;

2.2. ამავე ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით, არ ცნო სარჩელი კომპანიამ/მისმა დირექტორმა, დამატებით მიუთითა პარტნიორთა 2014 წლის 29 ივლისის კრების ოქმზე, დირექტორის მიერ პირველი პარტნიორისათვის 2014 წლის 26 ნოემბერსა და 9 დეკემბერს გაგზავნილ შეტყობინებებზე და აღნიშნა, რომ ეს მტკიცებულებები მოწმობს იმ ფაქტს, რომ დივიდენდის განაწილება არ სურდა თავად მოსარჩელეს, გარდა ამისა, კომპანია დაეთანხმა სარჩელში მითითებულ იმ გარემოებას, რომ მისი ქონება იჯარითაა გაცემული, თუმცა, 2013-2015 წლების სუფთა მოგება 10 720 ლარია.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების/დამატებითი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით კომპანიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 26 584,5 ლარის გადახდა;

5.2. ამავე სასამართლოს 2018 წლის 13 ივნისის დამატებითი გადაწყვეტილებით, აპელანტს მეორე პარტნიორის სასარგებლოდ დაეკისრა საადვოკატო მომსახურების საფასურის – 1 097,74 ლარის ანაზღაურება.

#### **6. კასატორების მოთხოვნა:**

6.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კომპანიამ/მისმა დირექტორმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა;

6.2. სააპელაციო სასამართლო დამატებითი გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმაც, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების/დამატებითი გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ პირველი საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო, მეორე კასატორს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგი გარემოებების გამო:

#### **1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:**

ვიდრე საკასაციო სასამართლო პრეტენზიების საფუძვლიანობის კვლევას შეუდგება, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების საფუძვლები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შემოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი

ნანილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე მომდებარე გადაწყვეტილების სამართლებრივი კანონიერება, რაც ამავე კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით რეგულირდება. პირველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის წარმატებას განაპირობებს მხარის მიერ საკუთარი პრეტენზიის იურიდიული საფუძვლიანობის დასაბუთება, რაც შეეხება მეორე ნორმას, ამ შემთხვევაში კანონმდებლის პოზიცია იმპერატიულია და სასამართლოს ყოველთვის ავალდებულებს, განსაზღვროს, ხომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია პირველი პარტნიორის მოთხოვნა კომპანიის მიმართ სასამართლო წესით დივიდენდის დაკისრების თაობაზე, ამასთან, ვინაიდან საზოგადოების მეორე პარტნიორის მიმართ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით აპელანტს მის სასარგებლოდ დააკისრა იურიდიული ხარჯების ანაზღაურება. სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება კომპანია და მოითხოვს ძირითადი გადაწყვეტილების გაუქმებას, ხოლო პროცესის ხარჯების (საადვოკატო მომსახურების ხარჯი) ანაზღაურების კანონიერებაზე პრეტენზიას აცხადებს პირველი პარტნიორი, კერძოდ:

### **1.1. (პირველი საკასაციო საჩივრის საფუძვლები)**

1.1.1. საკასაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს აქვს თუ არა სასამართლოს ზოგადი უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დივიდენდის განაწილების თაობაზე და, მოცემულ შემთხვევაში, არსებობდა თუ არა ამგვარი გადაწყვეტილების (დივიდენდის განსაზღვრისა და დაკისრების) გამოტანის წინაპირობა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პარტნიორი არის სამენარმეო საზოგადოების წევრი, რომელსაც გააჩნია კანონითა და საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები საზოგადოების მიმართ. პარტნიორი მმართველობითი უფლებამოსილების რეალიზაციას ახორციელებს საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოს – საერთო კრების მეშვეობით. მენარმეთა შესახებ კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლით, განსაზღვრულია როგორც პარტნიორთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების წესი, ასევე – მისი კომპეტენცია, შესაბამისად, პარტნიორს სარჩელის უფლება შეიძლება წარმოემვას მხოლოდ მაშინ, თუ დაირღვა ნორმით გათვალისწინებული მისი რომელიმე უფლება. მოსარჩელე სადავოდ არ ხდიდა არც კრების მოწვევის, არც მისი ჩატარებისა და არც კომპეტენციის კანონიერებას, ხოლო დივიდენდის განაწილების საფუძვლით სარჩელის

აღძვრის უფლება პარტნიორს არ გააჩნია. პარტნიორთა მიერ გადამწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა კორპორაციის მართვის ორგანოს დისკრეციის სფეროს განეკუთვნება, ის განსაზღვრავს საზოგადოების საქმიანობის მიმართულებებს და სასამართლოში არ შეიძლება, დავის საგანსა და შეფასების ობიექტს წარმოადგენდეს მიღებული გადაწყვეტილების მოსალოდნელი ეფექტურობა საზოგადოებისთვის, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნებოდა სამენარმეო საქმიანობაში უხეში ჩარევა და სასამართლო გამოვიდოდა იმ ორგანოს როლში, რომელიც უთითებს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, თუ როგორ უნდა განაწილდეს დივიდენდი საზოგადოებაში. მოცემულ შემთხვევაში, პარტნიორთა კრებას არ მიუღია გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე, შესაბამისად, აპელანტს, როგორც საზოგადოების პარტნიორს – არ წარმოშობია დივიდენდის მიღების მოთხოვნის უფლება;

1.1.2. არასწორია გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომლის თანახმადაც არსებობდა საზოგადოების პარტნიორთა კრების დისკრეციაში შეჭრის აუცილებლობა იმ საფუძველით, რომ არსებობდა საწარმოს პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არაკეთილსინდისიერი მოქმედება, მოტყუება ან პირადი დაინტერესება. სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში, ის შეიძლება, გამონაკლისის სახით შეიჭრას პარტნიორთა კრების დისკრეციის ფარგლებში, რადგანაც ორი პარტნიორი წლებია, ვერ თანხმდება გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობაზე და, რადგან არცერთი დამოუკიდებლად არ ფლობს ე.წ „საკონტროლო პაკეტს“, ისინი ობიექტურად ვერ შეძლებენ, დააკმაყოფილონ ისეთი წინაპირობა, როგორცაა – კრებაზე გადაწყვეტილების მიღება. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ცალსახად ადასტურებენ, რომ როგორც კომპანია, ისევე – მეორე პარტნიორი იყო დივიდენდის განაწილების ინიციატორი, როდესაც საწარმომ წელი დაასრულა მოგებით, ხოლო გადაწყვეტილების მიღება ფერხდებოდა სწორედ მოსარჩელის მიერ. ამასთან, შეუთანხმებლობის მიზეზი იყო არა გასანაწილებელი თანხის ოდენობა, როგორც ამას სასამართლო აღნიშნავს, არამედ – მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია, რომ ჯერ უნდა დასრულებულიყო სასამართლო დავები. პარტნიორთა კრების ოქმებისა და წერილების მიხედვით, დივიდენდის განაწილებაზე მოსარჩელემ უარი, ერთ შემთხვევაში, საწარმოს წლიური ანგარიშის არქონის გამო, ხოლო, მეორე შემთხვევაში – მის მიერ წამოწყებული სასამართლო დავის გამო განაცხადა (2014 წლის 29 ივლისს ჩატარდა კომპანიის პარტნიორთა კრება. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი –

2013 წლის მოგების დივიდენდის სახით განაწილების თაობაზე მოიხსნა მოსარჩელის წარმომადგენლის ინიციატივით. 2015 წლის 27 იანვარს პირველმა პარტნიორმა მოინწვია კრება. მეორე პარტნიორის ინიციატივით, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს დაემატა საზოგადოების 2013 წლის მოგების დივიდენდის სახით განაწილების საკითხი. კრებამ იმსჯელა ამ საკითხზე, თუმცა, გადაიდო არა საკითხის განხილვა, როგორც ამას სასამართლო მიუთითებს, არამედ – გადაწყვეტილების მიღება იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ მოითხოვა წლიური ანგარიშის შედგენის შემდეგ დაბრუნებოდა კრება ამ საკითხს. 2015 წლის 2 თებერვალს კომპანიამ წერილობით შესთავაზა პირველ პარტნიორს დივიდენდის განაწილება. აღნიშნულ წერილზე კი, მან უპასუხა შემდეგი: „რაც შეეხება 2013 წლის დივიდენდის განაწილებას, ამ საკითხის განხილვას შევძლებთ მხოლოდ თქვენი და შპს „გ-ოს“ პარტნიორის ნ. ხ-ას წინამდებარე წარმომავალი სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ“. წინამდებარე სარჩელის აღძვრის მომენტისთვის არ იყო დასრულებული მოსარჩელის მიერ ნახსენები დავა და სარჩელს არც წლიური ანგარიში ერთვის, ანუ არ იყო აღმოფხვრილი მოსარჩელის მიერ დასახელებული არცერთი მიზეზი, რის გამოც მან თითქოს უარი თქვა დივიდენდის განაწილებაზე. მოსარჩელის რეალურ ინტერესს წარმოადგენდა საწარმოს ფუნქციონირების შეჩერება (2012 წლის 28 აპრილს კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელი პირველი პარტნიორი, მეორე პარტნიორთან შეუთანხმებლად ინვესტს პარტნიორთა კრებას და ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების დირექტორის გათავისუფლების თაობაზე. დირექტორად ნიშნავს საკუთარ სიმამრ შ. ზ-ს. 2012 წლის 26 სექტემბერს შ. ზ-ი საზოგადოების ინტერესების აშკარა საზიანო პირობებით, იჯარის ხელშეკრულებას დებს მოსარჩელის ძმის ქვისლთან – თ. კ-თან და შპს „განახლებას“ გადასცემს კომპანიის ერთადერთ აქტივს. ეს უკანასკნელი მუშაობდა შპს „გ-ოში“, იცოდა საზოგადოების პარტნიორებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის შესახებ და ინფორმაცია ჰქონდა დირექტორის უკანონოდ განთავისუფლების გამო, სასამართლოში მიმდინარე დავის თაობაზე, უფრო მეტიც, შპს „გ-ს“ იურიდიულ მისამართად მითითებულია ი. ხ-იას მეუღლისა და შ. ზ-ის ქალიშვილის – თ. ზ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისამართი, რაც გამორიცხავს მათი მხრიდან კეთილსინდისიერ მოქმედებას. საზოგადოების პარტნიორმა ნ. ხ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში 2012 წლის 28 აპრილის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით და შევიდა კანონიერ და-

ლაში. მოცემულ დავაზე მოსარჩელემ იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რის შედეგადაც კომპანიის დირექტორს აეკრძალა საზოგადოების კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვა. უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ იქნა არა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, არამედ – შეუზღუდავად, საწარმოს კუთვნილ მთელ ფულად სახსრებზე). გარდა ამისა, მოგების დივიდენდის სახით განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრების დისკრეციასა და ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენს. თუ სამეურნეო წლის დასრულების შემდგომ პარტნიორებმა ვერ მიაღწიეს გადაწყვეტილებას დივიდენდის განაწილების თაობაზე, თავისთავად ესეც გადაწყვეტილებად – დივიდენდის განაწილებაზე უარად მიიჩნევა. თუ სასამართლოს ლოგიკას გავიზიარებთ, მაშინ პარტნიორთა წილობრივ მონაწილეობას და თანაფარდობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან, თუნდაც 99%-მა მიიღოს გადაწყვეტილება მოგების საზოგადოებაში დატოვებისა და დივიდენდის განაწილებაზე უარის თქმის შესახებ, ერთი პროცენტი წილის მფლობელ პარტნიორს მაინც რჩება უფლება, თუ საწარმოს წლიური შედეგების მიხედვით დარჩა მოგება, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი წილის პროპორციული დივიდენდი, მიუხედავად იმისა, რა გადაწყვეტილება მიიღო საწარმოს პარტნიორთა კრებამ ხმების უმრავლესობით.

## **1.2. მეორე საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

1.2.1. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი ქვითრები და იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, თუმცა, სასამართლომ ამ მტკიცებულებათა მიღებისას არ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით და საპროცესო წესების დაუცველად დაუშვა ახალი მტკიცებულებები. მხარე ვალდებული იყო, ხსენებული მტკიცებულებები წარადგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში. სასამართლოს მხრიდან ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს არაკეთილსინდისიერ მხარეს, დავის შედეგის გათვალისწინებით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მოითხოვოს პროცესის ხარჯების ანაზღაურება. ამგვარი მიდგომა არღვევს მხარეთა შორის შეჯობრებითობას, ამასთან, იურიდიული მომსახურების ხარჯის ზემდგომ სასამართლოში წარდგენის საპატიო მიზეზი ვერ გახდება ადვოკატის ცვლილება და სხვა სუბიექტური გარემოებები;

1.2.2. ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანისას არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხ-

ლი;

1.2.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, გადაწყვეტილება გამოტანილია 7-დღიანი საპროცესო ვადის დარღვევით, რამდენადაც ძირითადი გადაწყვეტილება მიღებულია 2018 წლის 8 მაისს, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა სასამართლოს პროცესის ხარჯების ანაზღაურების თხოვნით მიმართა 2018 წლის 12 ივნისს, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამავე წლის 13 ივნისსაა მიღებული. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი დაუდგენია 2018 წლის 15 მაისის განჩინებით, თუმცა, ეს განჩინება მიღებულია ზეპირი მოსმენის გარეშე და ამის შესახებ არ უცნობებია მხარეებისათვის, შესაბამისად, ეს განჩინება საკასაციო პალატის მიერ მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული საკითხის გადაწყვეტისას.

## **2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)), წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სავალდებულო ძალა გააჩნია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად, კომპანია რეგისტრირებულია ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში 1995 წლის 15 დეკემბერს. მას ჰყავს ორი პარტნიორი: ი. ხ-ია 50% წილით და ნ. ხ-ია 50% წილით. საზოგადოების დირექტორია ნ. კ-ე;

2.2. სასარჩელო მოთხოვნაა კომპანიის, მისი დირექტორისა და მეორე პარტნიორისათვის საზოგადოების 2013-2015 წლების გაუნაწილებელი სუფთა მოგების სახით 54 028.12 ლარის დაკისრება. სარჩელის თანახმად, მოთხოვნილი თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს კომპანიის ანგარიშიდან, სადაც განთავსებული უნდა იყოს ის თანხები, რაც საზოგადოების პარტნიორს ეკუთვნის მოგების სახით;

2.3. კომპანიის წესდების 5.4. პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების დამტკიცების და გამოყენების შესახებ. ამავე წესდების

7.1. და 7.2. პუნქტებით, წლიური შედეგები აისახება საზოგადოების ბალანსში და საბუღალტრო ანგარიშებში, რომელსაც დირექტორი დასამტკიცებლად წარუდგენს პარტნიორთა კრებას. დირექტორი ადგენს წლიურ და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიშს, ასევე, წმინდა მოგების განაწილების შესახებ წინადადებას და წარუდგენს პარტნიორთა კრებას, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მისი გამოყენების შესახებ;

2.4. დივიდენდის განაწილების საკითხზე პარტნიორთა კრებას გადაწყვეტილება არ მიუღია (პარტნიორთა 2014 წლის 29 ივლისის კრების ოქმის დღის წესრიგში შეტანილ იქნა მოპასუხე საწარმოს 2013 წლის ფინანსური შედეგების განხილვისა და შემოსავლიდან დივიდენდის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი, რომელიც დღის წესრიგიდან მოიხსნა მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ. 2015 წლის 27 იანვრის პარტნიორთა კრების ოქმით ირკვევა, რომ კრების დღის წესრიგში შეტანილ საკითხებში ერთ-ერთს კვლავ 2013 წლის წმინდა მოგების დივიდენდად განაწილება წარმოადგენდა, რისი განხილვაც, დეტალების დაუზუსტებლობის გამო (ანგარიშების არქონის გამო), მოსარჩელის წარმომადგენლის ინიციატივით გადაიდო, რასაც კრების წევრები დაეთანხმნენ);

2.5. პარტნიორისა და საზოგადოების დირექტორის 2014-2015 წლების მიმოწერის თანახმად, პარტნიორთა შორის უთანხმოების საგანს და, შესაბამისად, დივიდენდის განაწილებაზე პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების არარსებობის საფუძველს, წარმოადგენს დივიდენდის ოდენობა, რაზეც მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

2.6. 2013-2015 წლებში მოპასუხე საწარმოში გაუნაწილებელი მოგების ოდენობა შეადგენს 53 169 ლარს.

### **3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

როგორც უკვე აღინიშნა, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის (პირველი საკასაციო საჩივარი), ისე – დამატებითი გადაწყვეტილების გზით იურიდიული მომსახურების ხარჯების დაკისრების კანონიერება (მეორე საკასაციო საჩივარი), შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თითოეულ საკითხს შეაფასებს ცალ-ცალკე.

3.1. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სასამართლო გასცდა საკუთარ დისკრეციას და დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით დაარღვია პარტნიორთა კრების ავტონომიურობის პრინციპი, რის შედეგადაც მიღებულ იქნა იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნ-



ქტი). სასამართლო, პირველ რიგში ყურადღებას გაამახვილებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტზე, რომლის თანახმადაც საწარმოს პარტნიორთა კრებას წმინდა მოგების პარტნიორებს შორის განაწილების საკითხზე არც კი უმსჯელია, იგი ორჯერ იქნა შეტანილი კრებაზე გადასაწყვეტ საკითხებს შორის, თუმცა ორჯერვე გამოწვეულ იქნა მოსარჩელის მიერ (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 2.4.), ამ მხრივ რაიმე ფაქტობრივი გარემოება, რაც დაადასტურებდა პირველი პარტნიორის მხრიდან საკითხის ინიცირების შეუძლებლობას ან საკუთარი, როგორც პარტნიორისათვის, გარანტირებული კანონიერი უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი. სარჩელის დაკმაყოფილებისა და პარტნიორთა კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტა პალატამ იმ არგუმენტით დაასაბუთა, რომ კომპანია ორი პარტნიორის მიერ არის დაფუძნებული და ორივე მათგანი თანაბარი წილის მფლობელია საწესდებო კაპიტალში, ამასთან, რადგანაც პარტნიორებს შორის არ არსებობს ერთიანი კონსენსუსი, სავარაუდო იყო, რომ დივიდენდის განაწილების შესახებ პირველი პარტნიორის მოთხოვნა უარყოფილი იქნებოდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განვიითარებული მსჯელობა, შეიძლება ითქვას, გარკვეული ლოგიკურობით ხასიათდება, თუმცა საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება სამენარმეო სამართლისათვის დამახასიათებელ სუბსტანციურ პრინციპებს.

3.2. სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს იურიდიული პირის, როგორც სამართალსუბიექტის დამოუკიდებლობის ზოგად პრინციპს და ყოველი კონკრეტული შემთხვევის რეგულირების მატერიალური საფუძველი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითაა განსაზღვრული. მითითებული კანონის მე-3 თავში მოცემულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მახასიათებელი სპეციალური წესები და 47-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პარტნიორთა კრება წარმოადგენს საზოგადოების მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელ უმთავრეს ინსტრუმენტს. სწორედ საერთო კრებაზე ფორმირდება საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისეთი საკითხები, როგორცაა: წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა; საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება; ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია; ინვესტიციების

განხორციელება, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს; ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს; ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სანარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს; პროკურის გაცემა და გაუქმება; წლიური შედეგების დამტკიცება; აუდიტორის არჩევა; სანარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. მითითებული საკითხების გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, კრება იღებს გადაწყვეტილებას: ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრის შესახებ; იმ დამატებითი უფლებების გამოყენებაზე, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს; შენატანების მოთხოვნის, დამატებითი შენატანების უკან დაბრუნების; დირექტორების დანიშვნა/გამონევის, მათთან ხელშეკრულებების დადება/შენწყვეტის, აგრეთვე, მათი ანგარიშების დამტკიცების; სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ, ასევე, ახალი/დამატებითი შენატანების გზით სანარმოს კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-5-მე-7 პუნქტები). „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება, დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება (ცვლილებამდელი რედაქცია). ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, წლიური მოგების/დივიდენდის განაწილების საკითხის გადაწყვეტა შპს-ის მმართველობითი ორგანოს (საერთო კრება) კომპეტენციაა და ასეთ შემთხვევაში, პარტნიორის, მათ შორის, მცირე პარტნიორის უფლებადამცავ დანაწესს საერთო კრების მოწვევის განმსაზღვრელი ნორმები გვთავაზობს.

3.3. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას იმის შესახებ, რომ სამენარმეო საზოგადოების

პარტნიორს გააჩნია დივიდენდის მოთხოვნის უფლება, თუმცა, ყველა შემთხვევაში აღნიშნული არ შეიძლება იქნეს მიჩნეული საწარმოს ხელძღვანელობით უფლებამოსილებაში სასამართლოს მხრიდან ჩარევის ლეგიტიმურ საფუძვლად. საკითხის სამართლებრივად სწორად შეფასებისათვის ყურადღება უნდა გამახვილდეს თავად დივიდენდის ინსტიტუტზე. სამენარმეო საქმიანობის მიზნის გათვალისწინებით, პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება საზოგადოების საქმიანობიდან მოგების მიღებაა. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. ამდენად, წლიური შედეგების დამტკიცებისა თუ დივიდენდის განაწილების საკითხი საზოგადოების უფლებამოსილებას წარმოადგენს, რომელიც ფორმირდება საზოგადოების საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების სახით (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 2.3.). დივიდენდის მოთხოვნის უფლების მარეგულირებელ ნორმას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს როგორც დივიდენდის გაცემა-არგაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, ისე – გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილებასაც. აღნიშნული კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-არგაცემის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელ ნორმებს არ შეიცავს და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს კომპანიის წესდებით. ამდენად, უდავოა, რომ, როგორც კანონის, ისე, საწარმოს წესდების შესაბამისად, დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საწარმოს დისკრეციას, რაც გულისხმობს გასანაწილებელი მოგების ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც და ამ გადაწყვეტილების მიღებაში სასამართლო უნდა შეიჭრას, თუ უფლებამოსილ პირთა მხრიდან ადგილი ექნება არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, პარტნიორის უფლებების განზრახ უგულებელყოფას ან დისკრეციის ბოროტად გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის, პარტნიორთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა (სკ-ის 50-ე მუხლი), რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს

მენტს უნდა აკმაყოფილებდეს და სადავოობის შემთხვევაში, პარტნიორი, რომელიც არ ეთანხმება ამ გარიგებას, უფლებამოსილია, ისარგებლოს უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპით, რომელიც ვრცელდება ნებისმიერი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების მიმართ. ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო პალატა არ დაეთანხმა საზოგადოების პარტნიორის მოთხოვნას სასამართლოს მეშვეობით დივიდენდის განაწილების თაობაზე და განმარტა, რომ პარტნიორს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ სადავო პერიოდისათვის მოგების განაწილება საზოგადოებაში დივიდენდის გაცემის გზით განხორციელდა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „დივიდენდების გაცემა სანარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს სანარმოში მოგების არსებობა და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ. დივიდენდის სავალდებულო რეჟიმში მხოლოდ ერთ პარტნიორზე გაცემა საქართველოს კანონმდებლობით განთვალისწინებული არ არის... პარტნიორს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ კომპანიის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით მოხდა დივიდენდების განაწილება და მას, როგორც პარტნიორს, მისი წილის პროპორციული თანხა არ გაუნაწილეს, ან თუ ის მოითხოვს პარტნიორთა კრების მონვენას და სანარმოს პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების განაწილების თაობაზე.“ (იხ. სუსგ-ები: №ას-75-408-09, 2 ივლისი, 2009 წ; №ას-863-813-2015, 17 დეკემბერი, 2015 წელი).

3.4. საკასაციო სასამართლო უარყოფს მეორე კასატორის პრეტენზიებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სასამართლოსგარეშე ხარჯების (იურიდიული მომსახურების ხარჯი) განევის დამადასტურებელი მტკიცებულებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის დარღვევით საქმისათვის დართვის თაობაზე და ყურადღებას გამამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დამატებითი გადაწყვეტილება შეეხება არა პირველი ინსტანციის სასამართლოში, არამედ – სააპელაციო განხილვის ეტაპზე განეული ხარჯების ანაზღაურების საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით დადგენილი მტკიცებულებათა სააპელაციო განხილვის ეტაპზე წარდგენის შეზღუდვა ძირითადად შეეხება არა პროცესის ხარჯების ანაზღაურების საკითხს, არამედ, მატერიალურ-სამართლებრივი მტკიცების საგან-

ში შემავალი ფაქტების დადასტურებას, ამ ნორმის სხვაგვარი განმარტება ალოგიკურიცაა, ვინაიდან საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე მხარეთათვის უცნობია გადანყვეტილების გასაჩივრებისა და ზემდგომ ინსტანციებში დავის გაგრძელების ფაქტი, შესაბამისად, მხარე წინასწარ ვერც გაიღებს იურიდიული მომსახურების ხარჯებს და ბუნებრივია, მას უფლების პრევენციული დაცვა არც მოეთხოვება. სააპელაციო წარმოების დაწყება მოდავე მხარეთა დისპოზიციური ნების გამოვლინებაა და ხარჯების გაღებაც დამოკიდებულია იმაზე, გაასაჩივრებს თუ არა ერთ-ერთი მხარე ან ორივე მათგანი გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ალოგიკურია, მოდავე სუბიექტს სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპისათვის განეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა მოეთხოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოში.

3.5. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული დამატებითი გადანყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას, რომელიც პროცესის ხარჯების კლასიფიცირებას შეეხება, აღნიშნული განმარტება სრულად ემყარება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკას (იხ. სუსგ-ები: №ას-165-158-2013, 27 იანვარი, 2014 წელი; №ას-444-423-2015, 30 ოქტომბერი, 2015 წელი). მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მეორე პარტნიორმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურების თაობაზე, წარადგინა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, თითოეული ინსტანციის სასამართლოში იურიდიული მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია 3 688 ლარით, ასევე, წარდგენილია სააპელაციო წარმოების ეტაპზე ნ. ხ-ას მიერ წარმომადგენლისათვის ზემოხსენებული თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება. ეს მტკიცებულებები, როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 3.4.), სწორად იქნა დასაშვებად ცნობილი სააპელაციო პალატის მიერ, რადგანაც ასახავდნენ სააპელაციო განხილვის (და არა პირველი ინსტანციის წესით განხილვის) ეტაპზე ხარჯების გაწვევის ფაქტს. გარდა ამისა, უდავოა, რომ მეორე პარტნიორის მიმართ სარჩელი არ დაკმაყოფილდა (ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი არ არის წარმოდგენილი, თუმცა საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული გადანყვეტილების დასკვნას, რომ დივიდენდის დაკისრების შესახებ სარჩელზე პასუხისმგებელ პირს კომპანიის პარტნიორი არ წარმოადგენს), შესაბამისად, სახეზეა მოგებული მხარის სასარგებლოდ იურიდიული მომსახურების ხარჯის დაკისრების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით (იმ მხარის წარმომადგენ-

ლის დახმარებისათვის განუღებულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა) გათვალისწინებული წინაპირობები, თუმცა, შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს არ უმსჯელია ამ ხარჯის საკითხზე.

3.6. პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ დამატებითი გადაწყვეტილება გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული 7-დღიანი ვადის დარღვევით. ამ მხრივ, სამართლებრივ საფუძვლიანობასაა მოკლებული მისი არგუმენტი, რომ სასამართლომ მხედველობაში არ უნდა მიიღოს 2018 წლის 15 მაისის განჩინების არსებობა, არამედ, უნდა იხელმძღვანელოს საქმეში არსებული მეორე პარტნიორის განცხადებით, რომელიც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან თითქმის, ერთი თვის შემდეგაა წარდგენილი. საკასაციო პალატა მოიშველიებს დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას, რომლის თანახმადაც დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, სასამართლოს მიერ ხარვეზით გამოტანილი გადაწყვეტილების გამოსწორების საშუალებაა, კერძოდ, თუ სასამართლომ ძირითადი გადაწყვეტილებით არ გადაწყვიტა სასამართლო ხარჯების საკითხი, მას შეუძლია, ეს ხარვეზი გამოსწოროს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს როგორც სასამართლოს, ასევე მხარისაგან, ამასთან, კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება, დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამდენად, კანონი განსაზღვრავს მხოლოდ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის ვადას, მაგრამ არაფერს ამბობს თავად დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადაზე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, საკითხის დასმის შემდეგ, დამატებითი გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში უნდა იქნეს გამოტანილი. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის ვადასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ საიდან უნდა ავითვალოთ 7-დღიანი ვადა. მითითებული ვადის დენის დაწყებას კანონი უკავშირებს გადაწყვეტილების გამოცხადებას და არა მხარისათვის მის ჩაბარებას (იხ. სუსგ-ები: №ას-225-217-2012, 25 ივნისი, 2012 წელი; №ას-795-754-2013, 29 ნოემბერი, 2013 წელი; №ას-385-366-2015, 14 მაისი, 2015 წელი).

3.7. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ სააპელაციო სასამართლომ შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7-

დღიანი ვადის დაცვით, 2018 წლის 15 მაისის განჩინებით საკუთარი ინიციატივით განსაზღვრა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი ზეპირი მოსმენის გარეშე, რაც ადასტურებს იმას, რომ სასამართლო უფლებამოსილი იყო, 2018 წლის 13 ივნისს გამოეტანა დამატებითი გადაწყვეტილება. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ დამატებითი გადაწყვეტილება ემყარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 261-ე მუხლის სწორ გამოყენება-განმარტებას.

4. მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების/დამატებითი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების პროცესუალური დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან საწარმოს ავტონომიურობის პრინციპის მხოლოდ იმ დასაბუთებით დარღვევის ნაწილში, რომ 50-50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორები შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, მით უფრო, როდესაც პარტნიორთა კრებას არც კი უმსჯელია დივიდენდის განაწილების საკითხზე, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა. ამასთანავე, რადგანაც არ იკვეთება, მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის ან სხვა საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის გამო, საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები), პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება: ვინაიდან საზოგადოების წმინდა მოგების განაწილება საწარმოს პარტნიორთა კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხია, იგი სწორედ პარტნიორთა კრებაზე უნდა იქნას განხილული, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, ერთ-ერთი მხარის პრეტენზიის ფარგლებში, ბუნებრივია, შესაძლოა სასამართლოს მსჯელობის საგნად იქცეს. რაც შეეხება დამატებითი გადაწყვეტილების საკითხს, როგორც უკვე ითქვა, იგი კანონშესაბამისია, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილე-

ბა არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას) პალატა უცვლელად ტოვებს მას.

#### **5. სასამართლო ხარჯები:**

5.1. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 31 ივლისის განჩინებით, შპს „გ-ოს“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე დაკმაყოფილდა და კასატორს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, გადაუვადდა 1 329,22 ლარის გადახდა. საკასაციო პალატის წინამდებარე გადანყვეტილებით ი. ხ-იას უარი ეთქვა რა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, სასამართლომ შემაჯამებელი გადანყვეტილებით უნდა განსაზღვროს პროცესის ხარჯები.

5.2. პალატა განმარტავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 55-ე მუხლების ფართო განმარტებიდან გამომდინარე, ზემოხსენებული საკითხის რეგულაცია შემდეგია: წაგებულ მხარეს ეკისრება მოგებული მხარისათვის იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც განია ამ უკანასკნელმა, ხოლო, თუკი სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის გადახდილი ბაჟი, ამ თანხას, დავის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, გაიღებს ის მხარე, რომელიც არ არის გათავისუფლებული ამ ხარჯისაგან და გადანყვეტილებაც მის წინააღმდეგაა მიმართული. ამ განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორისათვის გადავადებული 1 329,22 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სწორედ ი. ხ-იას. რაც შეეხება მის მიერ დამატებითი გადანყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილ საკასაციო საჩივარზე გადახდილ ბაჟს, ის უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში, რადგანაც მისი პრეტენზიები არ ყოფილა გაზიარებული სასამართლოს მხრიდან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. შპს „გ-ოსა“ და მისი დირექტორის – ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. სარჩელის დაკმაყოფილებისა და პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 მაისის გადან-



ყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

2.1. ი. ხ-იას სარჩელი შპს „გ-ოს“ მიმართ, 2013-2015 წლების სუფთა მოგებიდან დივიდენდის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

2.2. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

3. ი. ხ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

4. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივნისის დამატებითი გადაწყვეტილება.

5. ი. ხ-იას (რუსეთის მოქალაქის პ/№4-..., პასპორტის №7-...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 31.07.2018წ. განჩინებით შპს „გ-ოსათვის“ გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 1 329,22 ლარის ანაზღაურება.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 299 82 08  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)